



# ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება

ქართულ მკვლევართა ასოციაციის კრებული

2011





## **ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდოო გზის ძიება**

ქართველ მკვლევართა სტატიების კრებული

2011

პროექტის კოორდინატორი: არჩილ გეგეშიძე  
რედაქტორი: სიუზენ ალან ნანი  
ტექნიკური რედაქტორი: არტიომ მელიქ-ნუბაროვი  
ტირაჟი: 250

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
კვლევის ფონდი

ISBN 978-9941-0-3532-6

## შინაარსი

წინასიტყვაობა სიუზენ ალენ ნანი .....	4
ქართული კრებულის წინასიტყვაობა არჩილ გეგეშიძე.....	5
კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში: ამჟამინდელი პრობლემები და დევნილთა დაბრუნების პერსპექტივები გიორგი თარხან-მოურავი.....	6
სამოქალაქო საზოგადოება და სამშვიდობო პროცესი ივლიანე ხაინდრავა.....	32
ადამიანური ფაქტორი ხალხთა შორის ნდობის აღდგენის პროცესში: საქართველოში მცხოვრები ოსების თვალსაზრისის შესწავლა რევაზ გაჩეჩილაძე.....	51

## წინასიტყვაობა

აქ წარმოდგენილი ნაშრომების ორი კომპლექტი იმ იდეის ნაყოფია, რომელიც თავის დროზე შეიძლება გიჟურადაც კი მოგჩვენებოდათ. წინასიტყვაობის გარეშე მკითხველმა ეს წიგნი შესაძლოა შიზოფრენიის გამოვლინებად მიიჩნიოს. აიღებს რა ხელში ამ წიგნს, მკითხველი ქართველი მკვლევრების სამ სტატიას აღმოაჩენს, ხოლო როცა გადაატრიალებს — ოს (სამხრეთ ოსეთიდან) მკვლევართა სამი სტატია შერჩება ხელში. სხვა თვალსაზრისის გასაცნობად მკითხველმა თითქოს სივრცითი ორიენტაცია უნდა შეცვალოს. თითოეულ თავში გამოყენებულია განსხვავებული ტერმინოლოგია; ერთ თავში გამოთქმული მოსაზრება ეწინააღმდეგება სხვა თავში ჩამოყალიბებულ მიდგომას.

ეს ყველაფერი თავდაპირველი იდეის კონტექსტში იძენს აზრს, როცა კეთილი განზრახვებით აღჭურვილი ადამიანები ნდობის აღდგენის გზების ძიებას შეუდგენენ. საკითხი ასე დაისვა: შესაძლებელია თუ არა გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ მკვლევრებს შორის ხიდის გადება და მათი ნაწერებით პოლიტიკოსებისთვის ხელის შეწყობა? მსგავსი წამოწყებები ნდობის აღსადგენად თითქმის უიმედოდ გამოიყურებოდა, როდესაც 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებიდან მალევე მოხერხდა მშვიდობისათვის მოღვაწე სამოქალაქო აქტივისტების შეკრება პროექტ „თვალსაზრისის“ ფორმატში. ამ დროიდან მოყოლებული მე მათებს ორივე მხარის წარმომადგენელთა მოქნილობა, მონდომება და შორსმჭვრეტელობა — მათ სურთ დაამყარონ სტაბილური მშვიდობა, რათა ქართველი და ოსი ბავშვები უსაფრთხო გარემოში გაიზარდონ. 2010 წლის ოქტომბერში, ქ. სტამბოლში გამართული „თვალსაზრისის“ პროექტის შეხვედრის მსვლელობისას, კოსტა ძუგაევმა და არჩილ გეგეშიძემ ამ იდეის ხორცშესხმა გადაწყვიტეს. თქვენ ხელთ არსებული წიგნი იმის დასტურია, რომ მათ ეს შეძლეს.

მკვლევართა ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობდა, თუმცა გარკვეული კოორდინაციის რეჟიმს ინარჩუნებდა. სწორედ ამ გარემოებამ უზრუნველყო სრულიად განსხვავებული სტატიების ერთ წიგნში თავმოყრა. სტამბოლში ერთობლივი მსჯელობის შემდეგ მკვლევართა ამ ორმა გუნდმა კვლევის სხვადასხვა პრიორიტეტი დაისახა, რაც თითო ჯგუფიდან წარმოდგენილ სამ-სამ სტატიაში გამოვლინდა კიდევ. ორივე ჯგუფი ისეთი თემების ძიებით დაკავდა, რომლებიც, ავტორთა აზრით, ორივე მხარის პოლიტიკოსებს კონსტრუქციულ დახმარებას გაუწევდა. თითოეულმა მკვლევარმა საკუთარი კვლევა დამოუკიდებლად აწარმოა. ჩემი რედაქტორული როლი შეზღუდული იყო და კვლევების შინაარსს არანაირად შეხებია. თანაც, „შავი“ ვერსიების მომზადების შემდეგ ავტორები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ქ. სტამბოლში და იქ გამართული განხილვის შედეგად მათი სტატიები უფრო დაიხვეწა.

მკითხველი უმალ შეამჩნევს: ავტორები შეთანხმდნენ, რომ ვერ თანხმდებიან ტერმინოლოგიის თაობაზე. იმას, რაც ქართველი ავტორისთვის არის „საკუთრივ საქართველო“, ოსი ავტორი „საქართველოდ“ მოიხსენიებს; ის, რასაც ოსი ავტორი „მთავრობას“ უწოდებს, ქართველი ავტორისთვის „ხელმძღვანელობაა“. განსხვავებულია როგორც გეოგრაფიული სახელწოდებების, ისე გადაადგილებულ პირთა მიმართ მიდგომა: ქართველი ავტორები მათ ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირებს უწოდებენ, ოსები კი — იძულებით გადაადგილებულ პირებს ან ლტოლვილებს. სიტყვა „საზღვარი“ ასევე სხვადასხვანაირ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ოსები მას სახელმწიფოთაშორის საზღვრად მიიჩნევენ, ქართველები კი — ადმინისტრაციულ საზღვრად.

მოცემული პროექტი რაიმე სტანდარტული ტერმინოლოგიის დამკვიდრებას არ ესწრაფვის; მისი მიზანი ნდობის აღდგენის პოტენციალის მატარებელი სფეროების გამოვლენაა, გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ მკვლევრებს შორის კომუნიკაციის ხიდების აგება და პოლიტიკისათვის ხელის შეწყობა რელევანტური ნაშრომების შექმნით იმ საკითხებზე, რომლებიც წლების მანძილზე თვალთახედვის მიღმა რჩებოდა.

ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა კოსტა ძუგაევისა და არჩილ გეგეშიძის, ასევე, ყველა ავტორისა და მთარგმნელის საქმისადმი ერთგულება. იგივე შეეხება იმ თანამშრომლებს, ვინც ორი განცალკევებული პროექტის კოორდინირებას ახდენდა და, საბოლოო ჯამში, ნაშრომების ერთ ყდაში გამოცემა უზრუნველყო.

ვიმედოვნებ, რომ ყოველი მკითხველი თითოეულ თავში რაიმე ფასეულს იპოვის მაშინაც კი, როცა ავტორთან შეკამათების სურვილი აღეძვრება. დღევანდელი გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს არსებული არგუმენტების გასაგებად, უპირველეს ყოვლისა, ამ არგუმენტების ცოდნაა საჭირო. სტატიების ორი კომპლექტი გამიზნულია, რომ სწორედ ამ მიმართულებით გადადგმულ პატარა ნაბიჯად იქცეს.

პროფ. სიუზენ ალენ ნანი

ანალიზისა და კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუტი,  
ჯორჯ მელსონის უნივერსიტეტი (აშშ)

---

---

## ქართული კრეზულის წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული, რომელშიც წარმოდგენილია ცნობილ ქართველ მკვლევართა — გიორგი თარხან-მოურავის, ივლიანე ხაინდრავას და რევაზ გაჩეჩილაძის — მიერ დაწერილი სტატიები, შეიქმნა 2011 წელს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მიერ განხორციელებული პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება“ ფარგლებში. პროექტი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარეობდა. სტატიები ეძღვნება ისეთ საკითხებს, როგორცაა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პერსპექტივები, სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო პოტენციალის აღორძინება და ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღდგენის საქმეში ადამიანური ფაქტორის მნიშვნელობა. თემების შერჩევა და საკვლევი ამოცანების ჩამოყალიბება ორმა გარემოებამ განაპირობა: ერთი მხრივ, სერიოზულ გადააზრებას მოითხოვდა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები, რაც მძიმედ აისახა კონფლიქტის ზონის მოსახლეობის ცხოვრებაზე. კონფლიქტის მხარეთა შორის არსებული განსაკუთრებულად მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე აქცენტი გაკეთდა ომის შედეგების ჰუმანიტარულ და სოციალურ ასპექტებზე. მეორე მხრივ, პროექტი დაპირისპირებულ მხარეთა შორის ნდობის აღდგენის პოტენციალის შესწავლისა და, ამგვარად, სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობის სულისკვეთებით იყო ნასაზრდოები. ასე რომ, შერიგების პროცესში წინააღმდეგობების იდენტიფიცირების მიზნით გაჩნდა ქართული და ოსური საზოგადოებების დამაკავშირებელი პირობებისა და რესურსების გამოვლენის აუცილებლობა.

წარმოდგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ქართველმა ავტორებმა აუცილებლად მიიჩნიეს მომავლისაკენ გაეხედათ, ვითარებათა ჩიხიდან გამოსვლის შესაძლებლობები მოეძიათ და, შესაბამისად, შეგნებულად აარიდეს თავი 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების გამომწვევ ფაქტორთა პოლიტიკურ შეფასებას.

ამასთან, მკვლევრები აცნობიერებდნენ, რომ ქართულ-ოსურ კონფლიქტში ამ ბოლო დროს შექმნილი კონტექსტი იმდენად ფართო და მრავალნახნაგოვანია, რომ დროითა თუ სხვა ფაქტორებით შეზღუდვების პირობებში, მათ შორის ინფორმაციის სიმწირის გამო, შეუძლებელია კვლევის საგნის ყოვლისმომცველი და სიღრმისეული ანალიზი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კრებული არის ომის შემდგომ პერიოდში ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებული რთული მოვლენებისა და პროცესების მეცნიერულად გააზრების პირველი მცდელობა. ამის გარეშე კი გაჭირდება დღევანდელი ვითარებისათვის გასაღების მოძებნა.

აღსანიშნავია, რომ პარალელურად კოლეგებმაც სამხრეთ ოსეთიდან ჩაატარეს კვლევა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის (აშშ) ხელშეწყობით განხორციელებული მსგავსი პროექტის ფარგლებში. ერთობლივად ორივე ეს პროექტი მიზნად ისახავდა ქართველი და ოსი მკვლევრების დიალოგისათვის პლატფორმის შექმნას. ორ სამუშაო შეხვედრაზე, რომლებმაც ურთიერთნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროში ჩაიარა, პროექტების მონაწილეებს საშუალება მიეცათ შეეჯერებინათ საკვლევი საკითხები და შეემუშაებინათ დიალოგისა და თანამშრომლობის მექანიზმი, რაც ესოდენ აუცილებელია ორი ახლობელი ერის ამჟამინდელი გაუცხოების პირობებში.

არჩილ გეგეშიძე  
პროექტის კოორდინატორი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო  
ურთიერთობების კვლევის ფონდი  
თბილისი, 2011 წელი

---

---

**კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში:  
ამჟამინდელი პრობლემები და დევნილთა დაბრუნების  
პერსპექტივები**

*გიორგი თარხან-მოურავი*

**შესავალი**

ოცზე მეტი წლის წინ საბჭოთა კავშირის დაშლამ შექმნა ფაქტორთა კომბინაცია, რომელსაც მოჰყვა 1990-იანი წლების ეთნიკური კონფლიქტები, კრიზისი და სახელმწიფო მშენებლობის გაჭიანურებული პროცესი, რამაც საბოლოო ჯამში კულმინაციას მიაღწია 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების სახით.

საბჭოთა კავშირის დრამატული დაშლის შემდგომ ეთნიკური ურთიერთობების განვითარება, რაც განსაკუთრებით ოსურ-ქართულ ურთიერთობებს ეხება, განიცდიდა პერიოდულ გამწვავებას და კვლავ ჩანყნარებას, მაგრამ თითქმის არასოდეს მიუღია ნორმალური, ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის ფორმა.

საერთაშორისო ექსპერტების ენობრივი შელოცვებით 1990-იანი წლების კონფლიქტებს მათი პირველი, მწვავე ფაზის დასრულების შემდგომ ეწოდა „გაყინული“. ეს სინამდვილეში არასოდეს ნიშნავდა არც სიტუაციის უცვლელობას და არც კონფლიქტის აქტიურ ფაზაში დაბრუნების რისკის მოხსნას. 1991-1992 წლების ტრაგიკული პერიოდის შემდეგ, რასაც მოჰყვა შედარებით მოკლევადიანი გამწვავება 2004 წლის ზაფხულში, ქართულ-ოსურ და ქართულ-რუსულ ურთიერთობაში უკანასკნელი კატასტროფული კრიზისი 2008 წლის აგვისტოში განვითარდა. შემდგომ ვითარებას შეიძლება დაერქვას ლატენტური მტრობა, რასაც თან სდევს ხელახალი გაუარესების საკმაოდ მაღალი რისკი.

მთელ რიგ საკვანძო საკითხებში ცხინვალისა და თბილისის ხელისუფლების ოფიციალური პოზიციები რადიკალურად უპირისპირდება ერთმანეთს. ეს, პირველ რიგში, ეხება სამხრეთ ოსეთის სამართლებრივი სტატუსის საკითხს — რაკი თბილისის თვალსაზრისით სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია, ხოლო ამ ტერიტორიაზე მოქმედი მმართველი რეჟიმი, ერთი მხრივ, უკანონოა, მეორე მხრივ კი — მარიონეტული, რადგან სინამდვილაში ამ ტერიტორიას რუსეთი აკონტროლებს. ცხინვალში, საპირისპიროდ, სამხრეთ ოსეთი განიხილება, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ამ ფაქტის ყველა თანმდევი უფლებით, ხოლო რუსეთს წარმოიდგენენ ძირითად მფარველად, რომელიც იცავს მას თბილისის უკანონო პრეტენზიებისგან.

მეორე ფუნდამენტური განსხვავება ეხება 2008 წლის აგვისტოს ომის ინტერპრეტაციას. თბილისი აცხადებს, რომ ომი გამოიწვია ცხინვალის მხრიდან ქართული სოფლების მაპროვოცირებელმა დაბომბვამ და რუსული ჯარების საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე უკანონო შემოჭრამ; კვლავ საპირისპირო თვალსაზრისს იზიარებს ოფიციალური ცხინვალი — რუსულმა ჯარმა გადაარჩინა ოსები ქართველების მხრიდან გენოციდსა და განადგურებას. ქართული ხედვით (რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი ნაწილიც იზიარებს), რუსეთის სამხედრო ბაზები განლაგებულია საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე და ამდენად, წარმოადგენენ საოკუპაციო განაყოფებს, რომლებიც იმავდროულად არღვევენ ე.წ. „მედვედეგ-სარკოზის შეთანხმებით“ აღებულ ვალდებულებას სამხედრო შენაერთების ომამდელ პოზიციებზე დაბრუნების თაობაზე. ეს სამხედრო ბაზები პირდაპირ ემუქრება საქართველოს უსაფრთხოებას. ცხინვალის ოფიციალური პოზიციის თანახმად კი, რუსეთის ბაზების განლაგება სრულად შეესაბამება ორ სუვერენულ სახელმწიფოს — სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს — შორის დადებულ ხელშეკრულებას და განიხილება სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების უმთავრეს გარანტიად.

ეთნიკური დაძაბულობა და კონფლიქტი თავიდანვე შეეხო როგორც ძირითადად სამხრეთ ოსეთის გარეთ მცხოვრებ ეთნიკურ ოსებს, ისე სამხრეთ ოსეთის



ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ქართველებს; ამან ასევე უშუალო გავლენა იქონია გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ათობით ათასი ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებზე. თუმცა ნათელია, რომ ე.წ. „ეროვნული ინტერესების“ დაცვის ამოცანამ არ უნდა გამოიწვიოს მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების ხელყოფა. ის ხომ ისედაც არაერთგზის დაზარალდა ხელისუფლების უპასუხისმგებლო ქმედებების შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დაწყებამდე, მათი მსვლელობის დროს და დასრულების შემდეგაც.

თბილისს მიაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთში განლაგებული ქართული სოფლების მოსახლებას, რომელიც ეთნიკური წმენდის შედეგად იძულებული იყო მიეტოვებინა თავისი კარ-მიდამო, უნდა შეეძლოს შინ დაბრუნება და ქონებრივი უფლებების აღდგენა. ცხინვალში, თავის მხრივ, არ უარყოფენ ქართველების გაძევებისა და მათი დასახლებების უმეტესი ნაწილის განზრახ განადგურების ფაქტს, მაგრამ არ ეთანხმებიან ამ ქმედების კლასიფიკაციას, როგორც ეთნიკურ წმენდას. ისინი ამავე დროს აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ ქართველ დევნილთა შინ დაბრუნებას (გარდა ახალგორის/ლენინგორის რაიონისა, სადაც, პირიქით, დევნილ მოსახლეობას მოუწოდებენ, რომ დაბრუნდეს).

რა თქმა უნდა, მხარეებს შორის არსებობს მთელი რიგი სხვა ფუნდამენტური უთანხმოებებიც, მაგრამ ყველაფერი, პირველ რიგში, უკავშირდება ორმხრივ, ღრმა უნდობლობას, ასევე — რომ სამხრეთ ოსეთის ეთნიკურ ოს მოსახლეობას არ სურს იცხოვროს საქართველოს სახელმწიფოში, რადგან სწორედ მას მიიჩნევს თავისი ყველა უბედურების უმთავრეს მიზეზად. ვითვალისწინებთ რა თბილისისა და ცხინვალის (და ასევე მოსკოვის) პოლიტიკური ელიტების ხედვის შეუთავსებლობას მთელი რიგ საკითხებში, კერძოდ — სამხრეთ ოსეთის სამართლებრივ სტატუსზე, ასევე რუსეთის სამხედრო ბაზებისა და მესაზღვრეების იქ განლაგების თაობაზე, ვფიქრობთ, რომ უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა მხარეებს შორის ურთიერთობების რადიკალური გაუმჯობესება.

ქვემოთ წარმოდგენილია ოსურ-ქართული ურთიერთობების პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრის მცდელობა. ამ საკითხების მიუკერძოებელმა განხილვამ და ანალიზმა შესაძლოა გარკვეული ნვლილი შეიტანოს არსებული წინააღმდეგობების შენელებაში, და, არსებული პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, მშვიდობიანი თანაცხოვრების ოპტიმალური რეჟიმის მოძიებაში.

ქვემოთ მოყვანილი ანალიზის სარგებლიანობა ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებითაა შეზღუდული — სამხრეთ ოსეთში საზოგადოების ფუნქციონირების ყოველი ასპექტის თაობაზე სანდო და საფუძვლიანი ინფორმაცია ძნელადაა ხელმისაწვდომი ან უფრო კი — არ არსებობს.<sup>1</sup>

მართალია, საქართველოში ინფორმაციის მოპოვების საკითხი შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ აქაც ის ხშირად ძნელად ხელმისაწვდომია, არასრულია ან — არასანდო. ეს განსაკუთრებით ეხება იძულებით გადაადგილებულ პირთ ან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ოსების მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს. დროის შეზღუდულობა და სამხრეთ ოსეთის პირადად მონახულების

<sup>1</sup> „თუ არ შევხებით არსებული ანგარიშების მხარეს, შესაძლებელია დარწმუნებით ითქვას, რომ არც ერთი მათგანი არ იძლევა იმ ვითარების შესახებ სრულფასოვან ინფორმაციას, რაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთში ომის შემდგომ, და ერთობლივადაც ვერ ასახავენ ამგვარ ერთიან, დანვრილებით სურათს. უკანასკნელი წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთი იქცა „რუხ ზონად“, რომელშიც პრაქტიკულად ყველა ჰუმანიტარულ ორგანიზაციას უჭირს მუშაობა... არც სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება და არც საზოგადოება არ იძლევა საშუალებას მოძიებულ იქნეს დანვრილებითი ინფორმაცია ვითარების შესახებ. შესაძლოა, რომ ეს უკავშირდება ინფორმაციის შესაგროვებლად და გასაანალიზებლად საჭირო რესურსების ნაკლებობასაც, შესაძლოა — პროფესიონალიზმის არასაკმარისი დონით და შესაძლოა, ზოგჯერ მაინც, ზოგიერთი ცნობის პოლიტიკურად მოტივირებული მიჩუმათებით ან განზრახ დამახინჯებით... დღესდღეისობით საჯარო სივრცეში არ მოიპოვება ინფორმაცია, რომელიც სჭირდება ადამიანს, რომ სრული წარმოდგენა შეექმნას რეგიონში არსებული ჰუმანიტარული პრობლემების შესახებ“. Варвара Пахоменко. *Обитаемый остров. Заметки о демографии юго-осетинского конфликта*. Кавказский Узел. 26.08. 2010, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/173406/>

შეუძლებლობა — ეს კიდევ ორი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელთაც უარყოფითად იმოქმედეს წინამდებარე ნამუშევრის ხარისხზე.

### ზოგადი კონტექსტი: მსოფლიო, რუსეთი, ჩრდილოეთ კავკასია

ოსურ-ქართული ურთიერთობების შესაძლო მოდელების სხვადასხვა დროით პერსპექტივაში განსახილველად საჭიროა მათი გააზრება, როგორც მრავალ გარე ფაქტორზე დამოკიდებული გეოპოლიტიკური ქვესისტემისა. ამგვარი ფაქტორებია: ზოგადი გეოპოლიტიკური კონტექსტი, მხარეების მიერ დასახული მიზნები და ამოცანები, გეოგრაფიული სპეციფიკა, მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარების ტენდენციები და შესაძლო სცენარები. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთის გარე სამყაროსგან უკიდურესი იზოლაციის გამო, გლობალური პროცესები მასზე გავლენას ახდენს მხოლოდ არაპირდაპირი გზით, რუსეთში მიმდინარე ძირითადი ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების მეშვეობით, რაც კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებსაც გულისხმობს; ასევე, რა თქმა უნდა, — საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედების მეშვეობითაც. საქართველო კი, პირიქით, უშუალოდ არის დამოკიდებული საერთაშორისო გარემოზე და უაღრესად მგრძობიარეა მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ძვრებისა და მოვლენების მიმართ.

2008 წლის ზაფხულიდან მოყოლებული რამდენიმე მნიშვნელოვანმა პროცესმა მოახდინა ძლიერი გავლენა მსოფლიოზე და ჩვენთვის საინტერესო რეგიონზე. ეს არის გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც გამოიწვია მსოფლიოში ეკონომიკური გავლენების გადანაწილება; რუსეთსა და დასავლეთს (პირველ რიგში — შეერთებულ შტატებს) შორის ურთიერთობების „გადატვირთა“; არეულობა და აჯანყებები არაბულ სამყაროში („არაბული გაზაფხული“), რამაც კვლავ აქტუალურად აქცია ავტორიტარული რეჟიმების სტაბილურობის საკითხი;<sup>2</sup> დაბოლოს — რუსეთში ტერორისტული აქტივობის დრამატული ზრდა და ამასთან დაკავშირებული ნაციონალისტური განწყობების აღმოცენება როგორც ეთნიკურ რუსებს, ისე რუსეთის ფედერაციის ეთნიკურ უმცირესობებს შორის. ახლო დროით პერსპექტივაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არჩევნებს, რომლებიც უნდა ჩატარდეს სამხრეთ ოსეთში, რუსეთსა და საქართველოში. ამ არჩევნების შედეგებმა შესაძლოა დაგვანახოს, თუ რა მიმართულებით განვითარდება შესაბამისი ურთიერთობები ასიმეტრიულ სამკუთხედში — მოსკოვი-თბილისი-ცხინვალი.

რუსეთმა მეტად მტკივნეულად გადაიტანა ეკონომიკური კრიზისი<sup>3</sup>, თუმცა სწრაფადვე იწყო იქიდან გამოსვლა.<sup>4</sup> მსოფლიო ბანკის პროგნოზით, რუსეთის მთლიანი

<sup>2</sup> სულ უფრო პოპულარული ხდება არაბულ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესების პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გამეორების თემა. იხ., მაგ.: Hrant Kostanyan. *Spillovers from the Arab Revolts: Is Armenia next in line?* CEPS Policy Brief No. 236, 15 March 2011 <http://www.ceps.eu/book/spillovers-arab-revolts-armenia-next-line>.

<sup>3</sup> „მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ჩვენი მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. მშფოთვარე ცვლილებების ოცმა წელმა ვერ მოსპო ჩვენი ქვეყნისთვის მეტად დამამცირებელი დამოკიდებულება ნედლეულის ექსპორტზე. ჩვენმა ამჟამინდელმა ეკონომიკამ შეინარჩუნა საბჭოთა ეკონომიკის უდიდესი ცოდვა — ის დიდწილად უგულებელყოფს ადამიანის მოთხოვნილებებს. ჩვენი ეროვნული ბიზნესი, მცირე გამოწარმოებით, ახალს არაფერს იგონებს, არ ქმნის ადამიანებისთვის საჭირო ნივთებსა თუ ტექნოლოგიებს. ვაჭრობს კი იმით, რაც თვითონ არ შეუქმნია — ნედლეულით ან იმპორტული საქონლით. ის მზა ნაწარმი კი, რომელიც რუსეთშია დამზადებული, ძირითად მასაში ჯერჯერობით ფრიად დაბალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა“. Д. Медведев. *Россия, вперед!* 10 сентября 2009. <http://kremlin.ru/news/5413>

<sup>4</sup> „მიუხედავად ამისა, რეგიონების დიდ ნაწილში ვითარება საკმაოდ სავალალოა, სოციალური პოლიტიკის დამოუკიდებელი ინსტიტუტის რეგიონული პროგრამის დირექტორის, ნატალია ზუბარევიჩის თანამად, „ქვეყანა დაყოფილია ნაწილებად. თუ შემოსავლების დინამიკას ავიღებთ, რეგიონების აბსოლუტურ უმრავლესობაში ეკონომიკური ვარდნა ჯერაც არ დაბალანსებულა. კრიზისიდან მეტად ნელა და არამდგრადად გამოვდივართ. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ რეგიონები კრიზისიდან ჯერ არ გამოსულან“. Сергей Куликов. *Половина регионов России еще не вышла из кризиса*. Независимая Газета, 31.03.2011. [http://www.ng.ru/economics/2011-03-31/1\\_crisis.html](http://www.ng.ru/economics/2011-03-31/1_crisis.html)

შიდა პროდუქტის ზრდა 2011 წელს, სავარაუდოდ, მიაღწევს 4.2 პროცენტს, თუმცა უმთავრეს პრობლემად რჩება მაღალი ინფლაცია. გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთის ეკონომიკისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ნავთობის საერთაშორისო ფასებზე ჭარბი დამოკიდებულება. გამომდინარე რუსეთისათვის დამახასიათებელი ინსტიტუციონალური სისუსტიდან, მისმა „რესურსულმა დაწყვეტილობამ“ შესაძლოა მეტად ეფექტურად შეზღუდოს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდა.<sup>5</sup> ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მეორე მნიშვნელოვანი შემზღუდველი ფაქტორი არის შრომითი რესურსების შეუქცევადი კლება.<sup>6</sup> ამგვარ სიტუაციაში ნაკლებად მოსალოდნელია გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადი ეკონომიკური განვითარება, თუმცა ცხოვრების დონის ზრდა უახლოეს დროს სავსებით შესაძლებელია ნედლეულის ექსპორტზე ორიენტირებულ საზოგადოებაში, მოსახლეობის სწრაფი დაბერებისა და დაბალი შობადობის პირობებში, თუკი შენარჩუნდება და გაიზრდება ნავთობის უკვე ისედაც საკმაოდ მაღალი ფასები. ჯამში, რუსეთის ეკონომიკის ზრდის შედარებით დაბალი ტემპები (წელიწადში 2,5-4 პროცენტი) და რეალური შემოსავლების დაბალი ზრდა ან სტაგნაცია წარმოადგენს ყველაზე სავარაუდო ინერციულ სცენარს უახლოესი წლებისთვის (ხელსაყრელი საბაზარო კონიუნქტურის პირობებში)<sup>7</sup>. მიუხედავად ამისა, რუსეთის მთავრობა გეგმავს საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას არა მხოლოდ სოციალურ სფეროში, არამედ უახლოეს წლებში აპირებს დახარჯოს ტრილიონობით რუბლი ჯარის შეიარაღებაზე.<sup>8</sup>

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში გეოპოლიტიკური კონტექსტი შეიცვალა არა რუსეთის სასარგებლოდ, ხოლო მისი მდგომარეობა დაამძიმა მრავალმა პრობლემამ და სისუსტემ<sup>9</sup>. 2008-2009 წლების ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმაც კი ვერ შექმნა საკმარისი სტიმული, რომ რუსეთში გატარებულიყო მეტად საჭირო რადიკალური რეფორმები, რომელთა მიზანიც იქნებოდა ქვეყნის მოდერნიზაცია და უკანასკნელ წლებში განადგურებული თუ დასუსტებული დემოკრატიული ინსტიტუტების აღდგენა.

და თუმცა რუსეთი კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ასპარეზზე, მისი საერთაშორისო გავლენის ძირითად ფაქტორებად რჩება ბირთვული იარაღი და ნახშირწყალბადების დიდი მარაგი, რასაც ემატება პოლიტიკური არაპროგნოზირებადობა და ამბიციები. რუსეთის ენერგორესურსებზე გარე მოთხოვნილების ერთგვარმა შემცირებამ უკვე განაპირობა ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან ენერგეტიკული პოლიტიკის ფუნდამენტური შეცვლა, რაც ყველაზე ნათლად

<sup>5</sup> იხ., მაგ.: Roland Beck, Annette Kamps and Elitza Mileva. *Long-term growth prospects for the Russian economy*. European Central Bank, Frankfurt. March 2007. [http://ssrn.com/abstract\\_id=967603](http://ssrn.com/abstract_id=967603)

<sup>6</sup> „იმ გამოწვევათა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ მოდელს, რომლითაც უნდა გავავარდნიოთ წინსვლა, არის დემოგრაფია. დემოგრაფიული პრობლემა უფრო მწვავედ დგება რუსეთის წინაშე, ვიდრე ის ბევრი სხვა ქვეყანის შემთხვევაში დგას. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემებით, ჩვენს ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხვი, რაც 2011 წელს 67.9 მილიონ ადამიანს შეადგენს, 2020 წლისთვის 64,6 მილიონამდე დაეცემა. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველ წელს ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხვი ჩვენთან დაახლოებით 300-400 ათასით შემცირდება“. Стенограмма выступления А.Л. Кудрина на VIII Красноярском экономическом форуме, 18 февраля 2011 г.

<http://www.minfin.ru/ru/press/transcripts/printable.php?id4=12090>

<sup>7</sup> Кирилл Рогов. *Гипотеза третьего цикла*. Pro et Contra. Июль-октябрь 2010. გვ.11.

[http://carnegieendowment.org/files/ProetContra\\_50\\_6-22.pdf](http://carnegieendowment.org/files/ProetContra_50_6-22.pdf)

<sup>8</sup> „რუსეთი შეიარაღებაზე დახარჯავს 20 ტრილიონ რუბლს 2020 წლამდე შეიარაღების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა. აქედან დაახლოებით 5 ტრილიონი ქვეყნის სამხედრო საზღვაო ფლოტის კომპლექსურ შეიარაღებას მოხმარდება, განაცხადა მთავრობის ხელმძღვანელმა ორშაბათს სვეროდვინსკში გამართულ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა 2011-2020 წლების შეიარაღების სახელმწიფო პროგრამის პროექტის ფორმირების საკითხებს“. <http://www.newsru.com/russia/13dec2010/strashno.html>

<sup>9</sup> „რომ შევაჯამოთ — არაეფექტური ეკონომიკა, ნახევრად-საბჭოთა ყაიდის სოციალური სფერო, განუმტკიცებელი დემოკრატია, ნეგატიური დემოგრაფიული ტენდენციები, არასტაბილური კავკასია. ეს ძალიან დიდი პრობლემებია ისეთი ქვეყნისთვისაც კი, როგორცაა რუსეთი“. Д. Медведев. *Россия, вперед!* 10 сентября 2009 года. <http://www.kremlin.ru/news/5413>

გამოავლინა ადრე ყბადაღებული „სამხრეთის ნაკადის“ (South Stream) მოახლოებულმა აკონიამ<sup>10</sup>.

ამკარაა, რომ რუსეთის გავლენა რეგიონში და მსოფლიოში საშუალო და გრძელვადიან დროით პერსპექტივაში შესუსტების ტენდენციას ავლენს. თვით პოსტსაბჭოური სივრცის ფარგლებშიც კი, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ რუსეთი შეუდარებლად უფრო ძლიერია, ვიდრე სათითაოდ ყველა მისი მეზობელი, მისი გავლენის მასშტაბი თანდათანობით იზღუდება. ეს ნათლად აჩვენა მეზობელი ქვეყნების ერთსულოვანმა უარმა სამხრეთ ოსეთის (და აფხაზეთის) დამოუკიდებლობის აღიარებაზე. იგივე ითქმის რუსეთის წარუმატებელ მცდელობაზე უკუექცია ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი.

იმ უმნიშვნელოვანეს პროცესებს შორის, რომლებიც განსაზღვრავს ვითარებას რუსეთში და განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეს უქმნის გრძელვადიან პერსპექტივაში, არის მოსახლეობის რიცხვის შეუქცევადი შემცირება, რასაც ასევე მოჰყვება მოსახლეობის სტრუქტურის შეცვლა<sup>11</sup>. ექსპერტების ვარაუდით, მომდევნო ათწლეულების განმავლობაში რუსეთი გააგრძელებს მოსახლეობის კარგვას, რამეთუ შობადობის ვარდნას მხოლოდ ნაწილობრივ აბათილებს იმიგრანტთა ნაკადი, ძირითადად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან.

რუსეთის მოსახლეობის ბოლო აღწერის წინასწარი შედეგების საფუძველზე „როსსტატმა“ წარმოადგენა ქვეყნის 2010 წელს მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასება.<sup>12</sup> ამ წინასწარი მონაცემების თანახმად, 2010 წლის 1 იანვრისთვის რუსეთის მოსახლეობა შეადგენდა 142.96 მილიონ ადამიანს. ეს კი ნიშნავს, რომ ბოლო აღწერიდან გასული რვა წლის განმავლობაში რუსეთის მოსახლეობა 2.2 მილიონით შემცირდა.<sup>13</sup> ექსპერტების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს არა იმდენად თვით მოსახლეობის შემცირება ანდა მზარდი გენდერული დისპროპორცია<sup>14</sup>, არამედ ამ პროცესის გეოგრაფიული და ეთნიკური არაერთგვაროვნება.

მართლაც, ეთნიკური რუსების წილის დაცემა ნაწილობრივ კომპენსირდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე — ეს კი, პირველ რიგში, კავკასიელებია და ემიგრანტები შუა აზიიდან.

აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით, მოსახლეობის ყველაზე მაღალი ზრდა (6,3%) სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში დაფიქსირდა. ამ რეგიონის

<sup>10</sup> Антон Ключкин. *Случилось странное*. Lenta.ru: Комментарии: 18.03.2011

<http://lenta.ru/articles/2011/03/18/potok/>

<sup>11</sup> ცნობილმა დემოგრაფმა ხატოვანად აღწერა ეს უდიდესი ვითარება: „აჩრდილი დადის რუსეთში დღეს. ეს არ არის კომუნიზმის აჩრდილი — ეს მოჩვენება დიდი ხანია წარსულის სხვენშია მიჯაჭვული. ეს არის დემოპულაციის აჩრდილი — უმოწყალო, შეუპოვარი და, როგორც ჩანს, შეუქცევადი დემოპულაციისა“. Nicolas Eberstadt. *Drunken Nation: Russia's Depopulation Bomb*. World Affairs, Spring 2009. <http://www.worldaffairsjournal.org/articles/2009-Spring/full-Eberstadt.html>. იხ. აგრეთვე: Nicholas Eberstadt. *Russia's Peacetime Demographic Crisis: Dimensions, Causes, Implications*. The National Bureau of Asian Research. May 2010. [http://www.nbr.org/publications/specialreport/pdf/preview/Russia\\_demography\\_preview.pdf](http://www.nbr.org/publications/specialreport/pdf/preview/Russia_demography_preview.pdf)

<sup>12</sup> Росстат усилил картину вымирания россиян новыми данными. Новости newsru.com, 29 марта 2011. <http://newsru.com/russia/29mar2011/rosstat2010.html>. იხ. ასევე: *Исчезающая мировая держава*. Das Berlin-Institut für Bevölkerung und Entwicklung, 2011. <http://www.berlin-institut.org/selected-studies/the-waning-world-power.html>

<sup>13</sup> „საბჭოთა კავშირის 1991 წელს დაშლის შემდგომ რუსეთის მოსახლეობა სტაბილურად კლებულობდა; მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაეცა დაახლოებით 60 წლმდე, მაშინ, როცა ქალების - 72 წლამდე. სოციალურ და ეკონომიკურ შოკებს მოჰყვა მზარდი ალკოჰოლიზმი, დეპრესია და სხვა დაავადებები“. Tony Halpin. *Millions of men disappear as demon drink takes its toll*. The Times, 29.03.2011 <http://www.thetimes.co.uk/tto/news/world/europe/article2964251.ece> / <http://rus.ruvr.ru/2011/03/29/48149251.html>. იხ. ასევე: Nicholas Eberstadt. *Drunken Nation: Russia's Depopulation Bomb*. World Affairs, Spring 2010. <http://www.worldaffairsjournal.org/articles/2009-Spring/full-Eberstadt.html>

<sup>14</sup> მაგალითად, გლობალიზაციის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორმა მიხეილ დელიაგინმა განაცხადა, რომ „მიმდინარეობს მოსახლეობის რუსული ნაწილის გადაშენება, რუსეთში ეთნოკულტურული ბალანსის მოშლა“, ხოლო ამგვარი ტენდენციის შენარჩუნების პირობებში „რუსეთის მართვის სადავეებს, რვა წლის შემდეგ თუ არა, 20 წლის შემდეგ ნამდვილად კავკასიელები ჩაიგდებენ ხელში“. Русская служба новостей, 28.03.11; <http://www.rusnovosti.ru/guests/visitor/56172>

მოსახლეობის რიცხვმა 9.5 მილიონს მიაღწია, რაც მხოლოდ ორჯერ ნაკლებია მთელი ციმბირის უზარმაზარ სივრცეზე მცხოვრები (თანაც კლებადი) მოსახლეობისა (აქ დაახლოებით 19.3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ანუ რუსეთის მთელი მოსახლეობის 14%-ზე ნაკლები, და ეს მაშინ, როცა ციმბირის ფართი ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 57 პროცენტს შეადგენს).

ზემოხსენებული პროცესები, რასაც ემატება ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე დაბალი ინტენსივობის სამოქალაქო ომი, ტერორისტული აქტები, რომლებმაც უკვე რუსეთის დედაქალაქს მიაღწია, და მასმედიაში ალარმისტული რიტორიკის დახვავება ხელს უწყობს რუსული ნაციონალიზმის აღმოცენებას. ამან კი შესაძლოა ახლო მომავალში გზა გაუხსნას ძალადობის აღმავალ სპირალსა და არასტაბილურობას. გასული წლის დეკემბერში მოსკოვის მანუჟის მოედანზე და რუსეთის სხვა ქალაქებში განვითარებული მოვლენები არის მხოლოდ პირველი ნიშნები იმისა, რომ ხელისუფლების მიერ ადრე ნალოლიავეები ეთნიკური ნაციონალიზმი მალე შესაძლოა უკონტროლოდ განვითარდეს. რუსეთის ფედერაციის ეთნიკურ ტერმინებში ხელახლა განსაზღვრა, როგორც, პირველ რიგში, რუსების სახელმწიფოსი, შეიძლება იქცეს ყველაზე სახიფათო ტენდენციად ქვეყნის პოსტსაბჭოურ ისტორიაში — ამგვარი პოლიტიკური პროექტის რეალიზაციას შესწევს ძალა ქვეყნის შიდა მთლიანობა ააფეთქოს და სახელმწიფო საზღვრების გადახედვაც კი გამოიწვიოს.

ბოლო წლებში რუსეთის ეთნონაციონალიზმი ძირითადად ქსენოფობიის ფორმას იღებს<sup>15</sup>. განსაკუთრებით — მოსკოვისა და პეტერბურგის რეგიონებში ეთნიკურად მოტივირებული დანაშაულის მოხშირებული შემთხვევები ფიქსირდება. ამავდროულად, ექსტრემისტები საკმაოდ ხელსაყრელ სოციალურ გარემოში მოქმედებენ. როგორც „ლევადა-ცენტრის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვები აჩვენებს, მათი რიცხვი, ვინც ასე თუ ისე იზიარებს იდეას „რუსეთი — რუსებისთვის“, 1998 წელს ნაჩვენები 43 პროცენტიდან 2011 წელს 58 პროცენტამდე გაიზარდა<sup>16</sup>. ეთნიკურ ნაციონალიზმთან ერთად სულ უფრო მეტ ძალას იკრებს რეგიონული ნაციონალიზმიც, რომელიც ძირითადად უპირისპირებს შორეული რეგიონების მოსახლეობას ცენტრს, რაკი ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის კოლონიური ძარცვის მთავარი მოქმედი მხარე. ასე, მაგალითად, რუსეთის მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის თანახმად, შთამბეჭდავ რიცხვს მიაღწია ციმბირში მცხოვრებ ადამიანთა შორის ისეთებმა, ვინც საკუთარ ეროვნებად „ციმბირელი“ დაასახელა<sup>17</sup>.

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის კონტექსტთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოფოტების გამომწვევი ის პროცესები, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლება ავლენს არა მხოლოდ უცნაურ პასიურობას სულ უფრო გამწვავებული ვითარების პირისპირ, არამედ სრულ უუნარობასაც — სათანადოდ შეაფასოს სიტუაცია და დაგეგმოს მის გამოსასწორებლად საჭირო ეფექტური ზომები<sup>18</sup>. რუსეთის სახელმწიფოსთვის ხომ

<sup>15</sup> დიმიტრი ტრენინი: „იმპერიული ცნობიერების, იდეოლოგიზირებული ცნობიერების შემდგომ პირველ პოზიციებზე გამოვიდა ეროვნული ცნობიერება, ნაციონალიზმი, ხშირად არცთუ საუკეთესო გამოვლინებებით. და ამ აზრით, ანტიკავკასიურ და ანტიამერიკულ სენტიმენტებს ერთი და იგივე ფესვები აქვთ...“ «Лицом к лицу»: интервью с директором Московского Центра Карнеги Дмитрием Трениным. Данила Гальперович, Радио Свобода, 13 марта 2011 г. <http://carnegie.ru/publications/?fa=43158>

<sup>16</sup> იური ლევადას სახელობის ანალიტიკური ცენტრის (ლევადა-ცენტრის) მიერ 2011 წლის 21-24 იანვარს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. გამოკითხულ იქნა 1600 რუსეთის მოქალაქე, 18 წელზე უფროსი, ქვეყნის 45 რეგიონის 130 დასახლებულ პუნქტში. <http://www.levada.ru/press/2011020407.html>

<sup>17</sup> Владимир Антипин. *Гражданин Сибири*. Русский Репортер. 22 февраля 2011, №07 (185) <http://rusrep.ru/article/2011/02/22/sibir/>

<sup>18</sup> „კავკასიაში კრემლის მიერ დღეს განხორციელებული პოლიტიკა ვერ მოიტანს წარმატებას. ფედერალური ხელისუფლება კონცენტრირებულია ჩრდილოეთ კავკასიის სტაბილიზაციის და 2014 წლის ოლიმპიადის მომზადების მოკლევადიან, სწრაფ შედეგებზე ორიენტირებულ სტრატეგიაზე, ნაცვლად იმისა, რომ შეიარაღებაზე აიღოს გრძელვადიანი, მთელი ქვეყნის მასშტაბზე გამიზნულ მიდგომაზე, რომელიც შეიძლება უზრუნველყო რეგიონში მდგრადი სტაბილურობა და განვითარება“. Мария Липман, Николай Петров. «Тандемная» система государственного управления и принятия решений в России.

ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე და თანდათანობით მის გარეთაც გავრცელებული პროცესები უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. ალექსეი მალაშენკოს თქმით, „მთელი ჩრდილოეთ კავკასია იმყოფება ლატენტიური სამოქალაქო ომის ვითარებაში“<sup>19</sup>.

არანაკლებ შეშფოთებული არიან რუსეთის ოფიციალური პირებიც. ასე, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამთავრობო კომისიის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პრობლემასთან დაკავშირებულ სოციალურ ფაქტორებს<sup>20</sup> და დაიქადამა მხოლოდ 2011 წლის განმავლობაში 400 მილიარდი რუბლის ოდენობის ინვესტიციების დაბანდებას რეგიონის განვითარებაში. 2010 წლის სექტემბერში მთავრობამ დაამტკიცა „ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის 2025 წლამდე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია“. 2010 წლის იანვარში დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე რუსეთის მთავრობამ წარმოადგინა დადესტანსა და ადიღეაში სათხილამურო ტურიზმის განვითარების ამბიციური გეგმები.<sup>21</sup> ფაქტი კი ის არის, რომ მოსკოვი პრაქტიკულად კარგავს ამ რეგიონებზე კონტროლს, ვერ ახერხებს რა კავკასიაში მშვიდობის დამყარებას ვერც სამხედრო ძალითა და ვერც მრავალმილიარდოლარიანი ფინანსური ინექციების მეშვეობით.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩეჩნეთის გარდა სხვა ავტონომიების „კადრიზაციის“ მცდელობებიც სერიოზული რისკების მატარებელია და ამას შესაძლოა მოჰყვეს რეგიონში კონტროლის შემდგომი შესუსტება, რასაც ისედაც ხელს უწყობს ეთნიკურად რუსი მოსახლეობის რეგიონიდან მზარდი გადინება. აქ განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს „კავკასიის იმარატის“ და დასავლეთ კავკასიაში მოქმედი რადიკალურ ჯგუფებს შორის მოქმედებათა მზარდი კოორდინაციის რისკი, რასაც მოჰყვება რეგიონში სიტუაციის მკვეთრად გამწვავება და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თვით 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებასაც. ჩრდილოეთ კავკასიაში თანაარსებობენ არა მხოლოდ ეთნიკური ნაციონალიზმის ადგილობრივი ვერსიები და სეპარატისტული მისწრაფებები, რასაც აღრმავებს მძიმე სოციალური ვითარება, სიღარიბე და მასობრივი უმუშევრობა, ავტორიტარული მმართველობა, კორუფცია და კლანურობა, არამედ აქ მზარდ როლს თამაშობს რადიკალური ისლამი, რომელიც თანდათან სულ უფრო მეტ მიმდევარს იზიდავს არა მარტო ახალგაზრდა

Выступление в Фонде Карнеги за Международный Мир в Вашингтоне, 19 октября 2010.  
<http://russian.carnegieendowment.org/events/?fa=eventDetail&id=3100>

<sup>19</sup> იხილეთ ასევე მისი ამასწინდელი ინტერვიუ: „ - მაშ თქვენ მიიჩნევთ, რომ სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში კატასტროფულია? - სამწუხაროდ, დიახაც რომ კატასტროფულია. ამავე დროს, ის არ უნდა იქნეს განხილული შავ და თეთრ ფერებში - თითქოსდა იყოს პოზიტივის მატარებელი ეფექტური სახელმწიფო, კარგი სამართალდამცავი ორგანოები - შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროების ფედერალური სამსახური, რომ არის რაღაც სამოქალაქო საზოგადოება, ერთი მხრივ; ხოლო, მეორე მხრივ, არიან ცუდი ადამიანები, რომელთაც „ვაჰაბიტები“ ჰქვიათ და რომლებიც წყალს ამღვრევენ. უნდა გვესმოდეს, რომ ეს მეტად პრიმიტიული მიდგომაა და ის არ ასახავს ვითარების სერიოზულობას. დღეს ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა მეტად ჭრელი სურათი სხვადასხვა წინააღმდეგობით — სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური თუ ეთნიკური ხასიათისა. და ამ წინააღმდეგობებისგან თავის დაღწევა „წრფივი“ ქმედებით პრაქტიკულად შეუძლებელია“. Профиль №10 (709), 21 марта 2011 г.  
<http://www.profile.ru/items/?item=31859>

<sup>20</sup> „კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩვენი მიზანია ძირეულად შეცვალეთ ვითარება ჩრდილო კავკასიაში და აქ საუბარი გვაქვს იმაზე, რომ უზრუნველყოთ მათი უსაფრთხოება და საკუთარ მიწაზე მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა. უნდა აღმოიფხვრას ყოველივე ის, რაც ასაზრდოებს ტერორიზმსა და ექსტრემიზმს, და ეს კი, უპირველეს ყოვლისა, არის სიღარიბე და უმუშევრობა, განათლებისა და ცოდნის დაბალი დონე, კორუფცია და უკანონობა“. <http://www.premier.gov.ru/events/news/13920/>

<sup>21</sup> „რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ არსებობს მხოლოდ ერთი - ყველა კავკასიურ რესპუბლიკაში სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარების მასშტაბური კონცეფცია. მიმდინარე მოვლენების ფონზე ეს იდეა სრულიად აბსურდულად აღიქმება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუკი მისი აზრი მართლაც ტურისტების მოზიდვაში და სამუშაო ადგილების შექმნაში დავინახეთ. ის ბევრად უფრო რაციონალურად წარმოჩნდება, თუკი მას შევხვდავთ, როგორც ადგილობრივი ელიტების ლოიალურობის და სტაბილურობის საფასურს, პლუს სამშენებლო კომპლექსის განვითარებას, რამაც მართლაც შეიძლება სამუშაო მისცეს ადამიანებს“. Николай Петров. Грани, 28.02.2011  
<http://grani.ru/opinion/petrov/m.186617.html>

კავკასიელების რიგებიდან, არამედ ზოგჯერ ეთნიკური რუსებიდანაც. უფრო მეტიც, არის იმის დიდი საშიშროება, რომ რადიკალური ისლამი სრული ძალით გავრცელდება ვოლგა-ურალის რეგიონშიც, სადაც რიცხობრივად დომინირებენ მუსლიმანები, კერძოდ — თათარსტანსა და ბაშკორტოსტანში<sup>22</sup>.

მეტად დამახასიათებელია სულ უფრო ფართო მსჯელობა ჩრდილო კავკასიის იზოლაციისა ან რუსეთიდან მთლიანად გამოყოფის პერსპექტივის გარშემო, რაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ პრაქტიკულად მსჯელობის მიღმა დარჩენილ, ეგზოტიკურ თემად აღიქმებოდა.

რუსეთის ცენტრალურ რეგიონებში მცხოვრები ბევრი ადამიანი ადვილად ღიზიანდება, როცა აწყდება კავკასიელების კულტურულ და ქცევით განსხვავებულობას, მწვავედ აღიქვამს მათთან ასოცირებულ (რელაურ თუ წარმოსახვით) პრობლემებს — ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის ან ყოველდღიური ძალადობის (რაც განსაკუთრებით გავრცელებულია რუსეთის ჯარში) ეთნიკურ განზომილებას. ისეთი საკითხებიც კი, როგორცაა უვიზო რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებში, ხომ, ბევრი ექსპერტის აზრით, მუხრუჭდება სწორედ „კავკასიელების პრობლემების“ გამო<sup>23</sup>.

### ვითარება საქართველოში (კონფლიქტის ზონების გარდა)

საქართველოში არსებული ვითარება, ჩვენი თემის თვალთახედვიდან გამომდინარე, შეიძლება დავყოთ ეკონომიკურ (ეკონომიკური განვითარება და ზრდა, მაკროეკონომიკური ტენდენციები, ინვესტიციები, წარმოება და ვაჭრობა), სოციალურ (სიღარიბე, უმუშევრობა, სოციალური დაცვა, დემოგრაფია, სოციალური ინფრასტრუქტურა) და ბოლოს — პოლიტიკურ (მთავრობა, არჩევნები, პოლიტიკური დაჯგუფებები, საგარეო და საშინაო პოლიტიკა) სფეროებად. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად ქართულმა საზოგადოებამ უძლიერესი შოკი განიცადა და აგვისტოს ომს კიდევ დიდხანს ექნება შორს მიმავალი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თანმდევი შედეგები. ომის შემდგომი სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა გლობალურმა კრიზისმა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები და საჯარო პოლიტიკა, რაც ზემოთ აღწერილ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მოვლენების ფონზე ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ სუსტადაა ინტეგრირებული გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დამატებითი ზეწოლა მოახდინა საქართველოს ისედაც მყიფე ეკონომიკაზე. ქართული ეკონომიკის არამდგრადობის ერთ-ერთი მიზეზი კი ისაა, რომ ქვეყნის კეთილდღეობა დიდწილად დამოკიდებულია მისი სატრანზიტო პოტენციალის რეალიზაციაზე და სატრანზიტო საქონლის, პირველ რიგში, ენერგორესურსების ფასებზე. განსხვავებით მეზობელი აზერბაიჯანისა და რუსეთისგან, საქართველო შედარებით ღარიბია ნახშირწყალბადების მარაგის მხრივ, თუმცა ამ სფეროში გარკვეულ ოპტიმიზმს ქმნის როგორც უკვე ნაპოვნი ნავთობი აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანის საზღვრის მეზობლად, ისე შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ღრმად

<sup>22</sup> როგორც ამას წინათ აღნიშნა მილიციის გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ვლადიმირ ოჩინსკიმ, „პლუს ამას, ვოლგისპირეთსაც ცეცხლი უკიდია. ფაქტობრივად, ყოველ კვირას ერთი ტერორისტული ჯგუფის ლიკვიდაცია მაინც გვიხდება ბაშკორტოსტანსა და თათარსტანში, უბრალოდ გაზეთები ამაზე არ წერენ...“ <http://newtimes.ru/articles/detail/34785/>

<sup>23</sup> „ევროკავშირის არ სურს უვიზო რეჟიმის შემოღება რუსეთისთვის და უახლოეს დროს არც აპირებს სავიზო რეჟიმის შემსუბუქებას“, - განაცხადა ბელგიის ელჩმა მოსკოვში გი ტრუვერუამ (Guy Trouveroy). „მთავარი მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირი არ არის დაინტერესებული ვიზების გაუქმებაში — განმარტა დიპლომატმა, — არის რუსეთის პრობლემური რეგიონებიდან ევროპისკენ ლტოლვილთა დიდი ნაკადის მოლოდინი“. *Посол Бельгии: Европа не отменит визы для россиян - боится кавказцев*. NEWSru.com, 1 марта 2011 г. <http://newsru.com/russia/31mar2011/boitso.html>

განთავსებული ნავთობის ადრეული ნიშნები.<sup>24</sup> ჯერჯერობით კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითად ფაქტორად რჩება მისი სატრანზიტო ფუნქცია და მის ტერიტორიაზე გამავალი რამდენიმე ნავთობ- და გაზსადენი.

საქართველომ მძიმედ გადაიტანა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დაემთხვა რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი აღდგენის საჭიროებას. თუმცა უნდა აღინიშნოს ის დიდი როლი, რომელიც ითამაშა დასავლეთის უხვმა დახმარებამ კრიზისის გავლენის შემცირების თვალსაზრისით. და მაინც, 2006-2007 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის 10-პროცენტიანი (და უფრო მაღალი) ზრდის შემდგომ, 2008 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპი საგრძნობლად შენედა, ხოლო 2009 წელს კლებით შეიცვალა.

მიუხედავად იმ დიდი სირთულეებისა, როგორცაა მაღალი ინფლაცია და უცხოური ინვესტიციების დრამატული კლება, 2010 წელს ქვეყნის ეკონომიკამ აღდგენა დაიწყო. 2011 წლის თებერვალში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დადებითი მიმართულებით შეცვალა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2011 წლისთვის, 4,5 პროცენტიდან 5,5 პროცენტამდე, და განსაზღვრა წლიური ინფლაციის სავარაუდო შემცირება 8 პროცენტამდე (11,8 % — 2010 წლის დეკემბერში, 12,3 % — 2011 წლის იანვარში და 13,7 % — თებერვალში)<sup>25</sup>. ამავე დროს მთავრობის წინაშე დგას 2012-2014 წლებში დიდი საგარეო ვალის მომსახურების პრობლემა, რაც 2013 წელს მიაწევს 1 მილიარდ დოლარზე ოდნავ მეტ თანხას (მშპ-ის 8%)<sup>26</sup>. ვითარების გარკვეული გაუმჯობესება იწინასწარმეტყველეს უმთავრესმა სარეიტინგო სააგენტოებმაც. ასე, Fitch Ratings-მა საქართველოს გრძელვადიანი ვალის სარეიტინგო პროგნოზი „სტაბილურიდან“ „პოზიტიურით“ შეცვალა და მიანიჭა მას „+“ რეიტინგი. სააგენტო Fitch Ratings-მა ასევე შეაფასა 2010 წელს რეალური მშპ-ის ზრდა 6.5 პროცენტამდე, 2009 წელს 3.9 პროცენტით შემცირების შემდეგ, და იწინასწარმეტყველა 5,0 პროცენტითა და 6,0 პროცენტით ზრდა, შესაბამისად, 2011 და 2012 წლებში<sup>27</sup>.

მიუხედავად 2008 წლის აგვისტომდე ნაჩვენები მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მიღწევებისა, მასობრივი სიღარიბე თუკი შემცირდა კიდევაც ამ პერიოდში, მხოლოდ უმნიშვნელოდ, ხოლო უმუშევრობა და სოციალური უთანასწორობა კვლავ მაღალი დარჩა. სიღარიბე, თავის მხრივ, დიდწილად უკავშირდება დაბალ დასაქმებას და შრომის წარმადობას, განსაკუთრებით — სოფლის მეურნეობაში. ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესობა ძველებურადვე ძირითადად სოფლის მეურნეობაშია დაკავებული და, თუმცა ეს საქმიანობა უზრუნველყოფს არსებობას, ცოტა ვინმეს თუ აქვს შესაძლებლობა, გაიუმჯობესოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. მართლაც, მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს და მუშახელის 55 პროცენტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული მაშინ, როცა ეკონომიკის ეს სექტორი ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის არა უმეტეს 8-9 პროცენტს.<sup>28</sup> უმუშევრობა რჩება უაღრესად სერიოზულ სოციალურ პრობლემად, მით უფრო, რომ ბოლო წლებში შეიმჩნევა მისი ზრდა (12% — 2004 წელს, 16% — 2009 წელს).

ფართოდ გავრცელებული სიღარიბის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციალური დაცვის ეროვნული სისტემა. შესაბამისად, სოციალური დაცვა, რაც მოიცავს პენსიებსა და საპენსიო დანამატებს კონკრეტული ჯგუფებისთვის, ბავშვის დახმარება, ინვალიდობის პენსია და, რაც შედარებით ახალია (2006 წ.), მიზნობრივი სოციალური დახმარება ტრადიციულად სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან წილს ითვისებს. სოლიდარული საპენსიო ჩარიცხვები რჩება ბიუჯეტის სოციალურ დაცვაზე გამოყოფილ უდიდეს ხარჯად, პენსიონერთა მაღალი რიცხოვნობის გამო (2010 წელს საქართველოში ირიცხებოდა დაახლოებით 838,000 პენსიონერი). და ეს მიუხედავად

<sup>24</sup> იხ. მაგ.: Boyko Nitzov. *The Black Sea as the New North Sea*. New Atlanticist, May 19, 2010. [http://www.acus.org/new\\_atlanticist/black-sea-new-north-sea](http://www.acus.org/new_atlanticist/black-sea-new-north-sea)

<sup>25</sup> <http://civil.ge/rus/article.php?id=21765>

<sup>26</sup> IMF. *Georgia— 2011 Article IV Consultation Mission Concluding Statement*. February 22, 2011 <http://www.imf.org/external/np/ms/2011/022211.htm> [მოგვიანებით მოხერხდა ამ საგარეო ვალის დიდი ნაწილის რესტრუქტურირება]

<sup>27</sup> <http://www.interpressnews.ge/en/society/25892-fitch-revises-georgias-outlook-from-stable-to-positive.html>

<sup>28</sup> [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=428&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=428&lang=eng)



იმისა, რომ საბაზისო პენსია საკმაოდ დაბალია — 80 ლარი თვეში, მაშინ, როცა 2011 წლის ზამთარში საარსებო მინიმუმი დაანგარიშებული იყო 150-160 ლარის ოდენობით.<sup>29</sup> საშემოსავლო სიღარიბის გარდა სხვა ფაქტორებიც განაპირობებს საქართველოში ცხოვრების დაბალი ხარისხის შენარჩუნებას. ასე, მაგალითად, დღემდე არადამაკმაყოფილებელია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფენებისთვის საცხოვრებლის უზრუნველყოფის საქმე. ახალი საცხოვრებელი ფართის მშენებლობა თითქმის მთლიანად კერძო სექტორის ხელშია და 1990-იანი წლების დასაწყისში გატარებული საბინაო ფონდის პრივატიზაციის შემდეგ სახელმწიფომ პრაქტიკულად შეწყვიტა საცხოვრებლების მშენებლობაში მონაწილეობა, გარდა იმ იშვიათ შემთხვევისა, როცა მშენებლობა გამიზნულია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის (კერძოდ, 2008 წლის შემოდგომა-ზამთარში).

ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ პოპულარულ გზად რჩება ქვეყნიდან ემიგრაცია. ტრადიციულად, საქართველოს მოსახლეობა არასოდეს ცდილობდა სხვა ქვეყანაში მასობრივად გადასახლებას და, შესაბამისად, უცხოეთში ქართული დიასპორის მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფები თუ არსებობდა. მაგრამ 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, გაუთავებელმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ და პოლიტიკურმა არეულობამ აიძულა ასობით ათასი საქართველოს მოქალაქე გამგზავრებულიყო უცხოეთში — უსაფრთხოების, უკეთესი საარსებო პირობების და თვითრეალიზაციის მეტი შესაძლებლობის ძიებაში. შედეგად, სადღეისოდ საქართველომ დაკარგა მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეხუთედი. თავდაპირველად ემიგრაცია ძირითადად რუსეთისა და დსთ-ის ქვეყნებისკენ იყო მიმართული, ბოლო დროს კი ევროპა და აშშ იქცა მიგრანტთათვის უფრო პოპულარული დანიშნულების ადგილად, ნაწილობრივ იქ ცხოვრების უფრო მაღალი დონისა და ხარისხის გამო, მაგრამ ასევე — რუსეთში ვითარების გაუარესების გამოც.

მასობრივი ემიგრაცია იწვევს მაღალკვალიფიციური და შრომისუნარიანი ადამიანების საქართველოსთვის დაკარგვას, მაგრამ მეორე მხრივ, საზღვარგარეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მეტად მნიშვნელოვანი საარსებო წყაროა ბევრი აქაური ოჯახისთვის და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკისთვისაც. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის კლების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, 2010 წელს, პირველად აღინიშნა საქართველოს მოსახლეობის მატება<sup>30</sup>, როგორც ბუნებრივი მატებისა და მიგრაციით გამოწვეული კლების დადებითი ბალანსი.

ბუნებრივია, რომ ემიგრაცია უფრო ძლიერად ეთნიკურ უმცირესობებს შეეხო, ვიდრე ეთნიკურ ქართველებს, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ქართველთა პროპორციული წილი ქვეყნის მოსახლეობაში (67 %-დან — 1989 წელს, 82%-მდე — 2002 წელს). ამგვარ ცვლილებას ხელი შეუწყო, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ერთი მხრივ, 1990-იანი წლების დასაწყისის კონფლიქტებმა და ნაციონალისტურმა განწყობებმა, ხოლო, მეორე მხრივ, ემიგრაციის უკეთესი პირობების არსებობამ ზოგი ეროვნების წარმომადგენლებისთვის — ებრაელებისთვის, ბერძნებისთვის და ა.შ. მიუხედავად ამგვარი პროცესებისა, საქართველოში შენარჩუნებულია მრავალეთნიკურობა და აქ აგრძელებენ ცხოვრებას როგორც დიდი, კომპაქტურად დასახლებული ჯგუფები (აზერბაიჯანლები, სომხები), ისე ბევრი მცირე ეთნოსის წარმომადგენლებიც. აქ ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოედგენს სამხრეთ ოსეთს გარეთ მცხოვრები ეთნიკური ოსების შემთხვევა.

1989 წლის აღწერის თანახმად, ეთნიკური ოსების რიცხვი საქართველოში შეადგენდა დაახლოებით 164 ათას ადამიანს, რომელთაგანაც 99 ათასი ცხოვრობდა სამხრეთ ოსეთს გარეთ, ხოლო დანარჩენი — სამხრეთ ოსეთში. თბილისში ცხოვრობდა 33.138 ოსი. 1991-1992 მოვლენების შედეგად ოსების დემოგრაფიული განაწილება ძლიერ შეიცვალა, იძულებითი თუ ნებაყოფლობითი მიგრაციის შედეგად, ძირითადად ბორჯომის ხეობიდან და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან, ყველაზე მეტად —

<sup>29</sup> [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=178&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo)

<sup>30</sup> *За год численность населения Грузии увеличилась на 51 тыс. Человек.* Бизнес Грузия. 18/08/2010 <http://bizzone.info/stats/EklkEEVVyy.php>

ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულებით. უკვე 2002 წლისთვის თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ე.ი. სამხრეთ ოსეთის დიდი ნაწილის გარეშე, ეთნიკური ოსების რიცხვმა შეადგინა 38 ათასი ადამიანი, ხოლო თბილისში მცხოვრები ოსების რიცხვი დაეცა 10 ათასამდე. ოსური მოსახლეობის გადინება საქართველოს ტერიტორიიდან შემდგომშიც გაგრძელდა, ყველაზე ინტენსიურად — პანკისის ხეობიდან, იქ რუსეთიდან გადმოსულ ჩეჩენ ლტოლვილთა მხრიდან ზენოლის შედეგად.

სადღეისოდ ეთნიკური ოსების გეოგრაფიული კონცენტრაციის ადგილებად რჩება შიდა ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი და ნაკლები ოდენობით — სხვა რეგიონებიც. საერთო ჯამში, ოსებით დასახლებულია 130-ზე მეტი სოფელი და დიდი ქალაქების უმრავლესობა.<sup>31</sup> რადგან დღეს არ არსებობს ზუსტი დემოგრაფიული მონაცემები საქართველოში მცხოვრები ოსების შესახებ, ისლა დაგვრჩენია, რომ დავეყრდნოთ საექსპერტო შეფასებებს, რომლებიც იძლევა 25-30 ათასის ტოლ სავარაუდო რიცხოვნობას. თუმცა, რა თქმა უნდა, ზუსტი მონაცემების მოყვანა პრინციპულადაც შეუძლებელია, რადგან თვით ეთნიკური კუთვნილების კონცეფციაა არაზუსტი და ბუნდოვანი, და ამავე დროს ხშირია შერეული ქორწინებები და ასიმილაციის შემთხვევები, რაც ვიზუალურ დონეზე ხშირად გამოიხატება გვარებში ქართული სუფიქსების გამოყენებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილი შეფასება გვიჩვენებს, რომ დღეს საქართველოში სამხრეთ ოსეთს გარეთ დაახლოებით იმდენივე ოსი ცხოვრობს, რამდენიც თვით სამხრეთ ოსეთში.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ არ დაფიქსირებულა ოსების მასობრივი გადინება საქართველოდან ან მათ მიმართ ეთნიკურობით განპირობებული აგრესიის კონკრეტული შემთხვევები. ზოგადად, სამხრეთ ოსეთს გარეთ ქართულ-ოსურ ეთნიკურ ურთიერთობებში არ ყოფილა რაიმე შესამჩნევი ცვლილებები. ამავე დროს სოფლად მცხოვრებ ოს მოსახლეობაში არსებობს საქართველოში მათი მომავლის გაურკვეველობის შეგრძნება და საომარი მოქმედებების განახლებისა და ამის შესაძლო შედეგების მოლოდინი და შიში<sup>32</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლების ოპტიმიზაციის პროგრამის შედეგად ბევრი ისეთი სკოლა, სადაც მოსწავლეთა რიცხვი მცირე იყო, შეუერთეს უფრო დიდ სკოლას. ეს შეეხო ზოგ ოსურ სკოლასაც, ანუ ისეთ სკოლებს, რომლებშიც ან კლასების ნაწილში და ან მთლიანად ოსურ ენაზე მიმდინარეობდა სწავლა. შედეგად, მხოლოდ სულ რამდენიმე ასეთი სკოლაღა შემორჩა<sup>33</sup>. არანაკლებ სერიოზული პრობლემა უკავშირდება ოსურ ენაზე თანამედროვე სახელმძღვანელოების ნაკლებობას და კვალიფიციური მასწავლებლების მომზადების ხარვეზებს, რაც ასევე მნიშვნელოვანია თბილისში ახლახან გახსნილი ოსურენოვანი საკვირაო სკოლისთვისაც.

ელექტრონულ მედიასაშუალებებს რაც შეეხება, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არხზე კვირაში ერთხელ გადაიცემა 30-წუთიანი საინფორმაციო გამოშვება ოსურ ენაზე; არის ასევე ყოველკვირეული მოკლე ოსურენოვანი რადიოგადაცემაც. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ იქნა მიღებული რადიკალური ზომები ოსური ენის მხარდასაჭერად, მისი შენარჩუნებისა და სრულფასოვნად გამოყენების პერსპექტივა არ არის იმედის მომცემი. ამ მიმართულებით არც საქართველოში მოქმედი რამდენიმე ოსური ასოციაცია აქტიურობს განსაკუთრებით. ეს ეხება ისეთ უდიდეს გაერთიანებასაც, როგორცაა საქართველოში მცხოვრები ოსების ასოციაციას „ვსმარონ“ (ძმობა), რომელიც დაარსდა 1998 წელს<sup>34</sup>. ამ ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობა ეძღვნება კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას, ოსური ტრადიციების შენარჩუნებას, უმცირესობათა უფლებების დაცვას და ქართველებსა და ოსებს შორის

<sup>31</sup> Giorgi Sordia. *Ossetians in Georgia in the Wake of the 2008 War*. ECMI Working Paper #45, Flensburg: ECMI, August 2009. [http://www.ecmicaucasus.org/upload/publications/working\\_paper\\_45\\_en.pdf](http://www.ecmicaucasus.org/upload/publications/working_paper_45_en.pdf)

<sup>32</sup> G. Sordia. დას. ნაშრ.

<sup>33</sup> Naira Bepievi. *Issue of Ossetians' Education*. 2010. <http://www.bsnp.gfsis.org/articles/87-issue-of-ossetians-education>

<sup>34</sup> „Интервью с президентом ассоциации осетин в Грузии Тенгизом Гаглоевым“. Московская осетинская община. (2004 г.) [http://www.iriston.ru/ru/more\\_news\\_diaspora.php?aid=33](http://www.iriston.ru/ru/more_news_diaspora.php?aid=33)

ნდობის განმტკიცებას. თუმცა, ისევე, როგორც სხვა მსგავსი ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციების შემთხვევაში, მათ საქმიანობას ზღუდავს ფინანსური რესურსების ნაკლებობა და გარკვეული პასიურობა. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი საქართველოს ოსების აქტიურობა საერთოდაც ნაკლებად ჩანს საზოგადოებრივ ასპარეზზე და/ან პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში პოლიტიკური საქმიანობა დღეს ძირითადად უკავშირდება მომავალ, 2012-2013 წლების საპარლამენტო და შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებს. მანამდე კი ნაკლებად მოსალოდნელია ადგილი ჰქონდეს რაიმე გარდამტეხ ცვლილებას ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მიმართ არსებულ მიდგომებში, კერძოდ — სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით.

ბოლო წლებში საქართველოს ხელმძღვანელობის პოპულარულობა დასავლეთში საკმაოდ შესუსტდა, თუმცა ქვეყნის შიგნით, ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხებთან ერთად, ყურადღების ცენტრში კვლავაც რჩება ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზანი, როგორც საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი. დასავლეთს, მეორე მხრივ, სხვა რამეებიც ანუხებს, გარდა კონფლიქტებისა და ზოგადი არასტაბილურობისა, კერძოდ, ის მოსაზრება, რომ ქვეყანა ჩართულია იმ სატრანზიტო დერეფნების სისტემაში, რომლითაც ხორციელდება ნარკოტიკების შეტანა ევროპაში.<sup>35</sup> ასევე — საქართველოში არაერთხელ დააკავეს კონტრაბანდისტები, რომლებიც ცდილობდნენ გამდიდრებული ურანის რუსეთიდან შემოტანას, ძირითადად, სამხრეთ ოსეთის გავლით.<sup>36</sup> დაბოლოს — არასტაბილურობა და ტერორიზმის გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც კვლავაც უმთავრესი თავსატეხივარია ძირითადად რუსეთისთვის, არ შეიძლება არ ანუხებდეს საქართველოსაც. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეთნიკური პრობლემების სიმძაფრე, რაც, პირველ რიგში, სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანლებისა და სომხების ინტეგრაციის სირთულეებს უკავშირდება, ბოლო დროს ერთგვარად შენედა.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველომ განიცადა მრავალი დარტყმა და უბედურება, და არ არის გასაკვირი, რომ ამან კვალი დატოვა მოსახლეობის კოლექტიურ ცნობიერებაზეც. ეს ცნობიერება ხასიათდება ე.წ. „პოსტკოლონიური სინდრომითა“ და ირაციონალური განწყობებით, რომელთაც ფსიქონალიზის ტრადიციის ენაზე ვამიკ ვოლკანმა (Vamik Volkan) უწოდა „ჯგუფური რეგრესია“.<sup>37</sup> საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს მოსახლეობის ღრმა შეშფოთებას არსებული ვითარების მიმართ და, კერძოდ, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა რუსეთთან ურთიერთობა და/ან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფაქტობრივი დაკარგვა.

ცნობილია, თუ რა მნიშვნელოვანი სიმბოლური როლი აქვს რუკებსა და საზღვრებს, და რამდენად მძიმედ აღიქმება ნებისმიერი ტერიტორიული ხელყოფა — ტერიტორია ხომ მიჩნეულია ერის ფუნქციონირების უმთავრეს ელემენტად. ეს დამოკიდებულება კი განსაზღვრავს მოსახლეობის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას

<sup>35</sup> „2009 წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნების სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს შვიდიდან რვა ტონამდე უკანონო ნარკოტიკები, რომელთაც რაღაც ეტაპზე საქართველოზე გამოეცვლო“. The 2011 International Narcotics Control Strategy Report.

<http://www.state.gov/p/inl/rls/nrcrpt/2011/vol1/156360.htm#georgia>

<sup>36</sup> A. Kupatadze. „Radiological Smuggling and Uncontrolled Territories: The Case Of Georgia“. Global Crime, Vol. 8, Issue 1, 2007, pp. 40–57. [http://cns.miis.edu/npr/pdfs/npr\\_17-2\\_kupatadze.pdf](http://cns.miis.edu/npr/pdfs/npr_17-2_kupatadze.pdf)

<sup>37</sup> „შეუძლებელია [ხანგრძლივი ეროვნული და ეთნიკური კონფლიქტების] გაგება, თუკი ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ „რეალური სამყაროს“ ფაქტორებზე, როგორებიცაა ეკონომიკური, სამხედრო, სამართლებრივი და პოლიტიკური გარემოებები. „რეალური სამყაროს“ თემები უკიდურესად „ფსიქოლოგიზირებულია“ — დაბინდულია ზიარი ალქმით, აზრებით, ფანტაზიებით და ემოციებით (როგორც შეგნებული, ისე გაუცნობიერებელი), რაც უკავშირდება გარდასულ დღეთა დიდებასა თუ ტრავმას — დანაკარგს, დამცირებას, გლოვის სიძნელეს, შურისძიების გამართლების შეგრძნებას და შეცვლილი რეალობის მიღებაზე უარის თქმას“. Vamik D. Volkan. *Bloodlines: From Ethnic Pride to Ethnic Terrorism*. New York: Farrar, Straus and Giroux. 1997. გვ. 117

— დასავლეთი და ნატო ცნობიერებაში უკავშირდება უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედს და ეკონომიკურ კეთილდღეობას, ხოლო რუსეთი — დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის მიმართ მუქარას. ამიტომაც პრორუსულ პოლიტიკურ ძალებს არ გააჩნიათ მასობრივი მხარდაჭერა ქვეყანაში.

ეროვნული ინტერესების ოფიციალური კონცეფცია სწორედ ამგვარ წარმოდგენებს შეესატყვისება, აცხადებს რა მთავარ საფრთხედ რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედებების განახლებას და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განთავსებას. უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მიზნად მიჩნეულია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს ხელისუფლების კონტროლ ქვეშ დაბრუნება, ხოლო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია განცხადებულია საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანად. ეროვნული კონცეფციის სხვა მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და, ასევე, ეკონომიკური რეფორმების აჩქარება, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის კეთილდღეობა და მოაგვაროს ყველა სოციალური პრობლემა.

საკმაოდ არათანმიმდევრულად მისაბამ მოდელად შემოთავაზებულია ხან შვეიცარია და ხან კიდევ სინგაპური ან ნებისმიერი სხვა ადგილი, რომელიც მოგზაურობის პროცესში მოიხონა სახელმწიფოს მეთაურმა. თუმცადა, ხშირად კონკრეტული პოლიტიკური ქმედებები წინააღმდეგობაში მოდის ოფიციალურად განცხადებულ მიზნებთან, რაც საბოლოო ჯამში თავს იჩენს ქმედებათა არათანმიმდევრულობაში, გაუთვლელობაში ან არაეფექტურობაში. ასე, მაგალითად, განცხადებები დემოკრატიული თავისუფლებებისა და ღირებულებების მიმართ ერთგულების შესახებ ეწინააღმდეგება ელექტრონული მედიის დიდ ნაწილზე ფაქტობრივ კონტროლს, საზოგადოებასთან და პოლიტიკურ ოპოზიციასთან მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების თაობაზე კონსულტირების უსურველობასთან, საარჩევნო კამპანიების პროცესში დაშვებულ დარღვევებთან და/ან ადგილობრივი ხელისუფლებისა და სასამართლო ხელისუფლების შესუსტებასთან. ფორმალური ეკონომიკური ლიბერალიზაცია და დერეგულაცია თანაარსებობს საკუთრების უფლების სისუსტესთან და ხშირ დარღვევასთან, ასევე — ბიზნესზე ზენოლის არაფორმალური მექანიზმების გვერდით.

ევროპულ ინტეგრაციაზე განცხადებული ორიენტაცია ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული დერეგულაციისა და კანონშემოქმედებით პრაქტიკას (მაგ., მეტად ორიგინალური შრომის კოდექსის მიღებას) და საკანონმდებლო სისტემის დაშორებას ევროკავშირის სტანდარტებისგან. შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ მმართველი ელიტის ვინრო წრე პირველ რიგში ზრუნავს იმაზე, თუ როგორ შეინარჩუნოს ძალაუფლება, ხოლო ბევრი გადაწყვეტილება მიიღება შემთხვევითი და ხშირად ირაციონალური ფაქტორების ზეგავლენით.


## დევნილები

თითქმის ორი ათეული წელია, რაც დევნილთა საკითხი ქართული სინამდვილის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემად რჩება და ამავე დროს უქმნის ქვეყანას სერიოზულ სირთულეებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილიზაციის თვალსაზრისით. დევნილთა მდგომარეობა კვლავ მეტად მონყვლია; ბევრი მათგანის საცხოვრებელი პირობები მიუღებელია, მათ ხშირად არ გააჩნიათ რეგულარული და ადეკვატური შემოსავლის წყარო და ნაკლებად არიან ინტეგრირებული იმ ადგილობრივ საზოგადოებაში, სადაც ცხოვრობენ; არც მათი შინ დაბრუნების რაიმე ნათელი პერსპექტივა ჩანს. მართალია, ჰუმანიტარული ვითარება საქართველოში არც ადრე იყო სახარბიელო, კონფლიქტის ზონებიდან მოსახლეობის დიდი ნაწილის იძულებით გამოდევნის გამო (1992-1993 წლებში), მაგრამ ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, როცა „ძველ“ დევნილთა რიცხვს ათობით ათასი ახალი დევნილი დაემატა, თანაც ზოგიერთი მათგანი საცხოვრებელი ადგილიდან განმეორებით გამოაგდეს.

საქართველოს მთავრობას მოუწია მთლიანად შეეცვალა ცოცხალი ხნის ნინ მიღებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“ და ამავდროულად გადაეჭრა სამხრეთ ოსეთიდან გამოხიზნული დაახლოებით 24 ათასი ახალი დევნილის პრობლემები. ესენი დაემატნენ ადრე არსებულ სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ 13 ათასამდე ადამიანს, მათ, ვინც 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ცხოვრობს თბილისში, გორსა და შიდა ქართლის დასახლებებში. ამათ უნდა დაემატოს კიდევ ორასი ათასზე მეტი დევნილი აფხაზეთიდან (თუმცა რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დღეს აფხაზეთის გალის რაიონში ცხოვრობს და მათი ფორმალური სტატუსი ერთგვარ კითხვებს აჩენს).

საქართველოს მთავრობის მონაცემების თანახმად, 2008 წლის დეკემბრის ბოლოსთვის სამხრეთ ოსეთიდან ახლად გადაადგილებული პირების 95 პროცენტზე მეტი განათავსეს მუდმივი საცხოვრებელში. 16,528 ადამიანი იყო უზრუნველყოფილი 3963 ახალ სახლით (თითო სახლის აშენების საშუალო ღირებულება 27,933 ლარი), ხოლო 9342 სახლი აღდგენილ იქნა სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე (აღდგენითი სამუშაოს საშუალო ღირებულება — 2000 ლარი). ახალი დევნილების ნაწილმა მოიპოვა შესაძლებლობა მიეღო მუდმივი საცხოვრებელი ქალაქურ გარემოშიც, კერძოდ, გორში. მათ, ვინც უარი განაცხადა დასახლებულიყო ახლად აშენებულ სახლებში, რომელთა უმეტესობა მდებარეობს შიდა ქართლის და ნაკლებად — ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, მიეცათ ფულადი კომპენსაციის მიღების უფლება; ხოლო იმ ოჯახებს, ვინც დათანხმდა საცხოვრებლად გადასულიყო ახლად აშენებულ სახლებში, გადაეცათ ერთჯერადი მცირე თანხა.

„ძველი“ დევნილებისთვისაც დაიწყო საცხოვრისით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, რაც უმრავლეს შემთხვევაში არსებული თავშესაფარის პირად საკუთრებაში გადაცემის გზით ან შესაბამისი კომპენსაციის გაცემით ხდება. ყველა დარეგისტრირებულ დევნილს ასევე აქვს უფლება მიიღოს (საკმაოდ მოკრძალებული) რეგულარული დახმარება; დევნილები აგრეთვე სარგებლობენ ზოგიერთი სხვა შეღავათით, მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში.



დევნილთა ახალი დასახლებების რუკა, გაეროს ჰუმანიტარული საკითხების კოორდინაციის ოფისის (UN OCHA) მონაცემებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბინითა და ფულადი დახმარებით უზრუნველყოფა აშკარად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დევნილ ოჯახებს შეექმნათ ღირსეულად არსებობის პირობები. მათთვის ყველაზე მტკივნეულ პრობლემად რჩება უმუშევრობა და ადეკვატური მუდმივი შემოსავლის არქონა.<sup>38</sup> მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დევნილი ვერ აღიქმება უფრო გაჭირვებულად, ვიდრე მოსახლეობის სხვა კატეგორიის წარმომადგენლები (მაგალითად, ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის წევრები; დაშორებული, მთიანი დასახლებების მაცხოვრებლები და ა.შ.), დევნილთა დაუცველობას გარკვეული თავისებურება ახასიათებს. დევნილების მონაცვლადობის ძირითადი ასპექტებია: საკუთარი მომავლის გაურკვეველობა; დაბალი შემოსავალი/უმუშევრობა; ცუდი საცხოვრებელი პირობები; სოციალური კაპიტალის უკმარისობა და, ასევე, მრავალ დევნილს შორის გავრცელებული პოსტტრავმული სინდრომი.

სიღარიბე არის იძულებით გადაადგილებულ პირთა უდიდესი სადარდებელი, თუმცა ეს ასევე ეხება საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილსაც. ამა თუ იმ ოჯახის სიღარიბე დიდწილად უკავშირდება ორ ურთიერთდამოკიდებულ ფაქტორს — აქვთ თუ არა სამუშაო ოჯახის წევრებს და როგორია ადამიანური კაპიტალის ოდენობა ოჯახში (რაც მოიცავს განათლებას, ჯანმრთელობას, პროფესიას და სხვ.). მრავალი დევნილი მუდმივად არის ჩართული არსებობისათვის ბრძოლაში, ქვეყანაში მაღალი უმუშევრობის გამო, თუმცა ზოგჯერ მათ წინაშე დამატებითი სირთულეებიც იჩენს თავს — ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, საჭირო კავშირებისა და რესურსების ნაკლებობა, ზოგჯერ ადმინისტრაციული ბარიერების დაძლევა, შრომის უცნობ ბაზარზე ადაპტირებასთან დაკავშირებული პრობლემები.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იმ ოჯახების წევრები, რომელთაც მინაზე ხელი მიუწვდებათ, უმუშევრად არ მიიჩნევიან. ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს უფლება, დევნილებს, მათი შესაბამისი თხოვნის საფუძველზე გადასცენ დროებით სარგებლობაში მინის ნაკვეთები, მაგრამ მინის ნაკვეთების შერჩევა და მათი განაწილება თვით ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტია. მაშინაც კი, როდესაც დევნილებს ხელი მიუწვდებათ მინის ნაკვეთზე და მინაც შედარებით ნაყოფიერია, მოსავლის მისაღებად მათ ესაჭიროებათ სასუქი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალება და სანვაი. უფრო მარტივად — ყოველივე ეს მოითხოვს დამატებით სახსრებს. შესაბამისად, დამატებითი პრობლემაა უძრავი ქონების არქონა, რომელიც სესხის მისაღებად შეიძლება დაგირავდეს.

ბევრი დევნილი, ვისაც არ შეუძლია ჰქონდეს საკმარისი შემოსავალი, იძულებულია დაეყრდნოს არასტაბილურ შემოსავალს, მაგალითად, წვრილმანი ვაჭრობით მიღებულ მოგებას, ნათესავებისგან და მეგობრებისგან გამოგზავნილ ფულს და სხვა დახმარებას, მცირე მინის ნაკვეთზე წარმოებულ ნატურალურ სოფლის მეურნეობას (სადაც არსებობს ასეთი ნაკვეთი) და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. გარე დახმარებაზე მუდმივად დამოკიდებულების ჩვევა კი დროთა განმავლობაში იწვევს „დამოკიდებულობის სინდრომს“ და სოციალურ პასიურობას, ზოგჯერ კი — ხანგრძლივ და ღრმა დეპრესიასაც. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ბავშვებისა და მოზარდებისთვის შექმნილი არასათანადო პირობები, რადგან მათი საჭიროებების მიმართ მოკლებულ ყურადღებას მომავალში შესაძლოა მძიმე შედეგები მოჰყვეს და დააბრკოლოს მათი სულიერი და ფიზიკური განვითარება. იზოლირებული დასახლებები და ცუდი საცხოვრებელი პირობები, რაც თავისთავადაც პრობლემაა, ასევე ხელს უშლის ახალგაზრდების განათლებას და მათ წარმატებულ სოციალიზაციას.

<sup>38</sup> G. Tarkhan-Mouravi. *Assessment of IDP Livelihoods in Georgia: Facts and Policies*. UNHCR, Tbilisi. May 2009 <http://www.unhcr.org/4ad827b12.pdf>



*დევნილთა ერთ-ერთი ახალი დასახლება. სინტია შმიტეს ფოტო.*

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს იმ დევნილების მომავალი, ვინც ჩაასახლეს ნაჩქარევად და, ხშირ შემთხვევაში, უხარისხოდ აშენებული დასახლებებში<sup>39</sup>, რომლებიც უმეტესად მოკლებულია აუცილებელ სოციალურ ინფრასტრუქტურას, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად შეიძლება ტარდებოდეს გარკვეული ღონისძიებები მათი პირობების გასაუმჯობესებლად. მაგალითისთვის, ზემოთ ნარმოდგენილ ფოტოზე მოჩანს ერთ-ერთ დასახლებაში აგებული გარე ხის ტუალეტები, რომლებიც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მოუხერხებელია ზამთრის პირობებში, რომ არაფერი ვთქვათ საკითხის სანიტარიულ მხარეზე.

და მაინც, უმთავრეს პრობლემად რჩება ეჭვი, თუ რამდენად მოხერხდება უახლოეს წლებში ამ მდარედ ნაგებ შენობებსა და დასახლებებში ღირსეული საარსებო პირობების შენარჩუნება და, რაც მთავარია, დარჩება თუ არა მიზერული დახმარება ამ სევდის მომგვრელ დასახლებებში მცხოვრები ოჯახების შემოსავლის მთავარ წყაროდ, თუ ეს დასახლებები იქცევა გაუბედურებულ „ტრუშჩობებში“ მცხოვრები ლატაკი ადამიანების ადგილსამყოფელად, სადაც ანმყოც და მომავალიც ერთნაირად უღიმღამოა. არანაკლებ შემაშფოთებელია იმ ახალგორელი ქართველების ბედიც, ვინც შემოსავლის ძიებაში მუდმივად მიმოდის ამ დასახლებებსა და ახალგორის რაიონში დარჩენილ თავის კარ-მიდამოს შორის, რადგან გარდა ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სირთულეებისა, მათ მომავალიც გაურკვეველი აქვთ.

### **ვითარება სამრეთ ოსეთში**

იმისთვის, რომ შევძლოთ სამხრეთ ოსეთიდან დევნილთა შინ დაბრუნების პერსპექტივების შეფასება, საჭიროა არა მხოლოდ დე ფაქტო ხელისუფლების ოფიციალური პოზიციის ცოდნა, არამედ საზოგადოებაში არსებული განწყობების გათვალისწინებაც; ასევე — იქ არსებული სოციალური პრობლემების გააზრება. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით უაღესად მწირი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი.

თუნდაც ისეთი, თითქოსდა შედარებით მარტივი საკითხი, როგორც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის რიცხოვნობაა, ძნელად დასადგენია, შეფასებების რადიკალური განსხვავების გამო. თანაც, ადგილობრივი ადმინისტრაცია მიზანდასახულად, თუმცა არათანამიმდევრულად, ცდილობს დემოგრაფიული მონაცემების გაბერვას. როგორც

<sup>39</sup> *Эксперты критикуют качество коттеджей для беженцев в Грузии. Кавказский Узел, 28 апреля 2010. <http://chechnya.kavkaz-uzel.ru/articles/168208/> Дома для беженцев построены некачественно, заявляет Ассоциация молодых юристов Грузии. Кавказский Узел, 22 июня 2010. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/170527/>*

უკვე აღინიშნა, 1989 წლის აღწერით, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა შეადგენდა 98.527 ადამიანს, რომელთაგან დაახლოებით 40 ათასი ცხინვალში ბინადრობდა. სხვადასხვა შეფასებებით, 2008 წლის აგვისტომდე რეგიონში სახლობდა 60-დან 83 ათასამდე ადამიანი, ხოლო „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის“ ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებული მოსახლეობის რიცხვი შეადგენს 72,000-ს<sup>40</sup>. ამავე ოფიციალური წყაროების თანახმად, სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა სამხრეთ ოსეთში არ აღემატება 5,000-ს, რაც მიუთითებს მოსახლეობის ოფიციალური რიცხვის აბსურდულობას.<sup>41</sup> მეორე მხრივ, როგორც საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი (ICG) შეგვახსენებს, საქართველოს ხელისუფლების ზოგი წარმომადგენელი საპირისპირო უკიდურესობაში გადავარდა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის რიცხვად 15 ათასს ასახელებს.

როგორც ჩანს, ყველაზე სანდო მონაცემები გამოაქვეყნა ცენტრ „დემოსის“ თანამშრომელმა ვარვარა პახომენკომ<sup>42</sup>. დაეყრდნო რა საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ ამომრჩეველთა სიებს, ასევე ინფორმაციას ლტოლვილთა მიგრაციის თაობაზე და სკოლის მოწაფეების შესახებ მონაცემებს, მან შეაფასა, რომ 2009 წელს სამხრეთ ოსეთში ბინადარი მოსახლეობის რიცხვი იყო 26-დან 32 ათასამდე ადამიანი. ამათგან ცხინვალში ცხოვრობდა არა უმეტეს 17 ათასი ადამიანისა, ცხინვალისა და ჯავის რაიონებში — დაახლოებით 5-5 ათასი, ზნაურის რაიონში — დაახლოებით 4 ათასი და ახალგორის რაიონში — დაახლოებით 2.5 ათასი ადამიანი.

ეკონომიკური სტაგნაციისა და რეგიონში შექმნილი ვითარების უიმედობა, რასაც ემატება ცუდი მმართველობა, იწვევს მზარდ დეპოპულაციას. სამხრეთ ოსეთის სულ უფრო მეტი მოსახლე, განსაკუთრებით ის, ვინც ახალგაზრდა და აქტიურია, ცდილობს გადავიდეს საცხოვრებლად ჩრდილოეთ ოსეთში ან სხვაგან, რუსეთში. ისიც სათქმელია, რომ ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლებული ახალი იმიგრანტების ცხოვრებაც არ არის ადვილი, უფრო მეტიც, ხშირად ისინი სახლდებიან ადრე ინგუშების სამოსახლო „პრიგოროდნი“ რაიონში, რაც არსებულ დაძაბულობას კიდევ უფრო ზრდის.

მასობრივი სიღარიბე, სოციალური დაუცველობა და უმუშევრობა მოიცავს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს — ეს განსაკუთრებით ეხება მოსახლეობას სასაზღვრო ზონაში, რომელიც ძლიერ დაზარალდა საომარი მოქმედებების შედეგად. ასევე პრობლემად რჩება ხარისხიანი განათლების მიღება, ჯანმრთელობის დაცვა, სხვა სოციალური სამსახურების ხელმისაწვდომობა. რეგიონში სამი უმთავრესი პრობლემაა — უმუშევრობა, განუვითარებელი ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა და ამასთან დაკავშირებული ცხოვრების დაბალი ხარისხი. რადგანაც კერძო ბიზნესი სუსტადაა განვითარებული<sup>43</sup>, ნათესავებისგან მიღებულ ფულად გზავნილებთან და რუსულ პენსიებთან ერთად, შემოსავლის ძირითად წყაროებად რჩება ნახევრად

<sup>40</sup> <http://presidentrso.ru/republic/>

<sup>41</sup> *Первого сентября пять тысяч учащихся пойдут в школы Южной Осетии*. Информационное агентство РЕС, 31.08.2010. <http://cominf.org/node/1166484324>. „როსსტატის“ მონაცემების თანახმად, მიუხედავად რუსეთის კატასტროფულად დაბალი შობადობისა, მონაფეთა რიცხვი უტოლდება მოსახლეობის რიცხოვნების 11.34%-ს“. *5000 учащихся и население Южной Осетии*. <http://valery-dzusev.livejournal.com/177365.html>

<sup>42</sup> Варвара Пахоменко. *Обитаемый остров. Заметки о демографии юго-осетинского конфликта*. Кавказский Узел. 26.08. 2010, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/173406/> Варвара Пахоменко. *Обитаемый остров*. Полит.Ру. 22.09.2009. <http://www.polit.ru/analytics/2009/09/22/demo.html>

<sup>43</sup> „მცირე და საშუალო ბიზნესი შემოიფარგლება მცირე მასშტაბის ვაჭრობით, კაფეებით, მაღაზიებით, საპარიკმახეროებით, ავტომემკეთებელი სახელოსნოებით, საცხოვრებელთა და სხვა მცირე საწარმოებით. ადგილობრივი ბიზნესის დაახლოებით ორი მესამედი ვაჭრობითაა დაკავებული. რუსეთიდან სამხედროებისა და მშენებლების მოზღვავენას მოჰყვა სასაბილოების აყვავება, მაგრამ სხვა ბიზნესის აღდგენა მეტად ნელია, საკრედიტო სისტემის სისუსტის გამოც“. ინფორმაციის სანდო პირველადი წყაროების არარსებობის გამო, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შეფასებისას ძირითადად ვეყრდნობით კრიზისის საერთაშორისო ჯგუფის (International Crisis Group) პუბლიკაციას: *Южная Осетия: время признания*. Крайсис Груп. Доклад № 205 Европа – 7 июня 2010 г.

<http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/caucasus/georgia/205%20South%20Ossetia%20%20the%20Burden%20of%20Recognition%20RUSSIAN.ashx>



ნატურალური სოფლის მეურნეობა, საკვების წარმოება და მშენებლობა, ასევე — საჯარო სექტორში დასაქმება და რუსეთის სამხედრო ბაზების მომსახურება.

სამხრეთ ოსეთის ტერიტორია სამი მხრიდანაა გარშემორტყმული საქართველოს სხვა რეგიონებით და მხოლოდ ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მას კავკასიონის ქედი. ასე, რომ მისი კავშირი დანარჩენ სამყაროსთან, რაც დღეს ნიშნავს ფაქტობრივად რუსეთთან, როკის გვირაბის გავლით ხორციელდება. ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობა, გარდა მეცხოველეობისა, საკმაოდ შეზღუდულია და, თუმცა არსებობს პოლიმეტალური მადნისა და მინერალური წყლის მოპოვების გარკვეული ეკონომიკური პოტენციალი, მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა და გარე ბაზარზე გასვლის გარეშე შესაბამისი პერსპექტივები საკმაოდ მოკრძალებულია.

„სამხრეთ ოსეთის ბუნებრივმა განცალკევებამ, თბილისთან კონფლიქტთან ერთად, დაანგრია მისი ეკონომიკა. ომისა და საქართველოსთან ადმინისტრაციული საზღვრის გადაკეცივის შემდეგ ეკონომიკა მთლიანად გახდა რუსეთზე ორიენტირებული, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი სექტორის მუშაკების ხელფასების გადახდაც კი. შესაძლოა, სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტი გაორმაგდა კიდეც — 2009 წელს 2,7 მილიარდი რუბლიდან (87 მილიონი აშშ დოლარი) 2010 წელს 4,3 მილიარდ რუბლამდე (140 მილიონი აშშ დოლარი), მაგრამ მისი 98,7 პროცენტი რუსეთიდან მოდის. პრეზიდენტი კოკოთი აცხადებს, რომ გადასახადებიდან შემოვიდა 120 მილიონი რუბლი (3.8 მილიონი აშშ დოლარი), მაგრამ ადგილობრივი საგადასახადო კომიტეტის ცნობით, საგადასახადო ანაკრეფმა შეადგინა მხოლოდ 2.4 მლნ. აშშ დოლარი,“ — წერდა ICG 2010 წლის ზაფხულში<sup>44</sup>.

მძიმე ეკონომიკურ ვითარებას ამძაფრებს სამოქალაქო საზოგადოების განუვითარებლობა და მთავრობის უკიდურესი ავტორიტარიზმი, რომელიც მოსახლეობაშიც არ სარგებლობს დიდი ავტორიტეტით. მცირერიცხოვანი ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო საზოგადოებას, ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების მუდმივი ზენოლის ქვეშ იმყოფებიან.

სამხრეთ ოსეთში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად მუშაობენ ჰუმანიტარულ საკითხებზე, ასევე დემოკრატიის მშენებლობაზე, გენდერულ და სახალხო დიპლომატიის საკითხებზე. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი სინამდვილეში ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეების მიერაა შექმნილი<sup>45</sup> და ნებისმიერ შემთხვევაში მათი გავლენა ნაკლებად შესამჩნევია. ის სამოქალაქო აქტივისტები კი, ჟურნალისტები იქნება ეს თუ პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ ქმედებებში დამოუკიდებლობას ავლენენ და თავიანთ საქმიანობას ხელისუფლებასთან არ ათანხმებენ, რეპრესიების მსხვერპლი ხდებიან და/ან განიდევნებიან სამხრეთ ოსეთიდან<sup>46</sup>.

სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური ცხოვრების ხასიათის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი არის ის ფაქტი, რომ, თუნდაც, ოქმები ბოლო, 2009 წლის

<sup>44</sup> International Crisis Group. დასახ. წყარო

<sup>45</sup> „საქველმოქმედო ფონდ „ფარანქის“ (შექმნილია ცხინვალელი მოხელის ზურაბ კაბისოვის მიერ) ოთახი თვალს ჭრის მნახველს ამ ქალაქისთვის უზომოდ მდიდრული იერით“, - წერს ჟურნალისტი ოლგა ტიმოვევა, იქ თავის სტუმრობის შემდეგ. იხ.: *Почему в Цхинвале обещанного уже не ждут?* «Русский репортер» №20 (99), 28 мая 2009 г. [http://expert.ru/russian\\_reporter/2009/20/parlamenskie\\_vybory/](http://expert.ru/russian_reporter/2009/20/parlamenskie_vybory/)

<sup>46</sup> ასე, მაგალითად: „24 ივლისს დამოუკიდებელი გაზეთის „XXI საუკუნე“ მთავარი რედაქტორი და „რესპუბლიკური პარტია - ირონის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი თემურ ცხოვრებოვი გახდა თავდასხმის მსხვერპლი. მას თავს დაესხა ათამდე ადამიანი, რომელთა შორის იყო, არსებული ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის პარლამენტის სამი დეპუტატი. თავდამსხმელები მოკვლით დაემუქრნენ ცხოვრებოვს იმის გამო, რომ მან ქართველ სამოქალაქო აქტივისტებთან ერთად ხელი მოაწერა მოწოდებას ამიერკავკასიის თაობაზე ჟენევის კონსულტაციების მონაწილეთა მიმართ, პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭონ რეგიონის მოსახლეობის საჭიროებებს, მათ შორის, მოსახლეობის უსაფრთხოებას და გადაადგილების თავისუფლებას. თავდასხმის შედეგად ცხოვრებოვი მოათავსეს საავადმყოფოში, სხეულის მრავალრიცხოვანი დაზიანებით“. *Южная Осетия: нападение на известного активиста*. Хьюман Райтс Вотч, 27.07.2010. <http://www.hrw.org/ru/news/2010/07/27-0>

საპარლამენტო არჩევნებისა, სადაც კოკოითის მხარდამჭერებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს, დღემდე გამოუქვეყნებელია.

მომავალი, 2011 წლის ნოემბრის „საპრეზიდენტო“ არჩევნები რჩება ამ წლის მთავარ პოლიტიკური მოვლენად, თუმცა დამკვირვებელთა უმრავლესობა სკეპტიკურად არის განწყობილი<sup>47</sup>. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელმძღვანელობის დაგეგმილი გადახალისება შეცვლის რეალურ ძალთა ბალანსს რეგიონში და/ან მმართველობის ძირითად პრინციპებსა და ორიენტირებს. ამდენად, დღეს უფრო მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელ ფენაში არსებულ პოლიტიკურ დისკურსსა და ფასეულობათა სისტემაში გარკვევა, იმის ჩამოყალიბება, თუ როგორ წარმოუდგენიათ ხელისუფლებაში მყოფ პირებს სამხრეთ ოსეთის ეროვნული ინტერესები. შესაბამისი შეხედულებები არ წარმოადგენს ერთიან, თანამიმდევრულ სურათს და რამდენიმე კლასტერად იყოფა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული გეგმები და/ან ხედვა, თუნდაც ისეთ ძირეულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ტერიტორიის სამართლებრივი სტატუსი ან რუსეთთან ურთიერთობა<sup>48</sup>.

პირველ რიგში, აქ საინტერესოა ოფიციალური დისკურსი, ანუ ეროვნული ინტერესები იმ სახით, რომლითაც მოსახლეობას მიეწოდება პროპაგანდის მეშვეობით და გარკვეულწილად ეფუძნება ამ მოსახლეობაში გავრცელებულ (და ნაწილობრივ კი ამავე პროპაგანდის მიერ შექმნილ) იდეებს: ოსეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი, გარდა ისტორიის მოკლე მონაკვეთებისა; ქართველები არიან იმპერიალისტები და ფაშისტები; სამხრეთ ოსეთს მხოლოდ ორი საიმედო მოკავშირე ჰყავს — ჩრდილოეთ ოსეთი და რუსეთი; ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსებმა უნდა იცხოვრონ ერთ სახელმწიფოში, კერძოდ, რუსეთში; დასავლეთი და, განსაკუთრებით, აშშ მთავარი მტერია (ინგუშების შემდეგ) და ყოველთვის მზად არის მხარი დაუჭიროს საქართველოს მზაკვრული მიზნების მისაღწევად; ქვეყნის დღევანდელი ხელმძღვანელობა ყველა პრობლემის წარმატებით დაძლევის ერთადერთი გარანტია...

ზემოთ ნათქვამის შესაბამისად, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს განცხადებული პოლიტიკური ორიენტირებიც. ეს არის, პირველ რიგში, ორი ოსეთის გაერთიანება; ტერიტორიაზე სრული კონტროლის შენარჩუნება და, თუკი შესაძლებელია, ექსპანსიაც<sup>49</sup> და რუსეთიდან შემოსული ფულის ნაკადებზე კონტროლის შენარჩუნება.

<sup>47</sup> იხ. მაგ.: „დღევანდელი ამბავი იმისა, თუ როგორ — ყოველგვარი განმარტების გარეშე — სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები რეგისტრაციაზე უარს უცხადებენ პარტიებს — „იროსნ“, „სამართლიანობას“ და „სოციალურ-დემოკრატიული პარტიას“, ტიპურად რუსული სცენარით ვითარდება და გასაოცრად წააგავს რუსი ოპოზიციონერების რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროში წინასაარჩევნო მსვლელობებს. როგორც ვლადიმერ პუტინის ერთგულ მონაფეს ეკადრება, ედუარდ კოკოითიც თავად არ აპირებს მესამე ვადაზე წავიდეს. მაგრამ არც ის უნდა, რომ საპრეზიდენტო სავარძელთან ანდა, თუნდაც, დიდ პოლიტიკასთან მიუშვას არასასურველი პოლიტიკოსები, რომლებმაც შეიძლება შეარყიონ ამგვარი სტაბილური და მლიქვნელობაზე დაფუძნებული ვითარება. რა თქმა უნდა, კანონიერების მეურვეებიც ამაში დაეხმარებიან თავიანთ პრეზიდენტს. ისევე, როგორც რუსეთში, არჩევნებს სამხრეთ ოსეთში არაფერი ექნება საერთო რეალურ საკონკურენტო ბრძოლასთან ან ხალხის თავისუფალ ნებასთან. არჩევნებამდე წელიწადზე ნაკლები დარჩა, მაგრამ კავკასიონის ქედის არც ერთ მხარეს არ არსებობს ოფიციალურად ასარჩევად წარდგენილი კანდიდატები, საარჩევნო პროგრამები ან საჯარო დებატები. არის მხოლოდ ფარული, ხალიჩის ქვეშ წარმოებული ბრძოლა, საზოგადოებისთვის ურთიერთსაწინააღმდეგო გაუთავებელი სიგნალების ფონზე“. Александр Габуев. *Цена вопроса*. Газета *Коммерсантъ*, №54 (4595), 30.03.2011 <http://www.kommersant.ru/doc/1601116>

<sup>48</sup> რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარებისთანავე კოკოითმა განაცხადა: „დიახ, ჩვენ გავხდებით რუსეთის ფედერაციის ნაწილი, მართალია, დღეს ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოვადგენთ, მაგრამ ჩვენ გვწაღია ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება და რუსეთის ფედერაციაში შესვლა“. მალევე მან განაცხადა, რომ მისი სიტყვა არასწორად იქნა გაგებული და მოაყოლა: „ჩვენ არ ვაპირებთ დავთმოდ ჩვენი დამოუკიდებლობა... სამხრეთ ოსეთი არ აპირებს გახდეს რუსეთის ნაწილი“. 2009 წლის მაისში, საპარლამენტო არჩევნების წინ კი მან კვლავ განაცხადა, რომ ინტეგრაციის პროცესი ჩრდილოეთ ოსეთის და რუსეთის მისაერთებლად უნდა გაგრძელდეს და მმართველი პარტიის ლოზუნგებიც გაერთიანებას ქადაგებდა. International Crisis Group, დასახ. წყარო.

<sup>49</sup> „სამხრეთ ოსეთი აპირებს მოითხოვოს საქართველოსგან თრუსოს ხეობის დაბრუნება, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებშია“, — განაცხადა კოკოითმა. „ეს ოდითგანვე ოსური

ცხინვალში მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთგზის გამოუთქვამთ უკმაყოფილება საქართველოს ქმედებების გამო. ზოგადად, პრეტენზიები საქართველოს ხელმძღვანელობის მიმართ შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს: საქართველოს ხელისუფლება ესწრაფვის დაიმორჩილოს სამხრეთ ოსეთი და მზად არის ძალის გამოყენებით განახორციელოს ეს, ყველანაირი მშვიდობიანი განცხადებებისა და მიუხედავად; საქართველოს ხელისუფლება და ქართველი საზოგადოება ანტიოსურად (და ანტირუსულად) არიან განწყობილი და მთლიანობაში რეგიონში ატარებენ პროდასავლურ (პროამერიკულ) პოლიტიკას, რითაც ზიანს აყენებენ ოსურ და რუსულ ინტერესებს; საქართველო თანაუგრძნობს ინგუშებისა და სხვა ჩრდილოკავკასიელების სეცესიონისტურ და ანტირუსულ მისწრაფებებს (მაგალითად, ე.წ. ჩერქეზული გენოციდის აღიარება, ჩრდილო კავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმის ცალმხრივად გამოცხადება...) და ამით საფრთხეს უქმნის სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს; ცდილობს რუსეთისთვის მნიშვნელოვანი პროექტების საბოტაჟს (როგორც, მაგალითად, ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებას სოჭში, კასპიის ენერგორესურსების დასავლეთის მიმართულებით ტრანზიტის მონოპოლიზაციის მცდელობას ან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განევრიანებას); ცდილობს ნატოში და ევროკავშირში შესვლას, რაც დაასუსტებს რუსეთის უსაფრთხოებას და მის გავლენას ქვეყნის სამხრეთი პერიფერიის გასწვრივ და, ამდენად, სამხრეთ ოსეთის ჩათვლით; ემუქრება სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოებას (წამოიწყო ომი სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ); ქმნის ან უერთდება სხვადასხვა ანტიოსური და ანტირუსული ორიენტაციის გაერთიანებებს (როგორც, მაგალითად, არის სუამი); მიზანმიმართულად ახორციელებს ანტიოსურ კამპანიებს საერთაშორისო მედიის მეშვეობით და საერთაშორისო ფორუმებზე; ქართველი მეცნიერები და ხელისუფლება ცდილობენ დაამახინჯონ ისტორია, აცხადებენ რა, რომ ოსები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მხოლოდ მცირე ხნის წინ გადმოსახლდნენ ჩრდილოეთიდან, ან რომ ამგვარი სახელმწიფო ერთეული არასოდეს არსებობდა, ან რომ საქართველოს ანექსია მოახდინა ჯერ მეფის რუსეთმა, მე-19 საუკუნეში, ხოლო შემდეგ საბჭოთა რუსეთმა — 1921 წელს (მაშინ, როცა სინამდვილეში ადგილი ჰქონდა ნებაყოფლობით შეერთებას, რამაც გადაარჩინა საქართველო მზაკვარი მეზობლებისგან). დაბოლოს, ოსეთის ლიდერები ყველა პრობლემას მიაწერენ პირადად მიხეილ სააკაშვილს და უარს ამბობს მასთან საქმის დაჭერაზე...

### ძირითადი სოციალური პრობლემები და დაბრუნების პერსპექტივა

ზემოთ აღწერილი ვითარება მცირე საფუძველს ტოვებს ოპტიმიზმისათვის სამხრეთ ოსეთიდან დევნილთა ბედთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი — ახლო დროით პერსპექტივაში. ცხადია, რომ თუკი კონფლიქტის სამი მონაწილის საშინაო პოლიტიკაში არ მოხდება ძირეული ცვლილებები, სამხრეთ ოსეთში დევნილთა დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში არ დადგება, გარდა ახალგორის შესაძლო გამონაკლისისა. უფრო რეალისტურად აღიქმება საქართველოს შიდა რეგიონებიდან დევნილი ეთნიკური ოსების რეპატრაციის ან კომპენსაციის საკითხი, მაგრამ ეს თემაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაიდრას საქართველოში ახალი პოლიტიკური ციკლის დაწყებამდე, ანუ 2013 წლამდე.

1990-იანი წლების დასაწყისიდან სამხრეთ ოსეთიდან გასული ლტოლვილთა და დევნილთა სახით ამ მხარემ მოსახლების დაახლოებით ორი მესამედი დაკარგა. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დღემდე ვერ მოახერხა თავისი უფლებების აღდგენა. ათობით ათას ადამიანს შეეღალა ადამიანის ძირითადი უფლებები. ისინი მოწყდნენ

---

მინაა, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო საბჭოთა დროს რალაცნაირად მოექცა საქართველოს სსრ ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ“. *Кокшты: Южная Осетия намерена потребовать часть Грузии*. Кавказский Узел, 31 июля 2009 г. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/157331>. ასევე იხ.: *Южная Осетия будет требовать от Грузии возвращения Трусовского ущелья*. РИА Новости, 31.07.2009. <http://www.rian.ru/politics/20090731/179273091.html>

მშობლიურ ადგილებს, დაკარგეს შესაძლებლობა მისდინო ტრადიციულ საქმიანობას, მათთვის პრობლემად რჩება სტაბილური შემოსავალი, უსაფრთხოება, მომავალის რწმენა. ეს ყოველივე კი იწვევს თემების ურთიერთბრალდებებს, გაბოროტებას და უნდობლობას, რაც აბრკოლებს ქართველი და ოსი ხალხების შერიგებას.

ხელისუფალნი თბილისსა და ცხინვალში ცდილობენ, ერთი მხრივ, მიიღონ მაქსიმალური პოლიტიკური მოგება, მაგრამ თან არ სურთ აიღონ პასუხისმგებლობა წარსულ შეცდომებზე და თავს აჩვენებენ გარე აგრესიის უდანაშაულო მსხვერპლად (რუსეთის მხრიდან — ერთ შემთხვევაში და საქართველოს მხრიდან — მეორეში). ცხინვალში, მოსკოვთან ერთად, ცდილობს განამტკიცოს სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგები და მოახდინოს ომის შემდგომი დამახინჯებული დემოგრაფიული ვითარების დაფიქსირება, მოიხმობს რა არგუმენტად „ახალ რეალობას“. მეორე მხრივ, დღევანდელი ვითარების ამჟამინდელი სახით შენარჩუნება უზრუნველყოფს კონფლიქტის ირგვლივ კონფრონტაციული კლიმატის გამყარებას და მოსახლეობის მასობრივ იმედგაცრუებას არსებული პრობლემების მოლაპარაკების გზით გადაჭრის შესაძლებლობის თაობაზე, შესაბამისად — რევანშისტული, მილიტარისტული განწყობის ზრდას.

არსებული პრობლემები პირდაპირი შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელსაც ატარებს როგორც რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა, ისე საქართველოს ხელისუფლებაც. პირველი ორის პოლიტიკური კურსი ღიად არის მიმართული სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან საბოლოოდ მოწყვეტაზე. საქართველოს ხელისუფლების კურსი კი, რომელიც ოფიციალურად გულისხმობს „ჩართულობას თანამშრომლობის გზით“, ნარეალობაა, კერძოდ, სახელმწიფო დოკუმენტებში ასახული ზოგიერთი დებულების გამო, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას კონფლიქტის ზონებში<sup>50</sup>. სადღეისოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეების პოლიტიკა და პრაქტიკა ხელს უწყობს კონფრონტაციული ფონის შენარჩუნებას და ხელს უშლის მხარეებს შორის ნდობის აღდგენას. კვლავაც გრძელდება ორი საზოგადოების ურთიერთდამორების თავს მოხვეული პროცესი, რაც აყოვნებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პერსპექტივას და მით უფრო — მისი შემდგომ მოწესრიგებას.

კვლავაც გადაუჭრელია მრავალი ჰუმანიტარული საკითხიც, რაც, პირველ რიგში, ეხება იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომელთაც დაკარგეს სახლი, საკუთრება და საარსებო სახსრები. შესაბამის ხელისუფლებებს აქვთ შეზღუდული რესურსები (ან ნება), რომ მათი ცხოვრების პირობები რადიკალურად გაუმჯობესდეს, შინ დაბრუნება კი პრაქტიკულად შეუძლებელია ან ზოგისთვის მეტად გაძნელებულია. არა ნაკლებად რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან ისინიც, ვინც მოახერხა დაბრუნება ან ვინც რეგულარულად ან სეზონურად მოძრაობს და კვეთს გამყოფ ხაზს — როგორც ეს ხშირია ახალგორის მოსახლეობის შემთხვევაში. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ კატეგორიის ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების მცდელობა, როგორც არ უნდა გადაწყდეს ამ ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის თემა. თუმცა, ეს საკითხი ნაკლებად ეხება ოსურ-ქართულ ურთიერთობას და უფრო საქართველოს ხელისუფლების მორალურ მოვალეობას წარმოადგენს. კონფლიქტის თუნდაც ნაწილობრივ დარეგულირების შესაძლებლობა კი, რაღა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს ამ ადამიანთა ცხოვრებაზე, თუმცა აქ საქმე გვაქვს შედარებით შორეულ პერსპექტივასთან.

მომავალზე გავლენას ახდენენ ის სოციალური და პოლიტიკური პროცესებიც, რაც ამჟამად სამხრეთ ოსეთში მიმდინარეობს. უახლოეს მომავალში, კერძოდ, 2011 წლის ნოემბერში, იწურება ედუარდ კოკოითის უფლებამოსილება და ჯერჯერობით გაურკვეველია, დღევანდელი ოპოზიციის სისუსტის პირობებში, თუ ვინ დაიკავებს მის ადგილს. ისიც გასაგებია, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება მოსკოვში იქნება

<sup>50</sup> <http://www.smr.gov.ge/>

მიღებული<sup>51</sup>. ნებისმიერი პოლიტიკური ვარიანტის შემთხვევაში, არ უნდა ველოდოთ დევნილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს, თუმცა შესაძლოა, რომ ახალი ხელმძღვანელობის გამონათქვამები აღარ იყოს ისეთივე უპასუხისმგებლო, როგორც ეს აქამდე ხდებოდა<sup>52</sup>.

2008 წლის ომისა და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ მისი საზღვრების დაცვის ფუნქცია იკისრეს რუსმა მესაზღვრეებმა. დაიწყო გამყოფი ხაზის გამაგრების პროცესი, რომელსაც სამხრეთ ოსური და რუსული მხარეები „სახელმწიფო საზღვარს“ უწოდებენ. ამის შედეგად, დღეისათვის ადამიანთა მიერ გამყოფი ხაზის გადაკვეთა და სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის მოძრაობა უფრო გაძნელებული და იშვიათია, ვიდრე ოდესმე, 1992 წელს კონფლიქტის „ცხელი ფაზის“ დასრულების შემდგომ. დიდწილად შეწყვეტილია (და სულ უფრო ბრკოლდება) ადამიანთა შორის ურთიერთობა — კავშირი გამყოფი ხაზის ორ მხარეს მყოფ ოჯახის წევრებს, მეზობლებს, კოლეგებსა თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. შესაბამისად, პრაქტიკულად აღკვეთილია თანამშრომლობის შესაძლებლობა საზოგადოებრივ თუ ბიზნესის სფეროებში. შეიქმნა ძნელად გადასალახი წინააღმდეგობები სამედიცინო დახმარებისა თუ განათლების მიღების თვალსაზრისითაც. ხშირად ფიქსირდება სამოქალაქო პირთა დაკავების შემთხვევები ბრალდებით — „საზღვრის უკანონო გადაკვეთა“<sup>53</sup>.

ბოლო დროს იქმნება შთაბეჭდილება, რომ არც რუსეთის ხელმძღვანელობა არის კმაყოფილი არსებული ვითარებით, თუმცა ცხადია, რომ უახლოეს მომავალში არ არის სავარაუდო არც სამხედრო ბაზების გაყვანა სამხრეთ ოსეთიდან და არც მისი სუვერენიტეტის აღიარების გაუქმება. მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის თემა თანდათანობით რუსეთის „ახლო საზღვარგარეთში“ წარმოებული პოლიტიკის ყურადღების პერიფერიაზე ინაცვლებს. იგი სულ უფრო ხშირად მოიხსენიება, როგორც ფინანსური შავი ხვრელი, რომლის შენახვაც, მიღებულ პოლიტიკურ მოგებასთან შედარებით, არაპროპორციულად მაღალ ხარჯებს ითხოვს.

და თუმცა რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა კმაყოფილია, რომ განალაგა ტანკები და რაკეტები საქართველოს დედაქალაქის სიახლოვეს,<sup>54</sup> სინამდვილეში ამ ფაქტის სტრატეგიული მნიშვნელობა მცირეა, საქართველოს მეტად მოკრძალებული სამხედრო პოტენციალის ვითარებაში; მეორე მხრივ კი — სამხედრო ბაზების საქართველოზე თავდასასხმელად გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელი მწვავე საერთაშორისო რეაქციის გამო.

<sup>51</sup> „სამხრეთ ოსეთის სამომავლო პრეზიდენტის ძიებაში კრემლმა თავისი მზერა მიაპყრო რუსეთში ამჟამად მოქმედ ელჩს — დიმიტრი მედოევს. სხვა კანდიდატურა ჯერჯერობით ვერ მოიძებნა. თავად ედუარდ კოკოითი კი არ იქნებოდა წინააღმდეგი შემდეგ პრეზიდენტად სამხრეთ ოსეთის გენერალური პროკურორი თეიმურაზ ხუგაევი ეხილა ... მაგრამ სამხრეთ ოსეთის ლიდერის არჩევანი საკმაოდ უნიათოა: ჯერ ერთი, თვით კოკოითმა „ბოლო დროს მთლიანად დაკარგა საარჩევნო პოტენციალი და თვითონ იმდენად არის დისკრედიტებული“, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ეს ნეგატიური დამოკიდებულება ავტომატურად გადავა მის კრეატურაზეც. და მეორე, ხუგაევი სისტემატურად ხვდება დიდი სკანდალების ეპიცენტრში, რასაც ამ პატარა რესპუბლიკაში დაუყოვნებლივ იგებს ყველა“. Юрий Симонян. *Кремль ищет замену Кокоевты: В Южной Осетии в преддверии президентских выборов возможна дестабилизация*. Независимая Газета, 16.02.2011. [http://www.ng.ru/cis/2011-02-16/1\\_kokoeyti.html](http://www.ng.ru/cis/2011-02-16/1_kokoeyti.html)

<sup>52</sup> „ცხინვალისა და ოსური სოფლების განთავისუფლების შემდეგ საბრძოლო მოქმედება გადავიდა ქართულ ანკლავებში. რა ხდება იქ ახლა? — არაფერი ისეთი. ჩვენ იქ თითქმის ყველაფერი მიწასთან გავასწორეთ. სამხრეთ ოსეთის საზღვარი გავატარეთ. — ანუ, ქართული ანკლავები ფაქტობრივად განადგურებულია? — აბა რა უნდა გვექნა, დაგვეშვა, რომ იქიდან კვლავაც გვესროლონ? ისევ ზურგში გვესროლონ და ჩვენი ხალხი დაამცირონ? — მშვოდობიან ქართველ მოსახლეობას უკან შეუშვებენ? — ჩვენ არ ვაპირებთ იქ ანი ვინმეს შეშვებას. საქართველოდან განდევნილი 18 ათასი ლტოლვილი ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთში იმყოფება. ისინი უნდა დავაბრუნოთ სამხრეთ ოსეთში“. *Эдуард Кокоевты: мы там практически выровняли все*. Газета "Коммерсантъ", №144 (3961), 15.08.2008.

<http://www.kommersant.ru/Doc/1011783>

<sup>53</sup> <http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/caucasus/georgia/205%20South%20Ossetia%20%20the%20Burden%20of%20Recognition%20RUSSIAN.ashx>

<sup>54</sup> Россия стягивает ракеты в Южную Осетию: к системе “Смерч” прибавилась “Точка-У”. 23.01.11. <http://newsru.com/world/24jan2011/tochkau.html>

ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ მართალია, მოკლევადიან პერსპექტივაში (2012 წლის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე და, სავარაუდოდ, 2014 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარებამდეც) სამხრეთ ოსეთში მკვეთრად არაფერი შეიცვლება, უფრო შორეული პერსპექტივები კი ძნელად განსაჭვრეტია და დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ ნავთობის ფასზე, არამედ მთელ რიგ სხვა (ასევე ძნელად პროგნოზირებად) ფაქტორებზე, როგორებიცაა რუსეთის, აშშ-ის და ევროკავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ვითარება გლობალურ ეკონომიკაში და პოლიტიკური მოვლენების განვითარება თვით საქართველოშიც. ისიც ფაქტია, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელია სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და საეჭვოა, განჭვრეტად მომავალში ეს შეიცვალოს.

დღეს სამხრეთ ოსეთის მთავარი საფრთხეებია, ერთი მხრივ, მისი შეუქცევადი დეპოპულაცია, მეორე მხრივ კი — აზრი ეკარგება არსებობას, რადგან სამხრეთიდან ბლოკადის პირობებში დამოუკიდებელ განვითარებას პერსპექტივა არ გააჩნია, ხოლო რეგიონის მოსახლეობის ერთადერთი ფუნქცია თანდათან გახდება რუსეთის სამხედრო ბაზების მომსახურება. ეს კი გამოიწვევს ეროვნული იდეალების სრულ დისკრედიტაციას და დევალვაციას. თუმცა, არ არის გამორიცხული მოიძებნოს მხარეებისთვის მისაღები გარკვეული კომპრომისული მოდელები, რაც, ერთი მხრივ, ოსურ საზოგადოებას თავიანთი მთავარი ამოცანების (რაც, სავარაუდოდ, მოიცავს უსაფრთხოებას, კონტროლს ტერიტორიასა და მის რესურსებზე, თვითმყოფადობის შენარჩუნებას) მიღწევის გარკვეულ გარანტიებს მისცემდა, ხოლო ამავე დროს მხარეებს შეუქმნიდა ერთგვარ მოტივაციას, რომ, თუნდაც სიმბოლური და დროებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე, ხელი შეუწყონ დევნილთა ნაწილის დაბრუნებას მაინც. დღეს ამგვარი სცენარი ძნელად სავარაუდოა და ნაკლებად მისაღებია რომელიმე მხარისთვის.

არსებობს რამდენიმე გარე ფაქტორი, რომელთაც შეუძლიათ კონფლიქტის მოგვარებას უფრო ხელსაყრელი პირობები შეუქმნან. პირველი ამ ფაქტორთაგანია რუსეთი — თუკი იგი დაინტერესებული იქნება მოიძიოს კომპრომისი; მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა ქვეყნის დღევანდელი ხელმძღვანელობის შენარჩუნების პირობებში. თუმცა აქ მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ ხელმძღვანელობის ცვლილება, არამედ ის მეტად საგანგაშო პროცესები, რაც ვითარდება ჩრდილოეთ კავკასიაში და რუსეთის ზოგიერთ სხვა რეგიონში. ამან კი შესაძლოა უბიძგოს რუსეთს გადაახალისოს თავისი სტრატეგიული გეგმები და პრიორიტეტები. მეორე ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროკავშირისა და აშშ-ის შორის შესაძლო ქმედებათა კოორდინაცია კონფლიქტის თუნდაც დროებითი მონესრიგების გზაზე, რაც უზრუნველყოფდა საბოლოო მოგვარებისთვის ხელსაყრელი სიტუაციის სტაბილურობას. დაბოლოს, კავკასიის სამხრეთი ფლანგის გასწვრივ, კერძოდ, თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ირანში განვითარებულმა პროცესებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ იმაზე, თუ როგორ წარიმართება მოვლენები კავკასიაში, საქართველოში და, კერძოდ, სამხრეთ ოსეთში.

რაკილა თანაარსებობის სტაბილური მოდელების ძიება გარდუვალია, შესაბამისი თემების დროული განხილვაც მეტად საჭიროა, რადგან ამას შეუძლია გააფართოვოს კონსტრუქციული იდეების სპექტრი და შესთავაზოს გადაწყვეტილებების მიმღებთ ვარიანტების უფრო ფართო არჩევანი, ვიდრე დღეს მათ ხელთაა, და ამით გავლენა მოახდინოს მონესრიგების პროცესზე.

რეალურად დღესაც კი არსებობს საკმარისი სივრცე კომპრომისის მისაღწევად, თუნდაც ზოგიერთ საკითხში, რომელიც თითქოსდა გადაუწყვეტელად აღიქმება. ასე, მაგალითად, რუსეთი და, მისი მონოდებით, სამხრეთ ოსეთიც უარს აცხადებენ დაუშვან საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მუშაობა სამხრეთ ოსეთში, თუკი ამ ორგანიზაციების სახელწოდებაში იქნება სიტყვა „საქართველო“. საქართველოც არ თანხმდება ამ მისიების იმგვარ სახელწოდებაზე, სადაც მოცემული ტერიტორიის სუვერენულობაზე იქნებოდა მინიშნება, რადგან ამ ტერიტორიებს თავის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ. თუმცა ამკარაა, რომ თუკი მხარეებს ამ საკითხის მოგვარების თუნდაც მინიმალური ნება ექნებოდათ და თანაც ცოტაოდენი ფანტაზია, არც ისე

ძნელი აღმოჩნდებოდა ისეთი კომპრომისის მოძებნა, რომელიც დააკმაყოფილებდა ყველა მხარის ფორმალურ მოთხოვნებს (მაგალითად, გეოგრაფიის გაფართოებას და სახელწოდებაში სამხრეთ კავკასიის შეტანას)<sup>55</sup>.

საქართველოს ხელისუფლებამ (შემდეგ კი — სამხრეთ ოსეთმაც და აფხაზეთმაც) ოფიციალურად განაცხადა უარი კონფლიქტის მოსაგვარებლად ძალის გამოყენებაზე<sup>56</sup>. არაფერი უშლის ხელს ამგვარი განაცხადის კანონმდებლობაში დაფიქსირებას და ეს იქნებოდა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ურთიერთდობის აღდგენის მიმართულებით. ამავე დროს რუსეთი არ თანხმდება, რომ თავის თავზე აიღოს ორმხრივ ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე უარის თქმის ვალდებულება, საბუთად კი ამობობს, რომ თითქოსდა არ წარმოადგენს კონფლიქტის მხარეს. ამ არგუმენტაციის სამართლიანობის უშედეგო განხილვის მაგიერ უნდა აღინიშნოს, ერთი მხრივ, ასეთი სიმბოლური ქმედებების ფრიად დიდი მნიშვნელობის შესახებ, მეორე მხრივ კი — რომ არ არსებობს რაიმე სერიოზული დაბრკოლება იმისათვის, რომ მოიძებნოს ძალაზე უარის თქმის ყველა მხარისთვის მისაღები ფორმულირება.

ანალოგიური კომპრომისები შესაძლებელია ბევრ სხვა საკითხშიც. ამათგან, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ქართული მხარის მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების“ სტრატეგიული დოკუმენტების გადასინჯვა და ასევე ყველა ისეთი საკანონმდებლო და საუნეებო აქტის ხელახლა განხილვა, რომლებიც ხელს უწყობს სამხრეთ ოსეთის გაუმართლებელ იზოლაციას. სასარგებლო იქნებოდა, თუკი ქართული მხარე პირველი გადადგამდა სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის გამიზნულ კონსტრუქციულ ნაბიჯებს და, მათ შორის, დევნილი ოსების ქონების რესტიტუციის საკითხს მოაგვარებდა, რისი საკანონმდებლო ჩარჩოც უკვე კარგა ხანია არსებობს.

ბოლო დროს ზოგმა ექსპერტმა წამოაყენა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო აღიარების მიზანშეწონილობის თემა. ნებისმიერი კონსტრუქციული მიდგომა იმსახურებს განხილვას, ოღონდ ახლო დროით პერსპექტივაში ამგვარი მიდგომა, ერთი მხრივ, არარეალისტურია, მაგრამ ამავედროულად არც უნდა იყოს სასარგებლო (თუმცა აქაც კვლავ ყველაფერი უკავშირდება ეროვნული ინტერესების შესაძლო ინტერპრეტაციებს). თუკი ვსაუბრობთ სამხრეთ ოსეთზე, როგორც სამართლებრივი უფლებამოსილების სუბიექტზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამგვარ უფლებამოსილების მატარებელია, პირველ რიგში, ამა თუ იმ ტერიტორიის მოსახლეობა. ანუ, როცა ლაპარაკია ამგვარ უფლებამოსილებაზე, არ შეიძლება მოცემული ტერიტორიიდან დევნილი თუ ლტოლვილი მოსახლეობის უფლებების უგულებელყოფა. ამჟამად კი, და უახლოეს მომავალში, ვერ იკვეთება იმის შესაძლებლობა, რომ მოხერხდეს მხარეების პოზიციის შეთანხმება ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორცაა ტერიტორიის იურიდიული სტატუსი და ამ ტერიტორიაზე დევნილების დაბრუნება. დე ფაქტო აღიარება ვერ შეცვლის ამ ვითარებას.

საქართველოს ხელმძღვანელობას აქვს საშუალება განახორციელოს იმგვარი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთდობის აღდგენას. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ თვალსაზრისით იქნებოდა სპეციალური ზონის შექმნა, რომელიც გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ჯგუფების ეკონომიკურ ურთიერთქმედებას მოემსახურებოდა, ანუ გამოიყენებდა ძველი ერგნეთის ბაზრობის დადებით მხარეებს, მაგრამ კონტრაბანდისა და ჩრდილოვანი ოპერაციების გამორიცხვით.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოში (სამხრეთ ოსეთის გარეთ) მცხოვრები ეთნიკური ოსების კულტურულ თვითმყოფადობაზე ზრუნვა და მათი

<sup>55</sup> *Ивлиан Хаиндрава. Перспективы международного участия в процессе урегулирования грузино-абхазского конфликта.* კრებული: *Международное участие в процессе урегулирования грузино-абхазского конфликта.* Международная тревога, Тбилиси, 2010

<http://drupal.alertinternational.co.uk/sites/default/files/publications/Georgian-Abkhaz.pdf>

<sup>56</sup> *'New Context' for Geneva Talks after Non-Use of Force Pledges.* Interview of the co-Chairs of Geneva International Discussions. Civil Georgia - 15.12.2010.

[http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/Interview\\_Civil\\_Georgia-FINAL.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/Interview_Civil_Georgia-FINAL.pdf)

სოციალური ინტეგრაცია. აქ უპირველესი მნიშვნელობა განათლების სფეროს ენიჭება. საჭიროა იმის გააზრება, რომ სკოლების ოპტიმიზაციის პოლიტიკის გატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამისი მოსახლეობის თემებისთვის, და ჩვენ შემთხვევაში, ოსური თემებისთვის, სკოლის უდიდეს კულტურულ და სოციალურ მნიშვნელობას. ოსური ენის და კულტურის მხარდაჭერა განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ ფონზე, რომელზეც ადგილი აქვს ოსური კულტურული თვითმყოფადობისა და ენის ეროზიას როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ ოსეთში. არ უნდა იყოს გამორიცხული იმ შესაძლებლობის განხილვაც, რომ ოსური ენა კონსტიტუციურ დონეზე აღიარებულ იქნეს, როგორც შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი ოფიციალური ენა, აფხაზურის მსგავსად, რასაც ამართლებს შესაბამისი ავტონომიის არსებობის პერსპექტივა.

ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს, კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების თვალსაზრისით, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთზე ზემოქმედების ძალზე შეზღუდული და სუსტი ბერკეტები აქვს და, შესაბამისად, — მანევრისა და კომპრომისისათვის საჭირო მეტად მოკრძალებული სივრცე. არსებული ზემოქმედების ბერკეტები, ფაქტობრივად, დაიყვანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განევრიანებისათვის ხელის შეშლამდე, სიმბოლურ ქმედებებამდე და რიტორიკულ განცხადებებამდე; ასევე — მესამე მხარეების (აშშ, ევროკავშირი) მეშვეობით ზემოქმედებამდე.

რუსეთს კი, თავის მხრივ, სიტუაციაზე ზემოქმედების ინსტრუმენტების არა მარტო ბევრად უფრო ფართო არჩევანი აქვს, არამედ ზოგი მისი ქმედება უშუალოდ ემუქრება საქართველოს უსაფრთხოებას. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს შეირალების დაგროვებას სამხრეთ ოსეთის (და აფხაზეთის) ტერიტორიაზე<sup>57</sup>. შესაბამისად, ასეთ პირობებში ცოტა არ იყოს ნაადრევია მხარეებს შორის დაძაბულობის მოხსნის გზებზე საუბარი.

ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ არაოფიციალური კონტაქტები და არაფორმალური გაცვლები, დიალოგის წარმართვა ადამიანებს, საზოგადოებებსა და ექსპერტებს შორის. ჯერჯერობით ამგვარი ურთიერთობის ძირითადი ფორმატებია გამყოფი ხაზის ორ მხარეს მცხოვრებ ადამიანთა შორის ინდივიდუალური კონტაქტები, აგრეთვე სხვადასხვა სემინარსა და კონფერენციაში ექსპერტებისა და სამოქალაქო აქტივისტების მონაწილეობა. აშკარაა, რომ დადგა დრო, ერთი მხრივ, სამოქალაქო ურთიერთქმედების ახალი ფორმატების ძიებისა და, მეორე მხრივ, არსებული ეფექტური ფორმატების ინსტიტუციონალიზაციისა. ეს აუცილებელია სხვადასხვა იდეისა და სცენარის მოსასინჯად, მაგრამ საზოგადოებაც უნდა იყოს საქმის კურსში ახალი იდეებისა და წინადადებების თაობაზე — იმ დროისთვის, როდესაც ორივე მხარის ხელმძღვანელობა უფრო მზად იქნება კონსტრუქციული დიალოგისა და კომპრომისისთვის. საზოგადოებისთვის ამგვარი ინფორმაციის წარმოდგენის ხერხი, იდეების ფორმულირების მკაფიო ფორმა და კომუნიკატორის ავტორიტეტი გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, მოვლენების ინტერპრეტაციაში, დღის წესრიგის განსაზღვრასა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში.

ზემოთ აღწერილი პრობლემატიკის სხვადასხვა ასპექტის მიუკერძოებელი კვლევა ხელს შეუწყობს იმ ფორმალური დაბრკოლებების განსაზღვრას, რაც აფერხებს შესაბამისი პრობლემების გადაწყვეტას. განისაზღვრება შესაძლო შემხვედრი ნაბიჯებიც, რომელნიც, მხარეების რეალური ეროვნული ინტერესების მიმართ ზიანის მიყენების გარეშე, არა მხოლოდ გაუადვილებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მობინადრე მოქალაქეებს ცხოვრებას, არამედ გაითვალისწინებს ყველა იმ კეთილი

<sup>57</sup> ყურადსაღებია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კრასინის 2011 წლის 4 მარტის განცხადება, რომ: „რუსეთის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების „ტოჩკა-უ“ (Точка-У) ქვეგანყოფის სამხრეთ ოსეთში შემოყვანა მოხდა დროებით, სასწავლო მანევრებში მონაწილეობის მიზნით“.

[http://www.militaryparitet.com/teletype/data/ic\\_teletype/9902/](http://www.militaryparitet.com/teletype/data/ic_teletype/9902/)



---

---

ნების ადამიანის ინტერესებს, ვისაც კი სურს წვლილი შეიტანოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების დაძლევაში.

ამ პროექტის არსი, რომლის ფარგლებშიც მოცემული ტექსტი მომზადდა, სწორედ ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობაა და ამდენად გასაკვირი არ არის, რომ ამ ერთობლივ ნამუშევარში დასახული უპირველესი ამოცანა სწორედ დიალოგის გააქტიურებისა და გაღრმავების გზების ძიებაა. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს საერთო ინტერესების გადაკვეთებისა და ისეთი საკითხების ძიებას, სადაც კი თანამშრომლობა შესაძლებელიცაა და სასურველიც. ერთობლივი მუშაობის შედეგი იქნებოდა არა მარტო ამგვარი საერთო ინტერესების მოძებნა, არამედ მოსახლეობის იმ ჯგუფებისა და/ან სამოქალაქო საზოგადოების ისეთი წარმომადგენლების იდენტიფიცირება, ვინც კი შეიძლება იყოს დაინტერესებული ამგვარი თანამშრომლობით. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გამოვლენაც, რომელთაც შეუძლიათ ზემოქმედება დიალოგის განხორციელებადადობაზე და მის ეფექტურობაზე. ამგვარ ფაქტორად, მაგალითად, შესაძლოა იყოს გარე მედიატორების მონაწილეობა.

გვეჩვენება, რომ დღეს ორივე საზოგადოებაში უკვე არსებობს დიალოგის წარმართვის გარკვეული მიზნები, რადგან, ერთი მხრივ, ერთმანეთის არსებობის უგულებელყოფა მაშინ, როდესაც ორივე მხარის ინტერესები ძლიერ არის ერთმანეთთან გადახლართული, ხოლო ამჟამინდელი პოლიკური ტენდენციები კი აშკარად გრძელვადიან ხასიათს ატარებს, აშკარად წამგებიანია. მეორე მხრივ, დღეისათვის მეტი ტექნიკური საშუალებაა ამგვარი დიალოგის გასამართავად (დაფინანსების ხელმისაწვდომობის ჩათვლით). ასეთ ვითარებაში დიალოგის შესაძლო მოდელების განხილვა, სავარაუდოდ, წინ გაუსწრებს თვით ამ მოდელების რეალიზაციას, თუკი ეს განხილვა არ დარჩება ექსპერტთა ვიწრო წრის საქმედ და მისი შედეგები საზოგადოების ფართო წრეებისთვის გახდება ცნობილი.

---

---

## სამოქალაქო საზოგადოება და სამშვიდობო პროცესი

ივლიანე ხაინდრავა

მაღალგანვითარებული და გავლენიანი სამოქალაქო საზოგადოება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობის განუყოფელი ატრიბუტი, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნისთვის უმთავრესი პროცესებისა და გადაწყვეტილებების საჯარო განხილვის პირობაა. თავისი არსიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოება, როგორც წესი, კონფლიქტური ვითარებების მიმართ სამშვიდობო მიდგომების ავანგარდშია და არაფორმალური „სამოქალაქო“ თუ „სახალხო“ დიპლომატიის აქტიურ მონაწილედ და ინიციატორად გვევლინება. სწორედ ქართული და ოსური სამოქალაქო საზოგადოებებია მოწოდებული გამოიჩინონ კეთილი ნება სამშვიდობო პროექტების განხორციელების, იდეებისა და ინფორმაციის გაცვლის, სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის შესაბამისი პოლიტიკური ელიტების სტიმულირების მიმართ; სწორედ მათ აქვთ ორი საზოგადოების შერიგების პროცესში და ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციაში უშუალო და ნაყოფიერი მონაწილეობის პოტენციალი.

აქ მნიშვნელოვანი პრობლემა ის გახლავთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ან არასაკმარისადაა განვითარებული (სხვადასხვა ხარისხითაა განუვითარებელი), ან მიზეზთა თუ გარემოებათა გამო არსებულ პრობლემატიკაზე არასათანადოდაა ფოკუსირებული. თუმცა ისინიც კი, ვინც თემთაშორისი დიალოგის განვითარებისა და მხარდაჭერის აუცილებლობის კონსტრუქციულ პოზიციას აქტიურად იცავენ, საკუთარი რესურსების, შესაძლებლობებისა და გავლენის ნაკლებობას განიცდიან. ამრიგად, მოცემული ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს შესაბამისი სამოქალაქო საზოგადოებების (უპირატესად — ქართულის) სამშვიდობო პოტენციალის ანალიზი, იმ მიდგომების განხილვა, რომლებიც, ერთი მხრივ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გააქტიურებას შეუწყობენ ხელს, ხოლო მეორე მხრივ – არსებული სიძნელეების, მათი აღმოფხვრის საშუალებებისა და სამოქალაქო აქტიურობის ოპტიმალური ფორმატების იდენტიფიცირებას მოახდენენ.

ვინაიდან ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგი საფუძველში უდევს პროექტს, რომლის ფარგლებშიც იწერება ეს მასალა, გასაკვირი არაა, რომ ერთობლივი სამუშაოს უპირველეს ამოცანას მისი გაღრმავება-გააქტიურების გზების მოძებნა წარმოადგენს. ეს კი, თავის მხრივ, თანმხვედრი ინტერესებისა და იმ მნიშვნელოვანი სფეროების გამოვლენას მოითხოვს, სადაც თანამშრომლობა სასურველიცაა და შესაძლებელიც. სამუშაოს შედეგი არა მხოლოდ ამგვარი ინტერესების გადაკვეთის სფეროების პოვნაზეა გამიზნული, არამედ მოსახლეობისა და/ან სამოქალაქო საზოგადოების იმ ჯგუფების განსაზღვრაზეც, რომლებიც ინტერესს გამოავლენენ მსგავსი თანამშრომლობის მიმართ. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ ფაქტორთა იდენტიფიცირებაც, რომლებსაც დიალოგის განხორციელებადობასა და ეფექტურობაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, მათ შორის – პროცესის გარე მედიატორებისა და სპონსორების მონაწილეობა; ასევე — ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის ფაქტორებისა, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების დონეზე თემთაშორისი დიალოგის განვითარებასა და კონტაქტების დამყარებას და/ან აღდგენას უშლიან ხელს.

ძველები ამბობდნენ: დრო საუკეთესო მკურნალია! მართალია, მოსკოვში, ცხინვალსა თუ თბილისში ბევრი პოლიტიკოსი დაპირისპირებისა და ურთიერთბრალდებების მაღალი ტემპერატურის შენარჩუნებას ცდილობს, მართალია, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედიაც ამავე სულისკვეთებით მოქმედებს, მაგრამ 2008 წლის ზაფხულ-შემოდგომის მოვლენების აღქმის სიმწვავე უბრალო მოქალაქეებში ნელ-ნელა ცხრება. გამყოფი ხაზის ორივე მხარეს დიალოგისა და ურთიერთქმედების აუცილებლობის გაგებაც კრისტალიზდება; ადამიანებს ცხოვრება სურთ დღესაც და ხვალაც, ისინი ვერ დაუცდიან დროს, როცა პოლიტიკოსები მოახერხებენ გადაწყვეტილებების მოძებნას. პოლიტიკურ სფეროში კი ჯერჯერობით

ვითარების შეცვლის არანაირი წინაპირობა, სამწუხაროდ, არ შეინიშნება. ამავდროულად, დასავლელი მედიატორებისა და დონორების უშუალო თანადგომით, ორ საზოგადოებას შორის დიალოგის დამყარების პირობები იკვეთება. კონტაქტების, დიალოგის, თანამშრომლობის შესაძლო მოდელების სხვადასხვა ფორმატში განხილვა სამოქალაქო საზოგადოებებს შორის კონკრეტული, გააზრებული, მიზანმიმართული და კოორდინირებული პროექტებისა და პროგრამების ფორმირებისა და რეალიზებისთვის ნაყოფიერი ნიადაგის შესაქმნელადაა მოწოდებული. მნიშვნელოვანია, წერს თავისი კვლევის დასკვნით ნაწილში გ. თარხან-მოურავი, რომ ამ მიმართულებით განეული სამუშაო ისევე, როგორც კონკრეტული კვლევების შედეგების განხილვა იყოს ღია და ხელმისაწვდომი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, მოსახლეობის რელევანტური ჯგუფებისა და მთელი საზოგადოებისთვის<sup>58</sup>.

### საწყისი მდგომარეობა

ერთი მხრივ, თბილისის, მეორე მხრივ კი, ცხინვალისა და მოსკოვის მმართველ ელიტებს შორის რიგ საკითხებზე, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსისა თუ რუსეთის სამხედრო ბაზებისა და მესაზღვრეების ამ ტერიტორიაზე ყოფნის თაობაზე, შეურიგებელი პოზიციების გამო, ახლო მომავალში მხარეებს შორის ოფიციალური ურთიერთობების რადიკალური გაუმჯობესება მოსალოდნელი არაა. მოცემულ მომენტში უშუალო პოლიტიკური კონტაქტების ერთადერთ ფორმატად ყენევის მრავალმხრივი კონსულტაციების პროცესი რჩება, რომელსაც ჯერჯერობით ხელშესახები შედეგი არ გამოუღია. ამავდროულად, არაპოლიტიკური ხასიათის მთელი რიგი გადაუწყვეტელი საკითხების არსებობა, სხვადასხვა დონეზე მუდმივი დიალოგის არქონის ფონზე, ხელს უწყობს ურთიერთუნდობლობის ზრდას, მტრის ხატის შენარჩუნებასა და საზოგადოებებს შორის გაუცხოებას. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არაოფიციალური კონტაქტები და საზოგადოებებსა და ადამიანებს შორის დიალოგი. ჯერჯერობით ასეთი ურთიერთობის შეზღუდულ ფორმატს გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ პირთა შორის ინდივიდუალური კონტაქტები, აგრეთვე მესამე ქვეყნებში სემინარებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობა წარმოადგენს. აშკარაა, რომ დადგა სამოქალაქო ურთიერთქმედების ახალი ფორმატების ძიებისა და ყველაზე უფრო ეფექტური ფორმატების ინსტიტუციონალიზაციის დრო.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი ვინროპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ქართულ-ოსური ურთიერთობების მოგვარების გაფლანგული შესაძლებლობებისა და ახლო წარსულში დაშვებული შეცდომების ტვირთით დამძიმებული თბილისის, ცხინვალისა და მოსკოვის ხელისუფლებები ხელს როდი უწყობენ სამხრეთ ოსეთისა და დანარჩენ საქართველოს შორის გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ მოსახლეობას ურთიერთქმედების დამყარებასა და განვითარებაში. ამგვარი დამოკიდებულება ვრცელდება შესაბამისი სამოქალაქო ინსტიტუტების წარმომადგენლებზეც. ვალერი ძუცევი მწუხარებით აღნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ორმა უშუალო მონაწილემ – თბილისისა და ცხინვალის მთავრობებმა – რეგიონში დაძაბულობის დეესკალაციისა და ნდობის აღდგენის კუთხით საკმაოდ პასიური პოზიცია დაიკავეს. მათ ჰქონდათ იმედი, რომ მსხვილი მოთამაშეები რეგიონში – რუსეთი, აშშ, ევროკავშირი – პრობლემებს მოუგვარებდნენ. ამასობაში არავინაა ისე ჩახედული ვითარებაში, როგორც ადგილზე მცხოვრები ადამიანები და ამიტომ მთავარი სამშვიდობო პოტენციალი სწორედაც რომ ადგილობრივ დონეზეა. გარე სპონსორებზე ყველა იმედის დამყარება იმას ნიშნავს, რომ ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი საკითხები შეიძლება მათი სურვილის გაუთვალისწინებლად გადაწყდეს<sup>59</sup>.

<sup>58</sup> იხ. წინამდებარე კრებულში: გიორგი თარხან-მოურავი. *კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში: დღევანდელი პრობლემები და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პერსპექტივები*.

<sup>59</sup> **Валерий Дзуцев.** *Национальное примирение в Южной Осетии*, 06.07.2009 <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/156240/>

2010 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ — „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“<sup>60</sup> — ასახავს რიგ ამოცანებსა და მიზნებს, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართული და ოსური საზოგადოებების დაახლოებასა და შერიგებაზე მიმართული ინიციატივები. კერძოდ, თავში „სტრატეგიული მიზანი“ განცხადებულია:

- საერთო ინტერესების განსაზღვრისა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ერთობლივი თემთაშორისი პროექტებისა და საქმიანობების მხარდაჭერის მეშვეობით თავისუფალი გადაადგილების, ასევე გამყოფ ხაზებს მიღმა მცხოვრებთა შორის კონტაქტებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გამყოფი ხაზებით იზოლირებულ რეგიონებს შორის ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების ხელშეწყობა.

თავში „ძირითადი პრინციპები“ ხაზგასმული: საქართველო ეწინააღმდეგება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის იზოლაციას, აცნობიერებს რა იქ მცხოვრები მოსახლეობის იზოლაციის უარყოფით შედეგებს; თავში „მიზნები“ ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი „სახალხო დიპლომატია“, სადაც ნათქვამია, რომ აუცილებელია „ყოფილი მეომრების, შერეული ოჯახების წევრების, ახალგაზრდობის, კოლეგების, მეცნიერების და ნებაყოფლობითი გაერთიანებების ურთიერთობისთვის ხელშეწყობი პლატფორმის შექმნა“. აქვეა ქვეთავი, რომელიც ინფორმაციის დაუბრკოლებელ გავრცელებას ეძღვნება.

ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა<sup>61</sup> შეიცავს თავს — „საზოგადოებათაშორისი ურთიერთობები“, სადაც კავშირების აღდგენის ხელშეწყობის აუცილებლობაა ხაზგასმული, რაც შერიგების პროცესში არსებით როლს ასრულებს; აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არაფორმალურ დიალოგს ენიჭება. სამოქმედო გეგმა, კერძოდ, შემდეგ ინიციატივებს უჭერს მხარს:

- ოჯახურ ღონისძიებებში მონაწილეობა: ძეობა, ქორწილი, დაკრძალვა, საფლავების მონახულება და რელიგიური ცერემონიები;
- შერეული ოჯახების შეხვედრებისა და ვიზიტების ხელშეწყობა გამყოფი ხაზების ორივე მხარეს;
- უხუცესთა შეხვედრების ხელშეწყობა;
- რელიგიური (მოლოცვისთვის) და ისტორიულ-კულტურული ვიზიტების ხელშეწყობა;
- ჟურნალისტთა გაცვლა;
- პროფესიული გაცვლა (არ შემოიფარგლება მხოლოდ დევნილი მოსახლეობით);
- კულტურისა და სპორტის სფეროში გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობა (არ შემოიფარგლება მხოლოდ დევნილი მოსახლეობით);
- უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების, გადმოსვენებისა და პატიმართა გაცვლის კომისიების დაარსება.

<sup>60</sup> [http://www.smr.gov.ge/uploads/file/strategy\\_ru.pdf](http://www.smr.gov.ge/uploads/file/strategy_ru.pdf)

<sup>61</sup> [http://www.smr.gov.ge/uploads/action\\_plan\\_ru.pdf](http://www.smr.gov.ge/uploads/action_plan_ru.pdf)

სამწუხაროდ, ყველა ზემოჩამოთვლილ კეთილ ზრახვას წინ ხვდება ქართული კანონმდებლობის მიერვე შექმნილი დაბრკოლებები. 2008 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (2010 წელს კანონში რამდენიმე ცვლილება და დამატება შეიტანეს), რომელიც შესაბამის ტერიტორიებზე რიგ თავისუფლებებსა და საქმიანობებს ზღუდავს. მაგალითად, კანონის მე-4 მუხლი მოქალაქეობის არმქონე პირთათვის და უცხო ქვეყნების მოქალაქეებისათვის ზღუდავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილების თავისუფლებას; კერძოდ, კრძალავს ამ ტერიტორიაზე შესვლას ნებისმიერი სხვა მიმართულებიდან, გარდა გორის [და ზუგდიდის] მუნიციპალიტეტისა, ანუ საქართველოს ხელისუფლების კონტროლისა და თანხმობის გარეშე.

პრობლემების ძირითადი წყაროა საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წელს შემოღებული „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის ნესები“ (Modalities)<sup>62</sup>, რომლითაც ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყველა სახის კომერციული და არაკომერციული საქმიანობის რეგლამენტირება.<sup>63</sup> ამ დოკუმენტმა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების საფუძვლიანი კრიტიკა დაიმსახურა და შეფასდა, როგორც „არასამთავრობო სექტორის კონტროლის მცდელობა“<sup>64</sup>. ამგვარი კრიტიკისთვის სერიოზული მიზეზი არსებობს — ვერც ერთი პროექტი, რომელიც სამხრეთ ოსეთში [და აფხაზეთში] სართაშორისო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივ პარტნიორებთან (ამ შემთხვევაში — ოსურთან და ქართულთან) ერთად ხორციელდება, ვერ რეალიზდება საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე (რეინტეგრაციის სამინისტრო); ხოლო ყოველ ექვს თვეში აუცილებელია პროექტის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა (იმავე უწყებაში). რეინტეგრაციის საკითხებში იმჟამინდელი სახელმწიფო მინისტრის, თ. იაკობაშვილის, თქმით, „ამ დოკუმენტმა მოგვცა საშუალება, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ქონოდა დისკრეცია, გადაეწყვიტა რიგ შემთხვევაში რომელი საქმიანობა იქნებოდა ხელისშემწყობი ნდობის აღდგენის, ან რომელი იქნებოდა ხელისშემწყობი კონფლიქტის ტრანსფორმაციის“.<sup>65</sup>

თუმცაღა, მინისტრის მიერ ნახსენები „დისკრეცია“ დისკრიმინაციის საშიშროებას შეიცავს. მაგალითად, ნესების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი გვაუწყებს, რომ იმ შემთხვევებში, როცა პროექტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების საქართველოს საზღვრებს გარეთ გასვლას ითვალისწინებს, მათი გადაადგილება უნდა მოხდეს ან ქართული საზღვარგარეთული პასპორტით, ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტით. მართალია, ეს პუნქტი ძალაში მხოლოდ მას შემდეგ შევა, რაც ხსენებული „ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი“ შემუშავდება და ამოქმედდება, მაგრამ ის მრავალი გაუგებრობის მომასწავებელია. სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები საზღვარგარეთ გასასვლელად უპირატესად რუსეთის საზღვარგარეთულ პასპორტებს იყენებენ. თუკი და როცა ხსენებული პუნქტი ძალას შეიძენს, სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის პასპორტებით საზღვარგარეთ გასვლა უკანონო გახდება და საერთაშორისო ორგანიზაციები საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე დადგებიან — მათ ან უნდა უგულვებლყონ საქართველოს კანონმდებლობა, ან შეწყვიტონ მესამე ქვეყნებში სამხრეთ ოსეთის იმ მაცხოვრებლების მინვევა, ვინც ქართულ პასპორტებზე და „ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტზე“ ამბობს უარს. ასეთები კი დღესდღეობით მნიშვნელოვან უმრავლესობას შეადგენენ. ამგვარად, კითხვის ქვეშ დადგება არა მხოლოდ ერთობლივი (საერთაშორისო ორგანიზაციებთან) პროექტების განხორციელება, არამედ თვით შენევის კონსულტაციების გაგრძელებაც კი. თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებაც შეიძლება არასასიამოვნო არჩევანის წინაშე დადგეს: მან ან თვალი უნდა დახუჭოს საერთაშორისო ორგანიზაციების

<sup>62</sup> <http://www.smr.gov.ge/uploads/file/041010/statement.pdf>

<sup>63</sup> მანმადე ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობას არეგულირებდა საქართველოს მთავრობის 2008 წ. 12 დეკემბრის დადგენილება. <http://www.government.gov.ge/>

<sup>64</sup> <http://www.ekhokavkaza.com/content/none/2235145.html>

<sup>65</sup> <http://netgazeti.ge/GE/32/Life/3003/>

მხრიდან „წესების“ დაუმორჩილებლობაზე, ან ღიად დაუპირისპირდეს მათ, რაც ოფიციალური თბილისის გეგმებში არანაირად არ უნდა შედიოდეს.

ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში მაინც საქართველოს ის არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო აქტივისტები აღმოჩნდნენ, ვინც უშუალოდ კონფლიქტების ტრანსფორმაციის პრობლემატიკაზე მუშაობენ. ისინი „წესების“ მიქველებად მოგვევლინენ, რადგან საქართველოს მთავრობას, რეინტეგრაციის სამინისტროს სახით, არა მხოლოდ მათი საქმიანობის გაკონტროლება შეეძლება, არამედ არასასურველი და/ან სხვაგვარად მოაზროვნე პირების პროექტებში მონაწილეობიდან მოკვეთაც, მათი პროექტების „საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის ან ჰუმანიტარულ მიზნებთან“ შეუსაბამობის საბაბით. ამასთან ერთად რეინტეგრაციის სამინისტრომ საქმიანობის (ფსევდოსაქმიანობის) სივრცე „თავის“ (სასურველ და ყველაფერზე თანახმა) ხალხს გაუხსნა, რომელთა მოძებნა და/ან რეკრუტირება უკანასკნელ წლებში მომრავლებულ „სამთავრობო-არასამთავრობო ორგანიზაციების“ (GONGO) წიაღში სიძნელეს არ წარმოადგენს.

2010 წლის დეკემბერში ავტორიტეტულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ — საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ქართულ-ოსურ [და ქართულ-აფხაზურ] დიალოგში მონაწილე ქართველი ახალგაზრდების ჯგუფმა წესებთან დაკავშირებით რეინტეგრაციის სამინისტროს თავისი მოსაზრებები გაუგზავნეს. მათ დოკუმენტში კონკრეტული ცვლილებების შეტანა შესთავაზეს სამინისტროს, რაც ამ დოკუმენტს გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილი მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს მიუახლოვებდა და შესაბამის პროექტებში მონაწილე სამოქალაქო აქტივისტების საქმიანობის გზაზე ხელოვნურ დაბრკოლებებსაც მოხსნიდა. ამ ინიციატივებს სათანადო რეაქცია არ მოჰყოლია. საეჭვოა, რომ რეინტეგრაციის სამინისტროს ასეთი მიდგომა გასაგები გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორებისთვისაც, რომელთა პრიორიტეტებიც ყოველთვის და/ან ყველაფერში როდი ემთხვევა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტებს.

საბინა ფიშერი, უსაფრთხოების პრობლემების კვლევის ევროპული ინსტიტუტიდან (ISS), იმთავითვე შიშობდა, რომ საქართველოს ხელისუფლება შეეცდებოდა იმ ქართველი აქტივისტებისთვის ხელის შეშლას, ვინც ზომიერი შეხედულებების მატარებელია სამხრეთ ოსეთის [და აფხაზეთის] მიმართ და ვისაც სამოქალაქო დიპლომატიის (Track Two Diplomacy) მდიდარი გამოცდილება აქვს. იგი აგრეთვე ფიქრობს, რომ აუცილებელია სამხრეთ ოსეთში [და აფხაზეთში] საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისთვის სივრცის შენარჩუნება<sup>66</sup>. ს.ფიშერის პოზიციას ეხმიანება კრიზისების პრევენციის საერთაშორისო ჯგუფის (ICG) რეკომენდაცია ევროკავშირის, ეუთოს, ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო აქტორების მისამართით, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებასთან კონტაქტების განახლებას ან გაგრძელებას, აგრეთვე საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებებსა და ქართულ და ოსურ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის დიალოგის მხარდაჭერას<sup>67</sup>.

ამავდროულად საქართველომ ცალმხრივად გადადგა ნაბიჯი, რომლის პოლიტიკურ შემადგენელსაც არაერთმნიშვნელოვანი შეფასება მოჰყვა, თუმცა კავკასიონის გაღმა-გამოღმა მცხოვრებ რიგით მოქალაქეებს იგი ნამდვილად უქადის ცხოვრების გაიოლებას<sup>68</sup>. იგულისხმება რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიური

<sup>66</sup> Сабина Фишер. *Абхазия и грузино-абхазский конфликт*. осень 2009, декабрь 2009 г.

[http://www.iss.europa.eu/nc/actualites/analysisbooks/select\\_category/16/article/abkhazia-and-the-georgian-abkhaz-conflict-autumn2009](http://www.iss.europa.eu/nc/actualites/analysisbooks/select_category/16/article/abkhazia-and-the-georgian-abkhaz-conflict-autumn2009)

<sup>67</sup> ICG, Доклад №205 Европа, Южная Осетия: *Время признания*, 07.06. 2010.

[http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/caucasus/georgia/205-south-ossetia-the-burden-of-recognition.aspx?alt\\_lang=ru](http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/caucasus/georgia/205-south-ossetia-the-burden-of-recognition.aspx?alt_lang=ru)

<sup>68</sup> იბ. მაგ.: Oliver Bullough: *A New Georgian Gamble in the Caucasus*, December 23, 2010

<http://www.foreignaffairs.com/features/letters-from/letter-from-tbilisi-0?page=show>

სუბიექტების მცხოვრებთათვის საქართველოში უვიზოდ შემოსვლის რეჟიმის დაწესება, რომელიც ძალაში 2010 წლის 13 ოქტომბერს შევიდა. ერთი შეხედვით, მას ქართულ-ოსურ ურთიერთობებთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, მაგრამ ეს — მხოლოდ ერთი შეხედვით. ჩრდილოეთ ოსეთი (რომლის მოქალაქეებზეც, ბუნებრივია, ვრცელდება უვიზო რეჟიმი) კონფლიქტის ტრანსფორმაციაში სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს; ფაქტორს, რომელიც შეიძლება ან ბარიერად, ან რესურსად იქცეს. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიის სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის პროცესში მონაწილეობა არა მარტო სასურველი, არამედ გარდაუვალიცაა; და რაც უფრო ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდება ქართველებისა და ოსების უშუალო კონტაქტებს, მით უკეთესი.

ამ კუთხით სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის გამყოფი ხაზის სოციალისტურ ბანაკსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ცივი ომის დროინდელი საზღვრის მსგავს ძნელად გადასალახავ ზღუდედ გარდაქმნის პროცესი ნაკლებად დამაიმედებელია; იგივე ითქმის სამხრეთ ოსეთის მილიტარიზაციაზეც, რასაც დიდი მონდომებით ეწევიან მის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარები და მესაზღვრეები. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ ოსეთის პერიმეტრის 75% დანარჩენ საქართველოსთანაა შეხებაში, მოვლენების ამგვარად განვითარების უპერსპექტივობა ამკარაა. ვ. ძუცევი მიიჩნევს, რომ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის კეთილდღეობისთვის, სულ მცირე, ერთი პირობის დაკმაყოფილებაა აუცილებელი: მათ კი არ უნდა გამიჯნონ ჩრდილო და სამხრეთ კავკასია, არამედ დაუკავშირონ ერთმანეთს<sup>69</sup>. თუკი სამხრეთ ოსეთი სატრანსპორტო ჩიხად გადაიქცევა, რომლის პერიმეტრის უდიდესი ნაწილი გაუვალი საზღვარი იქნება, ხოლო გარე სამყაროსთან მას მხოლოდ როკის გვირაბი დააკავშირებს (ამ შემთხვევაში „ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე“ საუბარი არასერიოზული იქნება), გაუგებარია, რის ხარჯზე შეძლებს იგი არსებობასა და განვითარებას. დოტაციები მოსკოვიდან სამუდამო მოცემულობა არ გახლავთ, მით უფრო, როცა ცენტრიდან წამოსულ ფულს ისედაც ბევრი პრეტენდენტი ჰყავს კავკასიონს გადაღმა.

ამ ყოველივეს კიდევ ერთი გარემოება ემატება. 2010 წ. დეკემბერში ქ. ბრიუსელში გაიმართა წარმომადგენლობითი საერთაშორისო სემინარი, რომელიც ევროკავშირის „არალიარებისა და ჩართულობის“ პოლიტიკის თემას მიეძღვნა; ს. ფიშერის მიერ მომზადებულ სემინარის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობა უარს ამბობს საერთაშორისო აქტორებთან კონსტრუქციულ ურთიერთქმედებაზე (რუსეთის გამოკლებით), რაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა<sup>70</sup>.

კრიზისების პრევენციის ჯგუფის ზემოხსენებულ ანგარიშში<sup>71</sup> დეტალურადაა აღწერილი ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიც არიან გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანები. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებისთვის მიცემულ რეკომენდაციებში კი კერძოდ ნათქვამია:

- თავი შეიკავონ საქართველოს მოქალაქეების თვითნებური დაკავებისაგან და მათი გადაადგილების შეზღუდვისაგან;
- მიანიჭონ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასა და სხვა საერთაშორისო წარმომადგენლებსა თუ ორგანიზაციებს სამხრეთ ოსეთში შესვლის სრული თავისუფლება.

კონფლიქტის ყველა მხარეს (საქართველოს, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ფედერაციას) ეძლევა რეკომენდაცია, შეათანხმონ ადგილობრივი მაცხოვრებლების, ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და განვითარების ორგანიზაციების ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების მექანიზმები.

<sup>69</sup> Валерий Дзуцев. *Северный Кавказ: от клубка противоречий на периферии - к овладению собственной судьбой*, 19.11.2010, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/177235/>

<sup>70</sup> [http://www.iss.europa.eu/fileadmin/fichiers/pdf/seminars/2010/NREP\\_report.pdf](http://www.iss.europa.eu/fileadmin/fichiers/pdf/seminars/2010/NREP_report.pdf)

<sup>71</sup> ICG, Доклад №205

გამყოფი ხაზის გასწვრივ ქართულ მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიური ყოფის სიმძიმეზე ღირებულ ინფორმაციას ორგანიზაციის Saferworld 2010 წ. ოქტომბრის ანგარიშიც გვანდის<sup>72</sup>.

### ახლო წარსულის სამოქალაქო ინიციატივები

წარსულის ერთობლივი ქართულ-ოსური პროექტების დეტალური განხილვის გარეშე მაინც გავიხსენებ ორ მაგალითს, რომელიც ქართული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა პოზიციასა და ინტელექტუალურ პოტენციალზე მეტყველებს.

2004 წელს დამოუკიდებელ ქართველ ექსპერტთა ჯგუფმა, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ხელშეწყობით, მიზნად დაისახა ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ ხელმისაწვდომ მონაცემთა შეგროვება და სტრუქტურირება, ურთიერთდობის აღსადგენად აუცილებელი ზომებისა და, ასევე, სამხრეთ ოსეთის სტატუსისა და კონფლიქტის მოგვარების ეკონომიკური ასპექტების შესახებ საკუთარი მოსაზრებების წარდგენა. შედეგად, მომდევნო წელს გაჩნდა მრავალგვერდიანი ნაშრომი სათაურით – „ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, მოგვარების გზებისა და განვითარების შესაძლო მიმართულებების შესახებ“. ეს ნაშრომი რამდენიმე ფოკუს-ჯგუფში ღრმად და დეტალურად იყო განხილული, გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი ექსპერტების შეფასებებიც. ყველაზე აღსანიშნავი კი ისაა, რომ ქართველი კოლეგების მიერ ჩატარებულ სამუშაოზე საკუთარი დასკვნები ოსმა ექსპერტებმაც წარმოადგინეს. მათი გამომხატურების პირველი ორი წინადადება ასე ჟღერს: „საექსპერტო დასკვნა მაღლობის სიტყვებით იშვიათად თუ იწყება, მაგრამ ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს, რათა მაღლიერები ვიყოთ კვლევის ავტორებისა: პაატა ზაქარაიშვილის, რევაზ ჯორბენაძის, თინათინ ხიდაშელის, კონსტანტინე კუბლაშვილის, ივლიანე ხაინდრავასი, გიორგი გოგიასი, თენგიზ შერგელაშვილის, მიხეილ მირზიაშვილის, ლია ტოკლიკიშვილის, ხათუნა მანისაშვილისა და დავით დარჩიაშვილის. მათი წყალობით 2005 წელს, პირველად მთელი კონფლიქტის განმავლობაში, ჩვენ მივიღეთ შეჯამებული ტექსტი მხარეებისთვის მისაღები თუ მიუღებელი წინადადებებისა ქართულ-ოსურ წინააღმდეგობათა მოგვარების თაობაზე“.

2006 წელს ვლადიკავკაზში კლუბმა „სამოქალაქო საზოგადოება“ ერთ კრებულად გამოაქვეყნა ქართველ ექსპერტთა ხსენებული ნაშრომი, ფოკუს-ჯგუფებში მისი განხილვის შედეგები, დოკუმენტზე გაკეთებული კომენტარები, „ადამონ ნიხასისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციის „კანონი ხელისუფლებაზე მაღლა“ (ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანია) ანალიტიკოსების საექსპერტო დასკვნები<sup>73</sup>. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ის, რაში დაემთხვა და რაში არა ქართული და ოსური სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენელთა თვალთახედვა, შეფასებები, პოზიციები, არამედ თვით ფაქტი მსგავსი ურთიერთქმედებისა.

2005 წლის აპრილში საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ქვეყნის პრეზიდენტის სახელზე მიმართვა გააგზავნეს<sup>74</sup>, რომლითაც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის თაობაზე საქართველოს მთავრობის ინიციატივებს შეეხმიანენ.<sup>75</sup> ამ მიმართვის ტექსტი საგულისხმოა და ამდენად, მოგვყავს სრული სახით.

<sup>72</sup> Malte Viefhues and David Wood. *Life on the boundary line: The future of security in Shida Kartli*.

<http://www.saferworld.org.uk/downloads/pubdocs/Life%20on%20the%20boundary%20line%20REV.pdf>

<sup>73</sup> <http://www.google.ge/url?sa=t&source=web&cd=1&ved=0CBQQFjAA&url=http%3A%2F%2Ffuasdan.com%2Fengine%2Fdownload.php%3Fid%3D4&ei=-zG3TaKONsOVOqHoqYAP&usq=AFQjCNGyMUZXvBQkN89Sbf-SeT-7woha6g>  
(რუსულ ენაზე)

<sup>74</sup> მიმართვის შინაარსი იხ.: Civil Georgia 06.04.2005 <http://www.civil.ge/geo/article.php?id=9360&search=>

<sup>75</sup> 2005 წ. 24 მარტს დოკუმენტი საქართველოს პრეზიდენტის საიტზე გამოქვეყნდა; მანამდე, 26 იანვარს, მისი ძირითადი დებულებები ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე გახმოვანდა.



### მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

მივესალმებით „საქართველოს მთავრობის ინიციატივას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით“. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, დოკუმენტი უფრო ადრე ყოფილიყო შემუშავებული, რაც, ალბათ, თავიდან აგვარიდებდა კონფლიქტის ესკალაციას 2004 წლის ზაფხულში.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას ნამდვილად შეიძლება საფუძვლად დაედოს ხსენებული დოკუმენტი, თუკი იგი გაითვალისწინებს მეორე მხარის შესაძლო წინადადებებს.

ჩვენი აზრით, დოკუმენტის რეალიზაციას წინ უნდა უძღვოდეს გარკვეული ნაბიჯები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც აღადგენს დაკარგულ ნდობას, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მოპოვებულ იქნა ქართველი და ოსი ხალხების მიერ. კერძოდ:

ვფიქრობთ, ზოგი ღონისძიება, რომელსაც ითვალისწინებს „სამთავრობო ინიციატივა“, უკვე მისი რეალიზაციის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს. ეს ხელს შეუწყობს, შეუქცევადი გახდეს ოს ხალხში დაწყებული უნდობლობის ღღობის პროცესი.

მხედველობაში გვაქვს შემდეგი:

ა) აუცილებელია 1990-1992 წლების შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური შეფასება საქართველოს ხელისუფლების მიერ, მით უფრო, რომ თქვენი მხრიდან ამის შესახებ გაკეთდა მნიშვნელოვანი განცხადებები. მხოლოდ ასეთი ოფიციალური შეფასებების შემდეგ შეიძლება დაიწყოს ნებისმიერი სამშვიდობო პროცესი; ამასთან ერთად, ვფიქრობთ, მკაფიო ახსნა უნდა მოეძებნოს 2004 წლის ზაფხულის მოვლენებს;

ბ) „სამშვიდობო შეთანხმების პირობებში“ 1990-1992 წლების კონფლიქტში დაზარალებული მოსახლეობის მიმართ ქონებრივი რესტიტუციის კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს კანონი მიღებულ იქნეს სამშვიდობო შეთანხმებამდე. მსგავს ნაბიჯებს შეუძლია გააღვივოს რწმენა ოს მოსახლეობაში, რომ საქართველოს ხელისუფლება რეალურად იწყებს თავისი ვალდებულებების შესრულებას;

გ) დროულად უნდა დასრულდეს სოფელ კეხვთან 1992 წლის მაისში მომხდარი ტრაგედიის გამოძიება და მისი შედეგები ეცნობოს საზოგადოებას;

დ) ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად, უნდა შემუშავდეს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფილ და რეპრესირებულ ოსური წარმოშობის მოქალაქეთა ღირსებისა და უფლებების აღდგენას;

ე) საჭიროა, შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატში ან ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში, ცხინვალის ხელისუფლებას ოფიციალურად მიენდოს „საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით“.

დარწმუნებული ვართ, ამ მოსაზრებათა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის რეალიზაციას.

თქვენი სურვილის შემთხვევაში, შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

მიმართვას ხელი მოაწერეს როგორც ავტორიტეტულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისე საქართველოს მრავალმა ცნობილმა სამოქალაქო აქტივისტმა (ამ მასალის ავტორის ჩათვლით). აღსანიშნავია, რომ ექვსი წლის თავზეც კი მოცემული მიმართვის პრაქტიკულად არც ერთ დებულებას თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს და თითოეული მათგანი რეალიზებისთვის შესაფერის დროს (და პოლიტიკურ ნებას) მოელის. მართალია, მას შემდეგ ახალი გარემოებები გაჩნდა, რომლებიც ასევე მოითხოვენ ადეკვატურ ნაბიჯებს, თანაც — არა მხოლოდ ქართული მხრიდან.

### სამოქალაქო ინიციატივები 2008 წლის აგვისტოს შემდეგ

აქ ვისურვებდით გამოგვეყო ვ. ძუცევის არაორდინარული იდეა<sup>76</sup>, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთრივ სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოში მცხოვრებ ოსებს შორის საერთო ენის გამონახვისაკენაა მიმართული. ამახვილებს რა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე საქართველოდან ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ემიგრაციის შემდეგაც კი სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსების რიცხოვნობა არ აღემატება

<sup>76</sup> Валерий Дзуцев: *Национальное примирение в Южной Осетии*, 06.07.2009  
<http://www.kavkaz-uzel.ru/articles/156240/>

დანარჩენ საქართველოში მცხოვრები ოსების რიცხოვნობას (შეიძლება ნაკლებია კიდევ), ავტორი ამ ორ თემს შორის დიალოგის გამართვის აუცილებლობაზე მიგვიჩვენებს. აქ ნაგულისხმევია, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა და, მეორე მხრივ, ცხინვალის ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა ოსებმა, კონკურენტული პოლიტიკური სივრცის ფორმირების მიზნით, ყველაზე აქტუალურ საკითხებზე თვალსაზრისთა ურთიერთგაზიარება უნდა დაინდონ. სამხრეთ ოსეთში ეროვნული შერიგების კომისიის შექმნა რესპუბლიკის შიგნით და მის გარშემო ვითარების სტაბილიზაციასა და რეგიონში გრძელვადიან მშვიდობიან მოგვარებას შეუწყობდა ხელს – მიიჩნევს ვ. ძუცევი. ავტორი ისეთ შემხვედრ ნაბიჯებს გვთავაზობს, რომლებიც კონკრეტულ შედეგებზეა ორიენტირებული — უპერსპექტივო, ნულოვანი ჯამის თამაშისგან თავის დაღწევა და ისეთი ვითარების შექმნა, სადაც ყველა მხარე მოგებულნი დარჩება.

არსებულ პირობებში იდეა, შესაძლოა, უტოპიურად გამოიყურებოდეს, მაგრამ მისი ძირშივე უარყოფა, მთელი რიგი მოსაზრებების გამო, არ არის მიზანშეწონილი. საკუთრივ საქართველოს ოსური თემი მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს როგორც მთლიანობაში ოსებისთვის, ისე ქართული სახელმწიფოსთვის; თუკი კავკასიონის სამხრეთით ოსურ თემებს შორის მიმდინარე დიალოგში რაღაც ეტაპზე ქართველებიც ჩაერთვებიან და ჩრდილოელი ოსებიც, სხვადასხვა დონეზე და ქვედონეზე ურთიერთდობის აღდგენისა და აზრების გაცვლის უნიკალური ფორმატი შეიძლება აღმოცენდეს. ანგარიშგასაწევია აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთის ქართული თემიც, რომელსაც ოსურ გარემოცვაში ცხოვრების ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ფორმატის შემდგომი გაფართოება შესაძლებელი და გარდაუვალიც კია რუსეთის საექსპერტო და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის გზით, რომელიც დაკავებულია არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის, არამედ, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიის მომავალთან დაკავშირებული ბევრი რთული საკითხის ანალიზითა და მათზე პასუხების ძიებით. ამასთან, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა სამოქალაქო ინიციატივები პოლიტიკურს უნდა უსწრებდნენ და იდეების აპრობაციისა და წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით სივრცე უნდა გაუხსნან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

ჯერ კიდევ 2008 წლის ნოემბერში სიუზენ ალენ ნანი, გიორგი ხუციშვილი და ლირა კოზაევა-ცხოვრებოვა კავკასიის მასშტაბით სამოქალაქო არაფორმალური დიალოგის აქტივობების გზით სწორედ რომ მსგავსი სივრცის შესაქმნელად ოფიციალური (ჟენევის) მოლაპარაკებების (Track One Diplomacy) მხარდაჭერის აუცილებლობაზე წერდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო სიტყვა მაინც პოლიტიკოსების სათქმელია, ავტორები სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ხიდის გადებასა და მრავალდონიანი მოლაპარაკებების პროცესის მხარდაჭერის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს<sup>77</sup>.

2010 წლის ივლისში ქ. ლეიდენში (ჰოლანდია) ქართულ-ოსური სამოქალაქო ფორუმის შეხვედრა გაიმართა, სადაც ჟენევის კონსულტაციებში მონაწილეებისადმი მიმართვა მიიღეს<sup>78</sup>. ეს მიმართვა, რომლის სრული ტექსტი ქვემოთაა მოყვანილი, შეიმუშავეს იმიტომ, რომ თერთმეტრაუნდიანი კონსულტაციების შემდეგ მხარეებმა ხელშესახებ შედეგებს ვერ მიაღწიეს.

<sup>77</sup> 25.11.2008 <http://www.commongroundnews.org/article.php?id=24429&lan=en&sid=1&sp=0>

<sup>78</sup> 21.07.2010 <http://www.apsny.ge/order/1279759270.php> (რუსულ ენაზე)

მიმართვას ხელი მოაწერეს: ახსარ ცხურბატმა, მარინა მეშვილდიშვილმა, ალან გასიევემა, მარია პლიევაძე, ვარვარა პახომენკო, მეგი ბიბილურმა, გიორგი სტეფნაძემ, ნანა ჩქარეულმა, ლალი დოიჯაშვილმა, ნოდარ სარჯველაძემ, ზემა თედეევაძე, რუდოლფ გუბიევაძე, ზურაბ ბენდიანიშვილმა, სარმათ პარასტაევაძე, ზურაბ ზუბაშვილმა, სინტა დეპონდტმა, ზურაბ თავასიევაძე, სონია რეიდემ, ირაკლი ჩიხლაძემ, ტამერლან თადტაევაძე, მარი ხმიადაშვილმა, თემურ ცხოვრებოვა.

## მიმართვა ჟენევის კონსულტაციების მონაწილეებს

ლეიდენი, ჰოლანდია  
2010 წლის 16 ივლისი

პატივცემულო ბატონებო!

2008 წლის აგვისტოში გაჩაღებულმა ომმა შეინირა ადამიანთა სიცოცხლე, გამოიწვია მნიშვნელოვანი ნგრევა და განწყვიტა უამრავი ტრადიციული კავშირი. უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ჟენევაში პოლიტიკური კონსულტაციები დაიწყო; მხარეთა წარმომადგენლები მუშაობას ორი მიმართულებით შეუდგნენ – უსაფრთხოების პრობლემებსა და ჰუმანიტარულ საკითხებზე. ახლა, ომის დამთავრებიდან თითქმის ორი წლის თავზე, თქვენი კონსულტაციები ყველა მხარის ხელისუფლებების წარმომადგენელთა შეხვედრების ერთადერთ მოედნად რჩება. დიდი სინანულით აღვნიშნავთ, რომ კონსულტაციების თერთმეტი რაუნდის შემდეგ, არც ერთ სამუშაო ჯგუფს დადებითი შედეგისთვის არ მიუღწევია. რეაგირებისა და ინციდენტების პრევენციის მექანიზმი, რომელიც ადგილზე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად შეიქმნა და ჯერჯერობით დისკუსიების ერთადერთ მიღწევად რჩება, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ფაქტობრივად არ მუშაობს. ამკარა ხდება, რომ რიგითი ადამიანები, თავისი ყოველდღიური პრობლემებითურთ, პოლიტიკური ინტერესების ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

ჩვენ, ქართულ-ოსური ფორუმის მონაწილეები, მივიჩნევთ, რომ არაფერი უნდა აღუდგეს წინ ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტას. თითოეული მხარე უნდა ცდილობდეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას. უპირველეს ყოვლისა გადასაწყვეტია გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული პრობლემები:

- ნათესავების, რელიგიური სინამდვილებისა და სასაფლაოების მონახულება. ომმა არ უნდა მოიტანოს შედეგად ოჯახური კავშირების განწყვეტა;

- რეგიონის მაცხოვრებელთათვის სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა. საჭიროების შემთხვევაში, ავადმყოფის უახლოეს საავადმყოფოში მიყვანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

- ოსური და ქართული სოფლების მაცხოვრებელთათვის სავარგულებისა და საძოვრების ხელმისაწვდომობა, რაც ომის შემდეგ შეიზღუდა. ადგილობრივი მაცხოვრებლები, რომლებიც ტრადიციულად სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, არსებობის წყაროს გარეშე დარჩნენ. ამ საკითხების გადასაწყვეტად ადგილობრივ თემთა წარმომადგენლების ამოქმედებაა საჭირო;

- წყლისა და გაზის მინოდება. ჩვენ მივიჩნევთ, რომ გაზისა და წყლის პრობლემები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს ისე, რომ ადამიანები ამ მოლაპარაკებების მძევლები არ გახდნენ;

- ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების არქონა რეგიონის მაცხოვრებელთა კეთილდღეობაზე ძალზე ნეგატიურად აისახა. მხარეებს ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფისკენ მოვუწოდებთ, ხოლო დისკუსიის ყველა მონაწილეს კი — მისი განვითარების ხელშეწყობისკენ;

- სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული ორგანიზაციების დაშვება. ომის შემდეგ იქ მხოლოდ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს – წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი. ამ დროს კი ადგილობრივი მოსახლეობა ჰუმანიტარული პრობლემების სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებს: საცხოვრებლების აღდგენა, პოსტკონფლიქტური ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, ბიზნეს-ინიციატივების მხარდაჭერა. ყველა მხარის ხელისუფლებებს რეგიონში ჰუმანიტარული ორგანიზაციების თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფისკენ მოვუწოდებთ; თანაც ამ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, თვითონ გადაწყვიტონ, რომელი მხრიდანაა შესვლა მათთვის უფრო მისაღები.

ამ პრობლემების გადასაწყვეტად ყველა მხარეს მოვუწოდებთ განსაზღვრონ, გამოაქვეყნონ და განახორციელონ გადაადგილების საერთო წესები, პირველ რიგში — ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ახლა, როცა ადგილობრივი მოსახლეობა მაინც გადაადგილდება, ამგვარი წესების არარსებობა ყველა მხარის მიერ ადამიანთა უფლებების დარღვევას იწვევს. მწვავედ დგას ადამიანთა დაკავების პრობლემა. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს თვითნებური დაკავების, მძევლობის პრაქტიკისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისაგან შეიკავონ თავი. მოვუწოდებთ უკანონოდ დაკავებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, ისევე, როგორც საომარი მოქმედებების დროს ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევების გამოძიებისკენ. ასევე მოვუწოდებთ ყველა მხარის ხელისუფლებებს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების ეტაპობრივი გადაწყვეტისკენ, რომლებმაც 1990-იანი წლების დასაწყისის კონფლიქტის შედეგად საკუთარი სახლები მიატოვეს.

ყველა მხარემ სამოქალაქო საზოგადოების დონეზე კონტაქტების განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, მხარი დაუჭიროს სამოქალაქო ინიციატივებს, გაერთიანებებისა და შეკრებების თავისუფლების შეზღუდვის გარეშე.

დისკუსიის ყველა მხარეს, სტატუსის განსაზღვრისა და სხვა პოლიტიკური პირობების წინასწარ წაყენების გარეშე, მოვუწოდებთ ხელი შეუწყონ ინციდენტების თავიდან აცილებისა და რეაგირების მექანიზმის მუშაობის განახლებასა და ჰუმანიტარულ საკითხებზე თანამშრომლობის ძირითად მექანიზმებზე შეთანხმების გამომუშავებას.

ჩვენ კვლავ ვხედავთ (მსგავსად საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პრეზიდენტისადმი 2005 წლის მიმართვისა), რომ პრობლემები ადეკვატურადაა იდენტიფიცირებული (აქ — უკვე ორივე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა დონეზე), ხოლო ყურადღება ადამიანთა ყველაზე აუცილებელ მოთხოვნილებებზეა გამახვილებული. და ისევ დრო მიდის, ხოლო კონფლიქტის ოფიციალური მხარეები არც ცალმხრივ, არც მრავალმხრივ ფორმატში ამ პრობლემების გადაწყვეტის მზაობას არ ავლენენ. პოლიტიკური ინტერესებისა და ამბიციების პრიმატი, არა მხოლოდ დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, არამედ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებზე კვლავაც ძალაშია.

2010 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა პროექტის „მშვიდობის დამყარების პროცესში ქართული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა“ (Supporting Georgian Civil Society in Peace Building)<sup>79</sup> შემაჯამებელი დოკუმენტი. პროექტი დააფინანსა ევროკავშირმა, ხოლო განახორციელა ლუდვიგ ბოლცმანის სახელობის ადამიანთა უფლებების ინსტიტუტმა (BIM, ვენა) და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრმა (ICCN, თბილისი). უცხოელ ექსპერტებთან ერთად პროექტზე მუშაობაში საქართველოს სამოქალაქო სექტორის 20-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

მოცემული დოკუმენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ღირებულებას სწორედ რომ ჩვენ მიერ განხილვად კონტექსტში იძენს და განჭვრეტად მომავალში, ქართული და ოსური სამოქალაქო საზოგადოებების ურთიერთქმედების სტრატეგიის შემუშავებისას, შესაძლებელია მისი საფუძვლად აღება (სწორედ რომ საფუძვლად და არა საქმიანობის შესაძლო მიმართულებების ამომწურავ ჩამონათვალად). ქვემოთ მხოლოდ დოკუმენტის სტრუქტურაა წარმოდგენილი, რომელიც მის დადებით მხარეებზე მეტყველებს:

1. მშვიდობის დამყარების პროცესში (peace-building) სამოქალაქო საზოგადოების რელევანტურობა.
2. სამოქალაქო საზოგადოების წვლილი სამშვიდობო პროცესსა და მშვიდობის კონსოლიდაციაში; ჩამოთვლილია შვიდი ფუნქცია, რომელიც მშვიდობის დამყარების პროცესში სამოქალაქო საზოგადოებამ შეიძლება შეასრულოს.
  - მოქალაქეების დაცვა ძალადობისგან (ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის);
  - ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის დამყარების მონიტორინგი;
  - მშვიდობის ადვოკატირება და ადამიანის უფლებების დაცვა;
  - ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე სხვადასხვა აქტორს შორის დიალოგის ფასილიტაცია;
  - მშვიდობის დასამყარებლად სივრცის გახსნის საქმეში სამსახურის განწევა;
  - სოციალიზაცია — მშვიდობისა და დემოკრატიის ღირებულებების ზიარება, მარგინალიზებულ ჯგუფებში იდენტიურობის გაღვივება;
  - სოციალური შეკავშირებულობა მეტოქე ჯგუფების წარმომადგენელთა დაახლოების გზით.
3. ქართული სამოქალაქო საზოგადოება კრიზისების პრევენციისა და მშვიდობის დამყარების პროცესში (იმ გამოწვევების ჩათვლით, რომელთა წინაშეც ის აღმოჩნდა).

<sup>79</sup> <http://tuta.neru9.com/iccn.org.ge/text/eng/projects/2010/Recommendations-Document-ENG.pdf>

- 
- 
4. საქმიანობის პრიორიტეტული სფეროები (რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებას, საქართველოს ხელისუფლებასა და საერთაშორისო დონორებს) როგორცაა:
    - ადამიანებს შორის კონტაქტების გაფართოება;
    - მშვიდობის დამყარების პროცესში ახალგაზრდობისა და განათლების ჩართულობა;
    - შესაბამის პროცესში იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობის განმტკიცება;
    - კონფლიქტის შედეგად განსაკუთრებით დაზარალებულ ზონებში ადამიანთა უსაფრთხოების დონის ამაღლება;
    - რეალურ პირობებთან პოლიტიკის, სტრატეგიისა და კანონმდებლობის ადაპტაცია;
    - ადამიანის უფლებების დარღვევისა და სამხედრო დანაშაულების შეფასება და ანალიზი;
    - კონფლიქტის მხარეებს შორის დისკუსიების, დიალოგისა და მოლაპარაკებების სპექტრის გაფართოება.

მათთვის, ვინც სამოქალაქო საზოგადოებებს შორის დიალოგის მომხრეა, ჩართულია მასში და ამ პროცესს ფასილიტაციასა და სპონსორობას უწევს, რელევანტური ინფორმაციის ღირებულ წყაროს წარმოადგენს ანგარიში №5 – „მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა შიდა ქართლში; ადგილობრივ თემთა მონაწილეობით შემუშავებული სტრატეგია“, რომელიც 2011 წ. თებერვალში მოამზადა კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტმა (CIPDD), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (GYLA) და უსაფრთხო მსოფლიომ (Saferworld) (ისევ და ისევ ევროკავშირის დახმარებით).<sup>80</sup>

ამგვარად, ამ მასალაში მოყვანილი უკანასკნელი წლების სამოქალაქო ინიციატივები შესაძლოა არა ყოვლისმომცველ, მაგრამ საკმაოდ ადეკვატურ სურათს ქმნიან იმისა, თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი, საჭირო და გარდაუვალიც კი ქართული და ოსური სამოქალაქო საზოგადოებების მიერ საერთაშორისო დონორების აუცილებელი მხარდაჭერის პირობებში.

### კიდევ ერთხელ დაბრკოლებების შესახებ

ქართულ და ოსურ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ნაყოფიერი დიალოგისთვის დაბრკოლებების კონტექსტში აღსანიშნავია კიდევ ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოება. ვარდების რევოლუციის გზით ხელისუფლებაში მოსულმა საქართველოს ხელმძღვანელებამ საერთო-ეროვნული ტელეეთერის მიზანმიმართული მონოპოლიზებით, ოპოზიციის პოლიტიკური პროცესიდან განდევნით, მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის დამორჩილებითა და ასპარეზზე კონტროლირებადი არასამთავრობოების გამოყვანით (ეს გარემოება ზემოთაც ვახსენეთ) ქვეყანაში მნიშვნელოვანწილად ჩაახშო საზოგადოებრივ-პოლიტიკური დებატები. პოლიტიკური დისკურსი პრიმიტიულ დაპირისპირებამდეა დაყვანილი: შენ მიშას (იგულისხმება პრეზიდენტი სააკაშვილი) მომხრე ხარ თუ მოწინააღმდეგე? ტელევიზორებში, რომელიც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის პოლიტიკური ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს, ხელისუფლების ან მისი ადვოკატების (შიდა თუ უცხოური) თვალსაზრისი დომინირებს, რასაც უკანასკნელ ინსტანციაში

---

<sup>80</sup> [http://www.cipdd.org/files/40\\_535\\_800617\\_ShidaKartli-Rus-r.pdf](http://www.cipdd.org/files/40_535_800617_ShidaKartli-Rus-r.pdf)

ჭეშმარიტებად წარმოაჩინენ. პრაქტიკა კი ადასტურებს, რომ ეს თვალსაზრისი, მით უფრო — კონფლიქტების შემთხვევაში, ყოველთვის და ყველაფერში როდია სწორი და ჭეშმარიტებასთან მიახლოებული. მდგომარეობა ამ სფეროში მთლიანად და საექსპერტო გარემოში — კერძოდ, მკაფიოდ წარმოაჩინა ა. გეგეშიძემ: „საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების პოლარიზაციის პირობებში ხელისუფლების პოლიტიკისადმი ლოიალურობის ნიშნით, მათ შორის, ამა თუ იმ მოვლენის ინტერპრეტაციის მიხედვით, თვით საექსპერტო საზოგადოების რიგებიც კი არაერთგვაროვანია. ამასთან, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ექსპერტები, როგორც წესი, ოფიციალურ კურსსა და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხში ხელისუფლების ნებისმიერ გადანყვეტილებას უჭერენ მხარს, მათ შორის — კონფლიქტების ნაწილიშიც. შესაბამისად, ექსპერტთა ეს ჯგუფი, მართალია, მცირერიცხოვანი, მაგრამ რომელსაც საერთო-ეროვნული მასობრივი ინფორმაციის წყაროებზე მიუწვდება ხელი, ხელისუფლებისთვის სასურველ თვალსაზრისს ავრცელებს“<sup>81</sup>. ეს დაკვირვება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზეც შეგვიძლია გავავრცელოთ.

მსგავს ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმგვარი დიალოგის გამართვის აუცილებლობა, რომელსაც პ. ზაქარეიშვილი „ქართულ-ქართულ“ დიალოგს უწოდებს. როცა ხელისუფლება, არსში ჩაულრმავებლად, იმთავითვე უარყოფს ნებისმიერ მოსაზრებას, ნებისმიერ საექსპერტო ანალიზს, ნებისმიერ ინიციატივას, რომელსაც მისი მოწონება და მხარდაჭერა წინასწარ არ მიუღია, სამოქალაქო და საექსპერტო საზოგადოების მარგი ქმედების კოეფიციენტი მაღალი ვერ იქნება. ჩვენ არაერთხელ გავხდით მონმენი იმისა, თუ საუკეთესო შემთხვევაში როგორ აღწევდა ხელისუფლებამდე ქართველ ექსპერტთა შეფასებები, დასკვნები და რეკომენდაციები ბრიუსელისა და ვაშინგტონის გავლით; უარეს შემთხვევაში კი დასავლეთის დედაქალაქებიდან წამოსული მესიჯები ან საერთოდ უგულვებელყოფილია, ან მათზე რეაქცია — დაუშვებლად დაგვიანებული და/ან არაადეკვატური. ამასთან დაკავშირებით გ. ხუციშვილი სამართლიანად აღნიშნავს: „სახალხო დიპლომატია შეიძლება წარმატებული გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პოლიტიკური პროცესითაა მხარდაჭერილი. გავიხსენოთ 90-იანი წლების გამოცდილება, როდესაც ქართულ-აფხაზურმა და ქართულ-ოსურმა არაფორმალურმა დიალოგმა ჯერ ძალა მოიკრიბა, მერე კი დასუსტდა. ყველაზე კარგი შედეგი მიიღწევა იქ და მაშინ, — წერს გ.ხუციშვილი, — სადაც და როცა სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების თანამშრომლობა მიიღწევა“<sup>82</sup>. ამასთან დაკავშირებით რ. გაჩეჩილაძე კიდევ უფრო კატეგორიულია: „ნებისმიერი სახალხო დიპლომატია, თუ სახელმწიფო (სახელმწიფოები) მასში დაინტერესებული არ არის და, მით უფრო, თუკი ხელს უშლის მას, განწირულია წარუმატებლობისთვის“<sup>83</sup>.

მაგრამ რა თანამშრომლობაზეა საუბარი, როცა ხელისუფლება-საზოგადოება (პოლიტიკური ოპოზიციის ჩათვლით) კომუნიკაციის ხაზზე ხელისუფლების მიერ ყრუ, ხმაგაუმტარი კედელია აღმართული? ამ კითხვაზე თუნდაც არა ამომწურავ, მაგრამ საკმაოდ საფუძვლიან პასუხს შეიცავს მე-3 თავი — „დაბრკოლებები ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის კავშირების განმტკიცებისა და დიალოგის განვითარების გზაზე“ — №6 ანგარიშისა „მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა საქართველოში; ადგილობრივ თემთა მონაწილეობით შემუშავებული სტრატეგია“, რომელიც მოამზადა CIPDD-მა, GYLA-მ და Saferworld-მა. აქ, დაბრკოლებათა მიზეზებისა და არსის ანალიზთან ერთად, კონკრეტული რეკომენდაციებიც ეძლევა ყველა იმ მხარეს, რომლებზეც ვითარების უკეთესობისკენ შეცვლაა დამოკიდებული.<sup>84</sup>

<sup>81</sup> ა.გეგეშიძე, ი.ხაინდრავა. *ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაცია: პარადიგმის ხელახალი გააზრება*, თბილისი, 2011, თავი 4.

<sup>82</sup> <http://icar.gmu.edu/south-caucasus-project/10458>

<sup>83</sup> იხ.რევაზ გაჩეჩილაძე. *ადამიანური ფაქტორი ხალხთა შორის ნდობის აღდგენის პროცესში*.

<sup>84</sup> [http://www.saferworld.org.uk/Peace%20security%20and%20Stability%20in%20Georgia\\_Russian.pdf](http://www.saferworld.org.uk/Peace%20security%20and%20Stability%20in%20Georgia_Russian.pdf)

აშკარაა, რომ ეს მხოლოდ შიდაქართული პრობლემა როდია; უარესადაა საქმე გამყოფი ხაზის ოსურ მხარეს. მაგალითად, „ლეიდენის მიმართვიდან“ ერთი კვირის თავზე ამ მიმართვის ერთ-ერთი ხელმომწერი თემურ ცხოვრებოვი, სამხრეთ ოსეთში გამომავალი გაზეთის რედაქტორი, სამოქალაქო აქტივისტი, სამხრეთ ოსეთის ექს-კომბატანტთა საბჭოს თავმჯდომარე და, სხვათა შორის, ცხინვალში 2008 წლის აგვისტოს ბრძოლების მონაწილე, ცხინვალის ერთ-ერთ ქუჩაში ათკაციანმა ჯგუფმა უმონყალოდ სცემა. თავდამსხმელთა შორის სამხრეთ ოსეთის პარლამენტის სამი დეპუტატი ამოიცივნეს. ამ ინციდენტს უშუალოდ უძლოდა წინ პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის – ბორის ჩოჩიევის საჯარო გამოსვლა<sup>85</sup>. 22 ივლისს საინფორმაციო სააგენტო PEC-თვის „მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ „ამასწინ ჰოლანდიის ქალაქ ლეიდენში გამართულ „ქართულ-ოსურ სამოქალაქო ფორუმში“ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების მონაწილეობამ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესებსა და ჟენევის დისკუსიებში (ამიერკავკასიაში უსაფრთხოების შესახებ) მონაწილე სამხრეთ ოსეთის დელეგაციის პოზიციებს ზიანი მიაყენა“. ინტერვიუ გამოქვეყნდა სათაურით – „ქართულ-ოსური ფორუმი“ – ყოველი ოსისთვის სილის განაა“ და მისი შინაარსიც შესაბამისია<sup>86</sup>.

ზოგჯერ სამოქალაქო საზოგადოების მისამართით შემდეგი ხასიათის ბრალდება გაისმის (ოფიციალური კი მსგავს თავდასხმებს აგულიანებს): აი, უკვე თხუთმეტი წელია, რაც ასე თუ ისე მიმდინარეობს დიალოგი არასამთავრობო დონეზე, კონკრეტული შედეგები კი არ ჩანს. ნამდვილად სამწუხაროა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ არა მხოლოდ კონფლიქტის მოგვარება, არამედ სხვადასხვა მასშტაბის ექსცესების თავიდან აცილება კი ვერ შეძლო (მეზობლის პირუტყვის გატაცებით დაწყებული და 2008 წლის აგვისტოს ომით დამთავრებული). მაგრამ თუ გავიხსენებთ, რას „მიაღწია“ საქართველოს სხვადასხვა (ყველა!) ხელისუფლებამ (ასევე — ცხინვალისა და მოსკოვის) უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, სურათი ბევრად უფრო დამთრგუნველი გამოვა, ვიდრე ეს სამოქალაქო საზოგადოების შემთხვევაშია.

### ხელშემწყობი ფაქტორები

ხელშემწყობ ფაქტორთა შორის უნდა გამოვყოთ საზოგადოების განწყობა (ქართულისა მაინც) და საერთაშორისო თანამეგობრობის როლი.

#### *ზოგი რამ ქართულ საზოგადოებაში არსებული განწყობების შესახებ*

ჩვენ თავიდანვე ვაცხადებთ, რომ სულაც არ ვისახავთ მიზნად ამომწურავი და ციფრული გამოსახულების სიზუსტით უდავო სურათის წარმოდგენას, რომელიც ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულ განწყობებს ასახავდა. ეს შეუძლებელია იმიტომაც, რომ სარწმუნო, ქართულ-ოსური ურთიერთობების თემატიკაზე ფოკუსირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა არ მოიძებნა (მსგავსი ინფორმაციის არარსებობა გამყოფი ხაზის მეორე მხარეს არსებულ ვითარებასაც ახასიათებს). ამიტომ გამოვიყენეთ ფრაგმენტები სხვა თემებზე ჩატარებული კვლევებიდან, რაც, თანამოქალაქეთა განწყობების თაობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. დასაწყისისთვის მოვიყვანთ ვ. ძუცვეის შემდეგ სიტყვებს: „2008 წლის აგვისტომდე რამდენიმე წლით ადრე სამხრეთ ოსეთში ძალზე უცნაური ვითარების მოწმე ვავხდები. თუკი კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების უმრავლესობას ავიღებთ, დავინახავთ, რომ დაპირისპირებულ ბანაკებს შორის მკვეთრი ურთიერთმიუღებლობაა. ამ კონფლიქტში კი ქართველებსა და ოსებს შორის ასეთ რამეს ძალზე იშვიათად თუ შეხვდები. ყოფით დონეზე ოსებსა და ქართველებს ერთმანეთთან არანაირი

<sup>85</sup> <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/172076/> (რუსულ ენაზე)

<sup>86</sup> <http://cominf.org/node/1166483914>

სერიოზული პრეტენზიები არ გააჩნიათ. ამიტომ, ამ კონკრეტული კონფლიქტის შემთხვევაში, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ წინააღმდეგობები უმეტესად ხელოვნურადაა შექმნილი პოლიტიკოსების მიერ<sup>87</sup>.

რასაკვირველია, 2008 წლის აგვისტოს ომმა ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ტრაგიკული დაღი დაასვა; თანაც — თუ ადრე (1920 წელს, 1980-1990 წლების მიჯნაზე, 2004 წელს) ძალადობის მსხვერპლად საკუთარ თავს უმეტესად ოსები მიიჩნევდნენ, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ იმავე კატეგორიას თავი ქართველებმაც მიაკუთვნეს, რომელთა მიმართაც ეთნიკური წმენდის ფაქტი საერთაშორისო დოკუმენტებშია დაფიქსირებული. თუმცა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომს რუსეთი აწარმოებდა, ოსების სახით მტრის ხატის დამკვიდრებას გარკვეულწილად შეუშალა ხელი. შესაბამისად (ყველაფერთან ერთად, როგორც ჩანს, ძალადობრივი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობის შედეგად დატრიალებული კატასტროფის გამოც), საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვანი უმრავლესობას ოსების მიმართ არა აქვს აგრესიული განწყობა.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI, აშშ) სახელმწიფოს ცხოვრებისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების მიმართ ქვეყანაში არსებული განწყობის გამოსავლენად საზოგადოებრივი აზრის კვლევას რეგულარულად ატარებს<sup>88</sup>. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია პასუხები კითხვაზე — „როგორ გესახებათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაწყვეტის გზა?“. ზედა რიგში გამოკითხვის თარიღია (თვე და წელი), მეორეში — „მოლაპარაკებებისა და მშვიდობიანი გზით“ პასუხის სიხშირე პროცენტებში, მესამეში — „აუცილებლობის შემთხვევაში ძალის გამოყენებით“, ხოლო ქვედა რიგში იმ რესპონდენტების რაოდენობაა (პროცენტებში), ვისაც პასუხი არ აღმოაჩნდა:

10.04	06.05	10.05	04.06	02.07	09.07	02.08	09.08	01.09	10.09	03.10	10.10
88	86	89	90	92	91	93	95	92	94	96	96
9	10	9	8	6	7	5	4	4	3	2	2
3	4	3	2	2	2	2	1	4	3	2	2

ამ კვლევის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, რესპონდენტებს განსაკუთრებულად საომარი განწყობა არც 2004 წ. ჰქონიათ, თუმცა ექვსი წლის თავზე ასეთები უმნიშვნელო უმცირესობაში დარჩნენ.

აბსოლუტურ რიცხვებში მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა კვლევის მონაცემები, რომელიც თბილისის საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა (IPS) 2007 წ. დეკემბერსა და 2008 წ. ნოემბერში ჩაატარა<sup>89</sup>. კვლევის მიზანს 2008 წ. აგვისტოს ომამდე არსებული და ომის შემდეგ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის შედარება წარმოადგენდა. ამ ნაშრომის მონაცემების თანახმად, ომის შედეგად მკვეთრად შემცირდა იმ პირთა რიცხვი, ვინც სეცესიონისტური რეგიონების დასაბრუნებლად ძალის გამოყენების შესაძლებლობას უშვებს. თუკი 2007 წლის ბოლოს გამოკითხულთა 27,6 პროცენტი სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად ძალის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევდა, 2008 წლის ნოემბერში ასეთები მხოლოდ 16,3% აღმოჩნდა, რაც ტენდენციის დონეზე IRI-ის გამოკითხვის შედეგებთან თანხვედრაშია. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 16,5 პროცენტმა ჩათვალა შესაძლებლად უახლოესი 3 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთიდან გამოდევნილი მოსახლეობის უკან დაბრუნება, რესპონდენტთა 67,3 პროცენტი სამხრეთ ოსებთან თანაცხოვრებას

<sup>87</sup> Валерий Дзуцев. *Северный Кавказ: от клуба противоречий на периферии - к овладению собственной судьбой* <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/177235/>

<sup>88</sup> <http://www.iri.org.ge/ka/news/latest-news/149-iri-releases-survey-of-georgian-public-opinion.html>

<sup>89</sup> Nana Sumbadze. *Georgia Before and After the August War; Report on the Survey of Population: Barometer 2007 and 2008*, Institute for Policy Studies, Tbilisi, 2009



შესაძლებლად მიიჩნევა, რაც ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უმრავლესობა ოსებს მტრებად არ აღიქვამს.

IRI-ის ზემოხსენებულ გამოკითხვაში საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ყველაზე დიდ წარუმატებლობად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უუნარობა (ჯამურად — 34 პროცენტი; 25 პროცენტის შემთხვევაში კი პირველ ადგილზე მოიხსენიება) და რუსეთთან 2008 წლის ომი (ჯამურად — 26 პროცენტი; 22 პროცენტის შემთხვევაში კი — პირველ ადგილზე მოიხსენიება) დასახელდა. მესამე ადგილზე მყოფი უმუშევრობის პრობლემა პირველ ორს მნიშვნელოვნად ჩამორჩება (ჯამურად — 21 პროცენტი, პირველ ადგილზე კი 12 პროცენტმა დაასახელა). ამ ციფრების ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირადაა შესაძლებელი, მაგრამ ადვილად ამოიკითხება ის, რომ სამხედრო ავანტიურა დაიგმო.

პასუხები კითხვაზე — „გააქრის თუ არა საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ პრობლემებს?“ — გადანაწილდა შემდეგნაირად (პროცენტებში):

	10.04	06.05	10.05	04.06	02.07	09.07	02.08	09.08	02.09	06.09	10.09	03.10	10.10
ალბათ	29	24	19	18	18	12	17	14	6	5	8	7	13
ასე ჩანს	52	53	48	43	53	46	44	38	29	29	32	32	38
არც ისე	10	13	17	23	20	27	25	30	36	34	29	29	26
საეჭვოა	3	3	6	8	4	8	7	10	20	24	20	18	13
პასუხი არ მაქვს	6	7	10	8	5	7	6	8	9	8	11	14	11

ეს ციფრები მონიშნავს, რომ კონფლიქტის (კონფლიქტების) სწრაფი მოგვარების ილუზია მნიშვნელოვნად შესუსტდა და, შესაბამისად, კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე აქცენტის გადატანას უმრავლესობა გაგებით უნდა მოეკიდოს; რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი სამოქალაქო საზოგადოებების მხრიდან მიზანმიმართული განმარტებითი სამუშაო ჩატარდება.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI, აშშ) გამოკითხვის მონაცემების თანახმად<sup>90</sup>, რესპონდენტთა 61 პროცენტი მიესალმა საქართველო-რუსეთის საზღვარზე ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გახსნას (9% — წინააღმდეგი, 30%-ს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული აზრი ან უარი თქვა პასუხზე); 70 პროცენტმა ყენევის კონსულტაციების პროცესს დაუჭირა მხარი (3% — წინააღმდეგი, 27%-ს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული აზრი ან უარი თქვა პასუხზე). ანუ კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ მიმართულ ნაბიჯებს საზოგადოება იწონებს მაშინაც კი, როცა მათ დადებითი შედეგები დაუყოვნებლივ არ მოუტანიათ (როგორც ეს ყენევის მოლაპარაკებების შემთხვევაში ხდება).

ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე (მაგრამ უკვე 2004 წლის ექსცესების შემდეგ) არასამთავრობო ორგანიზაციამ „იბერ-ირონი“, ფ. ებერტის ფონდის ხელშეწყობით, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის გამოკითხვა ჩაატარა, რომლის შედეგების განსახილველადაც გაიმართა მრგვალი მაგიდა და მასალების კრებულიც გამოიცა<sup>91</sup>. პროექტის მონაწილე ხუთი პარტიის წარმომადგენლებმა კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი (მათ შორის სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელმაც, რომელიც, თუმცაღა, ძირითადად 2005 წლის 26 იანვრის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მ. სააკაშვილის გამოსვლის ციტირებას ახდენდა). რაც შეეხება საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსს, აქ აზრები გაიყო, მაგრამ ამ კუთხით ყურადსაღებია ა. გეგეშიძის სამართლიანი დაკვირვება: „ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, იშვიათი გამონაკლისის გარდა [მხედველობაშია რესპუბლიკური პარტია], არასდროს გამოიჩინებდნენ კონფლიქტის მოგვარების

<sup>90</sup> გამოკითხვა ჩატარდა 2010 წლის 24 ივნისი-5 ივლისი.

[http://www.ndi.org/files/Public\\_Atitudes\\_Georgia\\_July\\_2010.pdf](http://www.ndi.org/files/Public_Atitudes_Georgia_July_2010.pdf)

<sup>91</sup> ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაწყვეტა: პოლიტიკური პარტიების ხედვა, თბილისი, 2005.

კონცეფციებისა და პროგრამების შემუშავების უნარით; ჩვეულებრივ, ისინი ზედაპირული განცხადებებითა და, ალტერნატივის შეთავაზების გარეშე, არსებული სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკით შემოიფარგლებოდნენ. აგვისტოს მოვლენების შემდეგ პრაქტიკულად ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, კონფლიქტში რუსეთის ფაქტორის დომინანტური როლის აღიარებით, ხელისუფლება ომის გაჩაღებაში დაადანაშაულა, რითაც მიანიშნა, რომ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო<sup>92</sup>. ეს ყველაფერი კი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც მშვიდობიანი განწყობა ჭარბობს.

მთლიანობაში ეს დაკვირვებები დასტურდება ნაშრომით, რომელიც მოცემული პროექტის ფარგლებში რ. გაჩეჩილაძემ შეასრულა. მან გამოიკვლია გამყოფი ხაზის ქართულ მხარეს საზოგადოების იმ ნაწილის თვალსაზრისი და განწყობები, რომელსაც არ შეეძლო გულთან ახლოს არ მიეტანა ქართულ-ოსური კონფლიქტი და მისი შედეგები. ქართული საზოგადოების ზოგიერთ სეგმენტში არსებული განწყობების თაობაზე ინფორმაციის დამატებით წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ CIPDD-ის, GYLA-სა და Saferworld-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში №5 ანგარიში „ქვემო ქართლის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში ადგილობრივ თემთა თვალსაზრისი 2008 წლის კონფლიქტის მიზეზებისა და შედეგების შესახებ“<sup>93</sup>.

### *საერთაშორისო თანამეგობრობის როლი*

ევროკავშირის განზრახვები და შესაძლებლობები, რომელიც, როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში ძირითადი საერთაშორისო აქტორი/შუამავალი/სპონსორი გახდა, ყველაზე უფრო სრულად და თანმიმდევრულად ბრიუსელის დეკემბრის (2010 წ.) სემინარის ზემოხსენებულ ანგარიშშია ასახული.<sup>94</sup> ევროპული პოლიტიკა „არაღიარება და ჩართულობა“ ორ ძირითად ამოცანაზეა ფოკუსირებული: [აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის] დეიზოლაცია და [კონფლიქტების] ტრანსფორმაცია. დეიზოლაციის ფორმატში სამოქალაქო საზოგადოებებთან (საზოგადოებებს შორის) კონტაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთნდობის დამყარების საქმეში მათ არსებითი როლის შესრულება ძალუძთ. ამავდროულად, ევროპელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების აზრით, კონფლიქტის ტრანსფორმაციის გზაზე წინააღმდეგობების მოსახსნელად ამ ასპექტის პოლიტიზება დაუშვებელია. ამ მიზნით, ერთი მხრივ, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასთან კონტაქტების გაძლიერება იგეგმება, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობისთვის ხელსაყრელი, სტრუქტურირებული გარემოს ჩამოყალიბებას სულაც არ უწყობს ხელს, ხოლო მეორე მხრივ – საქართველოს ხელისუფლების დარწმუნება, რომ მათ მიდგომაში აქცენტმა იზოლაციიდან ჩართულობაზე უნდა გადაინაცვლოს. იქ, სადაც საუბარია სამხრეთ ოსეთის [და აფხაზეთის] საერთაშორისო საზოგადოებისკენ დეიზოლაციაზე, ხაზგასმულია, რომ ამ პროცესს კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მიმართული ძალისხმევა უნდა ახლდეს თან, რაც, ამასთან, გულისხმობს სამხრეთ ოსეთის [და აფხაზეთის] საქართველოსკენ „გახსნას“ როგორც საზოგადოებებს შორის ურთიერთქმედების გაღრმავების გზით, ისე ეკონომიკაში. ისეთ სფეროებში, როგორცაა ადამიანის უფლებები, ინფორმაციის გაცვლა, განათლება, ჯანდაცვა და სხვ. მოსახლეობისათვის დახმარება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საზოგადოებების ურთიერთქმედების გზით, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთნდობის გაძლიერებას, შექმნის სივრცეს საზოგადოებებს შორის შერიგებისათვის და, საბოლოო ჯამში, კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებს გამოავლენს.

<sup>92</sup> Archil Gegeshidze and Ivlian Haindrava: *Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm* [http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/2011/CR%20Ge-Ab%20ENG%20web\\_Georg\\_perspective.pdf](http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/2011/CR%20Ge-Ab%20ENG%20web_Georg_perspective.pdf)

<sup>93</sup> [http://cipdd.org/files/40\\_508\\_205441\\_community\\_rus\\_full.pdf](http://cipdd.org/files/40_508_205441_community_rus_full.pdf) ივნისი, 2010 წ.

<sup>94</sup> [http://www.iss.europa.eu/fileadmin/fichiers/pdf/seminars/2010/NREP\\_report.pdf](http://www.iss.europa.eu/fileadmin/fichiers/pdf/seminars/2010/NREP_report.pdf)

2010 წლის მაისში ევროკავშირმა გამოყო სახსრები პროექტ COBERM-ისათვის (ადრეული რეაგირების მექანიზმი ნდობის აღსადგენად), რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მეშვეობით ხორციელდება. ეს პროექტი, უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტის ზონებში გამყოფი ხაზის ორივე მხარეს სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზეა მიმართული. 2011 წლის მინურულს პროექტის დაფინანსება შეწყდება, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მისი შედეგები დადებითად შეფასდება, იგი შეიძლება გაგრძელდეს. 2010 წლის დეკემბერში საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ანგარიში გამოქვეყნდა, რომელიც ევროკავშირის მხრიდან კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის განუღებ დახმარებას მიეძღვნა, მათ შორის — დიალოგის გზით ურთიერთდობის აღდგენის მიმართულებითაც<sup>95</sup>.

2008 წლის დეკემბერში, აგვისტოს ომის დასრულებიდან სულ მოკლე ხანში, ჯ. მეთისონის უნივერსიტეტთან (არლინგტონი, ვირჯინია, აშშ) არსებულმა კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების ინსტიტუტმა (ICAR) წამოიწყო პროექტი „თვალსაზრისი“ (Point of View), რომლის ფარგლებშიც ქართული და ოსური სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლები რეგულარულად სხდებიან ერთმანეთს და განიხილავენ საჭირობო საკითხებს. „რაც უფრო ხშირად გაიმართება მსგავსი შეხვედრები და დიალოგები, მით მეტი ნაბიჯი გადაიდგმება ორ ერს შორის ნდობის აღდგენისკენ,“ – მიიჩნევს პროექტის ერთ-ერთი ქართველი მონაწილე. „შესაძლოა, დროთა განმავლობაში საკუთარი თვალსაზრისის გამომხატველმა და დამცველმა კონფლიქტის მხარეებმა კონფლიქტის გადაწყვეტის მშვიდობიანი გზა გამოიხატონ...“ – ეთანხმება მას კოლეგა სამხრეთ ოსეთიდან<sup>96</sup>.

პრობლემებთან და დაბრკოლებებთან ჭიდილში (ამაზე ნაწილობრივ ზემოთ ვისაუბრეთ), საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, დასავლელი დონორების მონაწილეობით, სამოქალაქო საზოგადოებების დონეზე ქართულ-ოსური დიალოგის ფორმატი ფართოვდება და ძალას იკრებს; იმართება სხვადასხვა სფეროში მოქმედი არასამთავრობოების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლების შეხვედრები; ჩნდება პუბლიკაციები, იმართება პრეზენტაციები და ბრიფინგები, ხორციელდება ერთობლივი პროექტები. ამ ფონზე რუსეთის ფედერაცია კონტექსტიდანაა ამოვარდნილი, რის თაობაზეც ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის თბილისის ინსტიტუტის დირექტორმა პ. ზაქარეიშვილმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „დემოკრატიისა და საზოგადოების გასავითარებლად რუსეთი [ფულს] არ იძლევა. საკუთრივ რუსეთში... დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება იმ აზრით, რა აზრსაც ამაში ევროკავშირი გულისხმობს, არ არსებობს. ამიტომ რუსეთი ამაზე ფულს არ დახარჯავს. რუსეთი ფულს დახარჯავს სამხედრო ბაზაზე, სამხედრო ინფრასტრუქტურაზე, გზებზე, სახლებზე, მაგრამ არა — თავისუფლებისთვის“.<sup>97</sup>

## დასკვნა

მოცემულ მასალაზე მუშაობის პროცესმა გამოაშკარავა, რომ უკანასკნელ ხანებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული კვლევითი ტიპის პროექტები ერთმანეთს ავსებენ და მთლიანობაში ქართულ-ოსური კონფლიქტისა და ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგის განვითარების პერსპექტივების გარშემო შექმნილ ვითარებას საკმაოდ ადეკვატურად ასახავენ. იმ პროექტის გარდა, რომლის ფარგლებშიც ეს ნაშრომი დაიწერა, პირველ რიგში აღსანიშნავია CIPDD-ის, GYLA-ს და Saferworld-ის, ასევე BMI-ისა და ICCN-ის ერთობლივი პროექტები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლთა მიერ სხვადასხვა დროს წამოყენებულ

<sup>95</sup> [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/projects/overview\\_post\\_conflict\\_ec\\_assistance\\_dec2010\\_en.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/projects/overview_post_conflict_ec_assistance_dec2010_en.pdf)

<sup>96</sup> <http://icar.gmu.edu/south-caucasus-project/10458>

<sup>97</sup> <http://www.ekhokavkaza.com/content/article/2129129.html> (რუსულ ენაზე)

---

---

ინიციატივებთან, აგრეთვე „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში ჩადებულ საღიდეოებსა და წინადადებებთან ერთობლიობაში ისინი ქართული და ოსური სამოქალაქო საზოგადოებების თანხვედრ ინტერესთა სფეროს იდენტიფიცირებაში გვეხმარება. აქვე იკვეთება გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილი მოსახლეობის ინტერესები და ის დაბრკოლებები, რომლებიც დიალოგის გაღრმავების გზაზე გვხვდება; მხარეთა ურთიერთქმედების განვითარებისა და მხარდაჭერის საქმეში — საერთაშორისო ინსტიტუტების როლი, პროცესის სხვა პარამეტრები, რომლებმაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციას უნდა შეუწყონ ხელი.

ამასთან, შესაძლებელია იმ სამი ძირითადი მიმართულების გამოყოფა, საითკენაც საერთაშორისო დონორების დახმარებით ორი საზოგადოების ურთიერთქმედება უნდა განვითარდეს. პირველი — გამყოფი ხაზის ორივე მხარეს კონფლიქტის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული მოსახლეობის ჯგუფების საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესება (ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩათვლით), უფლებებისა და თავისუფლებების, უსაფრთხოების, ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სფეროებში მათი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა. მეორე — ქართველთა და ოსთა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს შორის (არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები, ყურნალისტები, სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები, ახალგაზრდობა და სხვ.) კონტაქტების დამყარება და პრობლემების ფართო სპექტრზე დისკუსიების გამართვა. მესამე მიმართულება კი ისეთ სტრატეგიულ მიზნებს უნდა ისახავდეს, როგორცაა: ერთმანეთის აღქმაში მტრის ხატის დანგრევა, წარსულისა და აწმყოს დემითოლოგიზაცია, დამკვიდრებული ნეგატიური სტერეოტიპების აღმოფხვრა<sup>98</sup> და ახლის წარმოშობის თავიდან აცილება, ურთიერთნდობის აღდგენა და მხარეთა შერიგება. შეავსებს და გააძლიერებს რა ერთმანეთს, ეს სამი ძირითადი მიმართულება მონოდებულია კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს დაედოს საფუძვლად.

ბუნებრივია, რომ რაც უფრო ფართო იქნება პროცესში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა სპექტრი, რაც უფრო მეტი უშუალო კონტაქტი იქნება საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს შორის, მით მეტი წარმატებით წარიმართება ურთიერთგაგების გაღრმავება, რაც შერიგების აუცილებელი პირობაა. აქ, თუმცადა, მნიშვნელოვანია, რომ საერთო ძალისხმევა იყოს მკაფიოდ დაგეგმილი და კოორდინირებული, ხოლო პროცესის თითოეული მონაწილე იმ საქმით დაკავდეს, რისი მეტი გამოცდილება და უნარიც აქვს; შესრულებული სამუშაოს შედეგები კი მოსახლეობის ფართო მასებისთვის მისაწვდომი უნდა იყოს, ხოლო მისი შეფასება — საჯარო და მიუკერძოებელი.

---

<sup>98</sup> იხ. წინამდებარე კრებულში: გიორგი თარხან-მოურავი. დას. ნაშრ.

---

---

## ადამიანური ფაქტორი ხალხთა შორის ნდობის აღდგენის პროცესში: საქართველოში მცხოვრები ოსების თვალსაზრისის შესწავლა<sup>99</sup>

რევაზ გაჩეჩილაძე

### შესავალი

#### პრობლემის აღწერა

ქართულ-ოსური გაუცხოების პრობლემა არ დაწყებულა 2008 წელს. მისი ფესვები უნდა ვეძებოთ 1980-იანი წლების ბოლოს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას, როდესაც *პერესტროიკის* პრაქტიკულმა კრახმა შექმნა პირობები სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის გაძლიერებისათვის, რაც ხშირად ეყრდნობოდა ილუზიებს. კონკრეტულად იმ ოსებისათვის, ვინც საქართველოს სსრ-ში შემაგალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობდა, გაჩნდა (არცთუ გარედან ძლიერი გავლენის გარეშე!) ილუზია, რომ მათ შეიძლება შექმნან პატარა საბჭოთა რესპუბლიკა: ოფიციალური თბილისის რეაქციამ ცხინვალის იმდროინდელი ხელისუფლების მოქმედებაზე არ დააყოვნა. ქართველებისათვის იმავე პერიოდში გაჩნდა ილუზია, რომ შეიძლება შეიქმნას მონოეთნიკური ქვეყანა, ისეთი, როგორც სწორედ იმ დროს ხდებოდა მეზობელი სომხეთი. რეალობა ბევრად უარესი აღმოჩნდა ორივე ეთნიკური ერთობისათვის. დაიწყო ფაქტობრივი სამოქალაქო ომი, როდესაც არ იცავენ არამცთუ ომის წარმოების რალაც წესებს, არამედ ელემენტარულ მორალურ წესებსაც კი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელობის არაშორსმჭვრეტელმა ეროვნულმა პოლიტიკამ აიძულა ეთნიკური უმცირესობების ნაწილი (ზოგიერთ შემთხვევაში – საგრძნობი ნაწილი) დაეტოვებინა ქვეყანა. სხვებთან ერთად ეს შეეხო ოსებსაც.

2008 წლის ომის შემდეგ კონტაქტები ქართველებსა და ოსებს (აქ და შემდგომში, თუ სხვანაირად აღნიშნული არაა, იგულისხმება სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსები) შორის მკვეთრად შემცირდა. გაიზარდა ურთიერთუნდობლობის გრძნობა.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ხანმოკლე პერსპექტივაში პრაქტიკულად შეუძლებელია საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა, არსებობს, ყოველ შემთხვევაში ქართული მხრიდან (და, ვფიქრობ, ოსური მხრიდანაც), აზრი, რომ გაუცხოება სახიფათოა ორივე ხალხისათვის. საჭიროა, რომ კონტაქტები არ შეწყდეს საზოგადოებების დონეზე. „ადამიანურმა ფაქტორმა“ შეიძლება ითამაშოს არსებითი დადებითი როლი ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში.

პრობლემა მდგომარეობს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის *საჭიროებისა და შესაძლებლობის* რეალური ვითარების შესწავლაში.

#### ნაშრომის სტრუქტურა

წინამდებარე შრომაში მოცემულია მცდელობა, განისაზღვროს „ადამიანური ფაქტორის“ – სახალხო დიპლომატიის — შესაძლებლობა ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში. *პირველ*, მოკლე თავში ლაპარაკია ტერმინებზე (ადამიანური ფაქტორი, სახალხო დიპლომატია) და მოყვანილია ორიოდ მაგალითი სხვა ქვეყნებიდან და რეგიონებიდან. *მეორე თავში* განხილულია საქართველოს ტერი-

---

<sup>99</sup> ავტორს სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია საკვლევ თემაზე მასალების მოწოდებისათვის მადლობა მოახსენოს ივლიანე ხაინდრავას, ხოლო სოციოლოგიურ გამოკვლევაში მონაწილეობისათვის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს გვანცა დარისპანაშვილს, ქეთევან ხიმშიაშვილს, ელინა ჯიოევას, ლიკა ჟვანიას, მირანდა ფალავას, ვალერიან დვალიძეს, ბექა ხინჩაგაშვილსა და დავით სიდამონიძეს.

ტორიაზე (სამხრეთ ოსეთის გარეშე) მცხოვრები ოსური მოსახლეობის არსებული დემოგრაფიული სურათი (ძირითადად – რიცხოვნობა და განსახლება). მიმაჩნია, რომ ეს ადამიანთა ის ჯგუფია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს სახალხო დიპლომატიის აქტივიზაციას ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღსადგენად. შრომის მესამე თავში გაანალიზებულია მცირე მასშტაბის სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები. დასკვნაში გამოთქმულია ფრთხილი ოპტიმიზმი საერთო მიზნის მიღწევის საქმეში – ესაა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენა. ნაშრომის დანართს წარმოადგენს 13 ნახაზი (დიაგრამა) და 6 ცხრილი.

### *საკვლევი პრობლემის აქტუალობა*

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, რომელიც ძირითადად მიმდინარეობდა სამხრეთ ოსეთსა და ახლომდებარე რაიონებში, ბუნებრივია, დატოვა ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობები როგორც ოსურ, ისე ქართულ საზოგადოებებზე. თითოეული ჯარისკაცის ან მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა, ისევე, როგორც ხალხის განდევნა მათი ათასწლოვანი საცხოვრებელი ადგილიდან, ტრაგედიაა ყოველი ოჯახისათვის, მაგრამ არანაკლებ მძიმე შედეგი მოაქვს იმას, რომ ომი ქმნის ხანგრძლივი გაუცხოებისა და უნდობლობის ატმოსფეროს მთელი ხალხების ურთიერთობაში.

თუმცა 2008 წლის ომის დროს და მის შემდეგ „საკუთრივ საქართველოს“<sup>100</sup> ჯერაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოსური მოსახლეობა უშუალოდ (ფიზიკურად, ეკონომიკურად) არ დაზარალებულა, მაგრამ მანაც მიიღო ძლიერი მორალური ტრავმა. მათ, ისევე, როგორც ეთნიკურ ქართველებს, უნდა ესმოდეოთ, რომ ტრაგიკული ჭრილობები ადრე თუ გვიან შესახორცებელია – ქართველებსა და ოსებს ერთად ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვთ, ისინი დაკავშირებული არიან საკმაოდ ხშირი ნათესაური კავშირებით და მათ უმრავლესობას, ალბათ, არ უნდა სურდეს ურთიერთობათა შემდგომი გაფუჭება, მათ შორის — პიროვნულ დონეზე.

### *გამოკვლევის მიზანი*

გამოკვლევის მიზანია „საკუთრივ საქართველოში“ მცხოვრები ოსურ (შერეული ოჯახების ჩათვლით) მოსახლეობასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის შესწავლა, კერძოდ, მისი თვალსაზრისის შესწავლა ხალხთა შორის ნდობის აღდგენის შესაძლებლობისა და გზების შესახებ.

### *ჰიპოთეზა*

ჰიპოთეტურად შეგვიძლია დავუშვათ, რომ ოსურ მოსახლეობას შორის (შერეული ოჯახების წევრების ჩათვლით), რომელიც სახლობს „საკუთრივ საქართველოში“, უნდა ჭარბობდეს სინანულის გრძნობა იმის გამო, რომ პრაქტიკულად განწყდა კავშირი ხალხებს შორის (ამაში იგულისხმება მათივე კავშირიც იმ ოსებთან, რომლებიც სამხრეთ ოსეთში დარჩნენ) და უნდა არსებობდეს სურვილი მოინახოს შერიგების გზები. ქვეყნის შიგნით, კონფლიქტის ტერიტორიიდან „საკუთრივ საქართველოში“ იძულებით გადაადგილებულ პირებს (იგპ) შორის (ესენი ძირითადად ქართველები არიან, ნაწილობრივ – შერეული ოჯახების წევრი ეთნიკური ოსები) მათ მიმართ მომხდარი უსამართლობით გამოწვეული გამწარების გრძნობამ თანდათანობით ადგილი უნდა დაუთმოს სურვილს, მოინახოს ურთიერთგაგებისა და ურთიერთქმედების წერტილები ოს ხალხთან, ვის გვერდიგვერდაც ისინი თაობების განმავლობაში თანაცხოვრობდნენ. ძნელი მოსალოდნელია, რომ მოსახლეობის ამ ორივე ჯგუფს ჰქონდეს შერიგების რაიმე კონკრეტული გეგმა – მათ, როგორც ჩანს, ესმით, რომ ორივე მათგანი იქცა გეოპოლიტიკური მოთამაშეების, პირველ რიგში – კრემლის, პოლიტიკური ინტერესე-

<sup>100</sup> ამ პირობითი ტერმინით აღინიშნება რუსეთის ჯარების მიერ 2008 წელს ოკუპირებული რეგიონების გარეთ დარჩენილი საქართველოს ტერიტორია.

ბის მსხვერპლად: ამ მოთამაშეებზე გავლენის მოხდენა ზემოხსენებული ორი ჯგუფის ძალებს აღემატება. მაგრამ ორივე ჯგუფის განწყობამ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე შეიძლება მისცეს გარკვეული ნიშანი გადანყვეტილების მიმღებ პირებს.

### *გამოკვლევის მეთოდთა*

გამოკვლევის მეთოდთა შემუშავდა ზემოხსენებული სამეცნიერო ჰიპოთეზის გათვალისწინებით. გადანყდა სოციოლოგიური გამოკითხვის მეშვეობით შეგვესწავლა იმ ოსების საზოგადოებრივი აზრი, რომლებიც „საკუთრივ საქართველოში“ ცხოვრობენ. ოსური და შერეული მოსახლეობის მქონე რაიონებსა და სოფლებში, ასევე სამხრეთ ოსეთიდან გადაადგილებული პირების დასახლებებში საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად ანკეტაში შეტანილ იქნა კითხვები, რომლებზეც პასუხებს შეეძლოთ დაედასტურებინათ ან უარეყოთ ზემოაღნიშნული ჰიპოთეზა. ოსებთან ერთად, შედარებისათვის, იმავე სოფლებში, ქალაქებსა და დასახლებებში გამოიკითხა ოსების მეზობლად მცხოვრები ქართული მოსახლეობაც. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა ოფიციალური სტატისტიკა და ადრე ჩატარებული გამოკვლევების შედეგები.

### **ადამიანური ფაქტორი? სახალხო დიპლომატია? იდეალი და რეალობა (თეორიული მიმოხილვა და სხვა ქვეყნებისა და რეგიონების მაგალითები)**

როდესაც ლაპარაკობენ „ადამიანური ფაქტორის“ შესახებ, პირველი, რაც გვაგონდება, არის წარმოდგენა ინჟინერიის შესახებ, გვახსენდება რთული ტექნიკის გამოყენების სუბიექტური ფაქტორები (ხომ ცნობილია, რომ, მაგალითად, ავიაკატასტროფების შემდეგ ექსპერტები უპირველესად „ადამიანური ფაქტორის“ ვერსიას განიხილავენ ხოლმე). მაგრამ „ადამიანური ფაქტორი“ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიურ ჭრილშიც, დიდი და მცირე ჯგუფების სოციალური ურთიერთქმედებისას. საერთო ჯამში, *ელაიას პორტერის* თანახმად, „ადამიანური ფაქტორი“ ეს არის „ინდივიდის ფიზიკური ან შემეცნებითი კუთვნილება ან სოციალური ქცევა, რომელიც დამახასიათებელია ადამიანისათვის და რომელიც გავლენას ახდენს ტექნოლოგიური სისტემების ფუნქციონირებაზე, ისევე, როგორც წონასწორობაზე სისტემაში ადამიანი-გარემო“<sup>101</sup>.

„ადამიანური ფაქტორი“ გულისხმობს ყველა იმ ასპექტის შესწავლას, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ადამიანებს მათ გარშემო არსებულ სამყაროსთან. ამ აზრის გაგრძელების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ადამიანური ფაქტორი“ მნიშვნელოვანია პოსტკონფლიქტურ სიტუაციებშიც, როდესაც საჭიროა შეხების ნერტილების მონახვა იმ ჯგუფებს შორის, რომლებსაც წინა პერიოდში ერთმანეთთან კონფლიქტი ჰქონდათ; ასეთი ნერტილების მონახვა საჭიროა იმ მიზნით, რომ მოიძებნოს კონფრონტაციის დაძლევის ან, თუნდაც, მისი დონის შესამცირებელი საშუალებები. ამ გზით ცალკეულმა ინდივიდებმა და, კიდევ უფრო მეტად, ადამიანთა ჯგუფებმა შეიძლება გააკეთონ, თუ ყველაფერი არა, ცოტა რამ მაინც იმ შეცდომების გამოსასწორებლად, რომელთაც ჩადიან გადანყვეტილების მიმღები პირები.

„სახალხო (სამოქალაქო) დიპლომატია“ ახალი ტერმინი არაა. მას იყენებენ ლამის საუკუნეა (ძირითადად პირველი მსოფლიო ომის შემდეგ) და მრავალ ქვეყანასა და რეგიონში, თუმცა ამ ტერმინში სხვადასხვა აზრს დებენ.

ყველგან, სადაც ჩვეულებრივი დიპლომატია მეტ-ნაკლებად უძლურია, ცდილობენ გამოიყენონ სახალხო დიპლომატია, თუნდაც გარანტირებული წარმატების გარეშე.

იდეალურ პირობებში სახალხო დიპლომატიამ შედეგად უნდა მოიტანოს შერიგება ადრე მტრად გადაკიდებულ ადამიანთა ჯგუფებს (ხალხებს) და ქვეყნებს შორის. რეალური შედეგი უფრო მოკრძალებულია ხოლმე.

წარმოდგენა რომ შეგვექმნას სახალხო დიპლომატიის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მოვიყვან ორიოდე მაგალითს დედამიწის სხვადასხვა რეგიონიდან.

<sup>101</sup> <http://www.scribd.com/doc/37402839/Human-Factors-Ergonomics>

ხშირია მოწოდებები სახალხო დიპლომატიის გამოსაყენებლად ისეთ რეგიონებში, სადაც ცოტა ხნის წინ ეთნოსთაშორისი ანდა სამხედრო კონფლიქტები მძვინვარებდა. ზოგიერთ შემთხვევაში სახალხო დიპლომატიას გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანთა ჯგუფებს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, რომლებიც მონაწილეობდნენ კონფლიქტებში, მაგალითად, ტიმორ ლეშტეში, შრი ლანკაში, ტაილანდში, ფილიპინებში და ა.შ.<sup>102</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო ხშირად იყენებენ ტერმინს „საჯარო დიპლომატია“ (public diplomacy), რომელიც „მოიცავს კავშირს საერთაშორისო აუდიტორიასთან, კულტურულ პროგრამებს, აკადემიურ გრანტებს, საგანმანათლებლო გაცვლებს, პროფესორების, ექსპერტების მოწვევის საერთაშორისო პროგრამებს და აშშ მთავრობის ძალისხმევას წინააღმდეგ ტერორიზმის იდეოლოგიურ მხარდაჭერას“<sup>103</sup>.

ამ დეფინიციის მიხედვით, რომელსაც იძლევა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მეთოდებზე, რომლითაც უნდა ხორციელდებოდეს „საჯარო დიპლომატია“. ამასთან, დეფინიცია გვერდს უვლის „საჯარო დიპლომატიის“ მიზანსა და შესაძლო შედეგებს.

„საჯარო დიპლომატია“ გულისხმობს მასში სახელმწიფოს მონაწილეობას, ყოველ შემთხვევაში – მის წარმმართველ ხელს.

მართლაც, ნებისმიერი სახალხო დიპლომატია განწირულია წარუმატებლობისათვის, თუკი სახელმწიფო ან სახელმწიფოები არ არიან მისით დაინტერესებული და, კიდევ უფრო მეტად — თუკი მას წინააღმდეგობას გაუწევენ.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გეორგიოს პაპანდრეუმ 2000 წელს განაცხადა, რომ ხედავს სახალხო დიპლომატიის როლს კვიპროსის პრობლემის მოგვარებაში<sup>104</sup>. მისი აზრით, აუცილებელია თემთაშორისი კონტაქტები ქალთა, ახალგაზრდული, არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე.

1974 წლიდან გაყოფილი კვიპროსის ორივე მხარეს მცხოვრები ხალხი პრაქტიკულად „მომწიფდა“ ასეთი კონტაქტებისათვის, რამაც გამოხატულება ჰპოვა კუნძულზე არსებულ გამყოფ ხაზზე გამშვები პუნქტების გახსნაში 2008 წელს. წინა წლებში მიღწეული შედეგების გადაჭარბებით შეფასებისაგან თავის შეკავებასთან ერთად, მაინც უნდა ვთქვა, რომ კვიპროსელი ბერძნები და თურქები ნელ-ნელა ამყარებენ, თუნდაც მცირე, კონტაქტებს. უფრო მეტიც, 2004 წლის რეფერენდუმის დროს კვიპროსელი თურქები გაყოფილი კუნძულის გაერთიანებაზეც კი იყვნენ თანახმა, ხოლო, მაგალითად, თურქული გაზეთის «Today's Zaman»-ის მიმომხილველი *ერგუნ ბაბაჰანი* თავის საგაზეთო სვეტში 2011 წლის 9 აპრილს წერდა, რომ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ადგილობრივი კვიპროსელი თურქები თურქეთის წინააღმდეგ გამოდიან და კვიპროსელ ბერძნებთან კავშირსაც კი უჭერენ მხარს.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ოპტიმიზმს 2000 წელს გარკვეულწილად კვებავდა ახლო წარსულის მაგალითები. სახალხო დიპლომატიამ საკმაოდ კარგად იმუშავა თურქეთისა და საბერძნეთის იქამდე ათწლეულების განმავლობაში ძალიან დაძაბული ურთიერთობის ერთგვარად განსამუხტავად. ამას სტიმული მისცა ორივე ამ ქვეყანაში თითქმის ერთდროულად მომხდარმა ძლიერმა მინისძვრებმა — ჯერ სტამბოლში 1999 წლის 17 აგვისტოს, შემდეგ კი ათენში — იმავე წლის 7 სექტემბერს.

ადამიანებმა, რომლებიც მოულოდნელად შეეჯახნენ ერთგვაროვან ტრაგედიას, დაინახეს, თუ რაოდენ უაზროა ნაციონალისტური ლოზუნგები და მუდმივი კონფრონ-

<sup>102</sup> John Paluszek. *Viewpoints: The New "People Diplomacy"*. FPA Features. January 8, 2008; *Diplomacy Training programmes*. Human Rights and Peoples Diplomacy: 15th Annual Training for Human Rights Defenders from the Asia-Pacific Region and Indigenous Australia, University of New South Wales. 1989; *Ikeda, Daisaku. People's Diplomacy: A Power to Resist the Currents of History*. The Japan Times, May 11, 2006; 20th Annual Human Rights and Peoples' Diplomacy Training Program. 26 July-13 August 2010. Dili, Timor Leste

<sup>103</sup> Snow, Nancy and Philip M. Taylor (eds.). *Routledge Handbook of Public Diplomacy*. New York and London: Routledge Publishers, 2009

<sup>104</sup> *Cyprus issue can benefit from 'people's diplomacy', Papandreou says*. Athens News Agency. 15 January, 2000.



ტაცია. ამ მიწისძვრების დროს მეზობელი ქვეყნების სოლიდარობამ და ერთმანეთისათვის აღმოჩენილმა სამაშველო და ჰუმანიტარულმა დახმარებამ სერიოზულად იმოქმედა ერთმანეთის მიმართ მტრული განწყობის შეცვლაზე და აღმოჩნდა ძლიერი გზავნილი ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი, რომ ხალხებს სურთ მშვიდობა და ისინი მზად არიან თანამშრომლობისათვის.

მიიჩნევენ, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ხალხებისა და სახელმწიფოების გაუცხოება უზარმაზარ ზომას აღწევს, სახალხო დიპლომატიას მაინც შეუძლია მოიტანოს რაღაც შედეგი. *ალექსანდრ რუსეცკი*, მე მგონი, სწორად მიიჩნევს, რომ სახალხო დიპლომატიას მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, რომელიც (მის გარშემო მდებარე და ამჟამად ოკუპირებული შვიდი აზერბაიჯანული რაიონითურთ) მთლიანად არის განმედილი ეთნიკური აზერბაიჯანელებისაგან, გარკვეული ეფექტი სომხეთში აზერბაიჯანული ელიტის იშვიათი ვიზიტების შედეგად კი არ ექნება (აღსანიშნავია, რომ საპირისპირო მიმართულებით ვიზიტები პრაქტიკულად არ არის), არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეხვედრები მოხდება მთიანი ყარაბაღის ორი თემის წარმომადგენლებს – „სეცესიონისტებსა“ და „იუნიონისტებს“ – შორის: მათ უნდა ჰქონდეთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ბედისა და თავისი რეგიონის ბედის გადანვეტაში<sup>105</sup>.

მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახალხო დიპლომატია, ალბათ, ვერ მოიტანს შედეგს მანამდე, სანამ მთლიანად სომხური და მთლიანად აზერბაიჯანული საზოგადოებები არ იგრძნობენ, რომ დადგა დრო უკუაგდონ „მტრის ხატი“ მეზობელში. ასეთი რამ კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუკი პოლიტიკოსები მივლენ გარკვეულ კომპრომისამდე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ურთიერთდათმობებს (ტერიტორიულ), რაც მთავრობებს არ შეუძლიათ განახორციელონ სომხური და აზერბაიჯანული საზოგადოებების ფსიქოლოგიური განწყობის შეუცვლელად. და მანკიერი წრე იკვრება!

ზემოთ მოყვანილი მაგალითის საპირისპიროდ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობანი ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღდგენაში ჯერ კიდევ ბოლომდე ამონურული არ არის.

ქართულ-ოსური კონფლიქტი როგორღაც განსხვავებულია ყველა სხვა კავკასიური კონფლიქტისაგან და არასწორი იქნებოდა მისი დაყვანა წმინდა ეთნიკურ და თუნდაც წმინდა ეთნოტერიტორიულ კონფლიქტამდე. ეს ნაწილობრივ ეთნიკური და ეთნოტერიტორიული კონფლიქტი უფრო მეტად პოლიტიკურია, რომლის დაწყებასა და გაღვივებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა გარეშე ძალამ.

ქართველებსა და ოსებს ჰქონდათ და ჯერ კიდევ აქვთ ბევრი საერთო რამ კულტურის სფეროში; ჯერაც არაა დავინყებული პირადი კავშირები; ეს ხალხები ღიაა ერთმანეთისათვის პიროვნულ დონეზე მაინც. მნიშვნელოვანია, რომ ქართველებსა და ოსებს შორის არსებობს საკმაო წილი ადამიანებისა, რომელთაც შერეული წარმოშობა აქვთ, რაც თითქმის არ აღინიშნებოდა მთიანი ყარაბაღის სომხებისა და აზერბაიჯანელების, კვიპროსის თურქებისა და ბერძნების შემთხვევებში.

სიძულვილი, თუკი ის ვლინდებოდა, იყო უფრო პიროვნულ, ვიდრე ეთნოსთა-შორის დონეზე. მართალია, როდესაც ამას ვამტკიცებ, მე შემიძლია თავდებად დავუდგე ქართველებს. მაგრამ ის ოსები, რომლებსაც თითქმის ყოველდღიურად ვხვდები, ყველაზე ხშირად — როგორც ჩემს სტუდენტებს, ასევე არ ამჟღავნებენ სიძულვილს ზოგადად ქართველების მიმართ. თავის მხრივ, საქართველოში მცხოვრები ოსები, მათივე სიტყვებით, არ განიცდიან ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციას.

პოლიტოლოგს ჩრდილოეთ ოსეთიდან *ვალერი ძუცევის* სახსებით მშვიდად შეუძლია წარმოადგინოს თავისი შეთავაზება, რომ საჭიროა შეიქმნას „სამხრეთ ოსეთში ეროვნული შერიგების კომისია“, რომელიც შეიძლება გახდეს რეგიონში დაძაბულობის

<sup>105</sup> Alexander Rusetsky. *Ethnicized people's diplomacy in Karabakh to have no effect – analyst*. News.Az interviews. 19 January, 2010

შენელებისა და ხანგრძლივადიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მონახვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი<sup>106</sup>.

მართალია, ამჟამად ასეთი „კომისიის“ (ან რაღაც მსგავსის) შექმნა ფანტასტიკის სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე რეალობას, მაინც მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური ოსი არ გამოირიცხავს ქართველებთან შერიგების შესაძლებლობას. დარწმუნებული ვარ, რომ მცდელობა – რაიმე რეალური გაკეთდეს ამ მიმართულებით — ცხოველ გამოსხმაურებას ჰპოვებს ქართველებშიც.

ამაო გარჯად არ უნდა მივიჩნიოთ ჯორჯ მეისონის სახელობის ამერიკული უნივერსიტეტის ანალიზისა და კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუტის ძალისხმევა, კერძოდ, შეხვედრების სერიის ორგანიზება საერთო სახელით „თვალსაზრისი“<sup>107</sup>, რომლის მიზანია ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღდგენა. ასეთ შეხვედრებს შეუძლიათ მოიტანონ გარკვეული დადებითი შედეგი.

### საქართველოს ოსური მოსახლეობის დემოგრაფიული სურათი

სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია რეალური დემოგრაფიული სურათის გათვალისწინება.

ისტორიული საქართველოს (მე-18 საუკუნეში, ძირითადად – ქართლ-კახეთის) სამეფოს ტერიტორიაზე ქართველებისა და ოსების თანაცხოვრებას რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს, მეზობლად ცხოვრებას კავკასიაში – ორიოდე ათასწლეულის ისტორია. ამ ხნის განმავლობაში დაფიქსირებულია ამ ხალხებს შორის დადებითი ურთიერთქმედებისა და ურთიერთდახმარების მრავალი შემთხვევა. რასაკვირველია, ისტორიულ ფაქტებს არ შეუძლიათ უშუალო გავლენა მოახდინონ პოლიტიკური ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობაზე. მაგრამ მათ შეუძლიათ იმოქმედონ ეთნიკური ერთობების კოლექტიურ მენტალიტეტზე. ამიტომაც აქვს მნიშვნელობა შევახსენოთ ხალხებს ეთნოსთაშორისი თანამშრომლობის დადებითი ისტორიული მაგალითები, თუნდაც ასეთი შეხსენება „ძველმოდურ პროპაგანდას“ გვაგონებდეს.

საბჭოთა პერიოდში ოსები შეადგენდნენ საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ ეთნიკურ უმცირესობას. ისინი თითქმის ორჯერ მეტი იყვნენ, ვიდრე, მაგალითად, აფხაზები.

დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, 2002 წელს ქვეყანაში ცხოვრობდა 38 028 ოსი<sup>108</sup>. ეს რიცხვი აჩვენებს ოსურ მოსახლეობას „საკუთრივ საქართველოში“, რომელიც 2002 წელს მოიცავდა ახალგორის რაიონსა და ქართულ სოფლებს დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, სადაც, ბუნებრივია, ოსებიც ბინადრობდნენ. მთლად კორექტული არ იქნება შევადაროთ ეს მაჩვენებელი მოსახლეობის უკანასკნელი საბჭოთა აღწერის მონაცემებს, როდესაც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე აღირიცხა 160 ათასზე მეტი ოსი, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ – 100 ათასამდე: 1989 და 2002 წლების აღწერები სხვადასხვა ტერიტორიას (და სხვადასხვა ეპოქას!) მოიცავს. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ოსური მოსახლეობის საგრძნობ კლებას, რომელიც აღწერათაშორის წლებში ინტენსიურად მიგრირებდა, ძირითადად, ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულებით.

2002 წელს 17990 ოსი აღმოჩნდა აღწერილი „საკუთრივ საქართველოს“ ქალაქებში, მათგან 10268 – თბილისში (დედაქალაქში შედარებით მეტი ოსი ცხოვრობდა გლდან-ნაძალადევის რაიონში – 4647 და ისანი-სამგორის რაიონში – 2535 ადამიანი). სოფლად 20038 ოსი სახლობდა, მათგან უმეტესობა, 13383, – შიდა ქართლში, იმ ზონაში, რომელიც ეკვრის სამხრეთ ოსეთს (გორის რაიონში – 6405, კასპის რაიონში –

<sup>106</sup> **Валерий Дзуцев.** Национальное примирение в Южной Осетии. Июль 06 2009 <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/156240/>

<sup>107</sup> <http://icar.gmu.edu>

<sup>108</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. დემოგრაფია. სამეცნიერო ჟურნალი, 2 (7) 2004, თბილისი

3479, ქარელის რაიონში – 2755), აგრეთვე კახეთის რაიონებში (6109) და მცხეთა-მთიანეთში (3977).

1989 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 21-ე საუკუნის დასაწყისში ოსების რაოდენობის შემცირება საქართველოში აიხსნება, სხვა მიზეზებთან ერთად, 1990 წელს ხელისუფლებაში მოსული საქართველოს რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელობის გაუაზრებელი ეროვნული პოლიტიკითაც. საერთო ქაოსის ატმოსფერო, რომელიც მეფობდა საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, იძლეოდა საშუალებას წარმოშობილიყო ბევრი ეთნიკური კონფლიქტი უზარმაზარი, მრავალეროვნული ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში.

უნდა აღინიშნოს, რომ „საკუთრივ საქართველოში“ დღესაც მცხოვრები ოსების რაოდენობა საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგალითად, ქვეყნის სლავური ან ბერძნული წარმოშობის მოქალაქეებთან შედარებით, რომელთა რაოდენობაც ემიგრაციის შედეგად პროპორციულად ბევრად უფრო შემცირდა. საკმაოდ საგრძნობი ოსური უმცირესობის შენარჩუნება საქართველოში აიხსნება მისი ძლიერი სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციით ქართულ საზოგადოებაში. მთელ საქართველოში მცხოვრები ოსების საგრძნობი წილი შერეული ოჯახების წევრებია. სხვადასხვა გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ქართველები უფრო ხშირად და მეტი ხალისით ქმნიდნენ და ქმნიან საერთო ოჯახებს ოსებთან, ვიდრე რომელიმე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად.

მოსახლეობის მომდევნო აღწერამდე, რომელიც დაგეგმილია 2012 წლისათვის, მოგვიხდება მისი რიცხოვნობისა და სტრუქტურის შესახებ შეფასებითი მონაცემები გამოვიყენოთ.

*უმცირესობის საკითხების ევროპული ცენტრის* (European Centre for Minority Issues, ECMI) მიერ 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის ივნისამდე (ანუ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ) ოკუპაციის შედეგად შექმნილი გამყოფი ხაზის აქეთ დარჩენილ ტერიტორიაზე, „საკუთრივ საქართველოში“, საკმაო გამოწვლილვით ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, რომელსაც ხელმძღვანელობდა *გიორგი სორდია* (შემდგომში – ECMI-ის გამოკვლევის მონაცემები), რჩებოდა დაახლოებით 26 ათასი ეთნიკური ოსი, რომლებიც ცხოვრობდნენ 132 სოფელსა და 17 ქალაქსა და დაბაში<sup>109</sup>.

ეს რაოდენობრივი მაჩვენებელი ძნელი დასადასტურებელია ახალი აღწერის ჩატარებამდე. მაგრამ მასში ასევე ძნელია დასაბუთებული ეჭვის შეტანა. მეც მიმაჩნია, რომ ოსების რიცხოვნობას 2002 წლის აღწერის შემდეგ უნდა დაეკლო ისევე, როგორც დაიკლო საქართველოს მთელი მოსახლეობის რიცხოვნობამ. მაგრამ ოსების რიცხოვნობის თითქმის ერთი მესამედით შემცირება ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის?

ECMI-ის გამოკვლევის მონაცემებით, ოსების უმრავლესობა, რომლებიც „საკუთრივ საქართველოს“ სოფლებში ცხოვრობს მე-19 (და ზოგან მე-18) საუკუნიდან, მნიშვნელოვანწილად არის ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში, თითქმის საყოველთაოდ ფლობს ქართულ ენას და ხშირად იყენებს კიდევ მას საოჯახო პირობებში. მაგრამ, ამასთან ერთად, ოსები არ კარგავენ არც ეთნიკურ იდენტობას და არც კონტაქტებს სამხრეთ ოსეთში და საქართველოს გარეთ მყოფ ნათესავებთან. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი დასკვნა დაადასტურა გამოკვლევამ, რომელიც წინამდებარე შრომის ფარგლებში ჩატარდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ECMI-ის გამოკვლევის მონაცემებით განსაზღვრულ „საკუთრივ საქართველოში“ მცხოვრები ოსების რიცხოვნობას თითქმის ემთხვევა ოსების რიცხოვნობა სამხრეთ ოსეთში, როგორც ის დაადგინა რუსმა ექსპერტმა 2010 წელს.

ნეიტრალური მკვლევარის *ვარვარა პახომენკოს* შეფასებით, სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მოსახლეობის (ძირითადად – ეთნიკური ოსების) რაოდენობა 2010 წელს არ აჭარბებდა 26-32 ათასს. ვ. პახომენკო წერს: „... შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ იმ

<sup>109</sup> Giorgi Sordia., *Ossetians in Georgia in the wake of the 2008 War*. ECMI Working Paper N 45, September 2009

მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მოაქვთ ადგილობრივ ჩინოვნიკებს, მიახლოებითი შეფასებით მთელი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის რაოდენობა არ შეიძლება აჭარბებდეს 30-32 ათას ადამიანს. ხოლო თუკი გამოვალთ მონაცემებიდან სამხრეთ ოსეთის საშუალო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობის შესახებ, რომელიც, თითქმის დანამდვილებით, არ აჭარბებს 4000-ს, ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობა უნდა შეადგენდეს 26-27 ათასს. ეს ორი შეფასება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ მკვეთრად, ორსამჯერ, განსხვავდება ოფიციალური ციფრებისაგან<sup>110</sup>.

ეს რაოდენობრივი მაჩვენებელი ისევე ძნელი დასადასტურებელია ან უარსა-ყოფია, როგორც ზემოთ მოყვანილი ECMI-ის გამოკვლევის მონაცემები. უფრო მოსა-ლოდნელია, რომ ვ. პახომენკოს გათვლები სწორია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფრო ახ-ლოს რეალობასთან არის მისი მაქსიმალური შეფასება და ოსების რაოდენობა სამხრეთ ოსეთში 26-27 ათასი კი არაა, არამედ 30-32, მაინც მათი რაოდენობა ამ ტერიტორიაზე მკვეთრად (ორჯერ და მეტად) ნაკლებია იმაზე, რაც იყო საბჭოთა პერიოდში (66 ათასი). ეს მაჩვენებელი არაფრით არ გაიზრდებოდა, პირიქით, უნდა შემცირებულიყო მუდმივი პოლიტიკური დაძაბულობისა, ეკონომიკური პრობლემებისა და მოსახლეობის ემიგრაციის პირობებში.

თუკი სამხრეთ ოსეთის დემოგრაფიული მომავალი საფრთხეშია, ამის მიზეზი, უპირველესად, რასაკვირველია, შეიარაღებული კონფლიქტებია, მაგრამ, ასევე — ბუ-ნებრივი ეკონომიკური და სხვა კავშირების განწყვეტა დანარჩენ საქართველოსთან.

ქართულ მოსახლეობასთან მშვიდობიანი კონტაქტების აღდგენას შეეძლებოდა ეთამაშა დადებითი ფაქტორის როლი ოსური ეთნოსის შენარჩუნებაში ამჟამინდელი გამყოფი ხაზის როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით.

რაც შეეხება „საკუთრივ საქართველოში“ მყოფი ოსების ემიგრაციულ განწყო-ბას, ECMI-ის გამოკვლევის მონაცემებით, 2008 წლამდე ეს განწყობა მთლიანად ეკო-ნომიკური ფაქტორებით განისაზღვრებოდა და ემიგრაციის ტემპს თანდათანობითი შენელების ტენდენცია ჰქონდა. ომის შემდეგ ემიგრაციული განწყობა თითქოს ინარ-ჩუნებდა იმავე დინამიკას, ანუ მაინცდამაინც არ მატულობდა. მაგრამ ემიგრაციის ტენდენცია არსებობს.

ECMI-ის სავსე მუშაობის დროს მოწმდებოდა, იყო თუ არა ოსების მიმართ დის-კრიმინაციის შემთხვევები „საკუთრივ საქართველოში“, მაგრამ ასეთი შემთხვევების დადასტურება არ მოიძებნა<sup>111</sup>. ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიამ (EUMM) ასევე ვერ შეძლო ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის რაიმე ფაქტის აღმოჩენა. სხვათა შორის, იმავეს აღნიშნავდნენ ჩვენი ინტერვიუებები წინამდებარე შრომის ფარგლებში ოსური მოსახლეობის გამოკითხვისას 2011 წლის თებერვალში.

ამავე დროს, ECMI-ის დასკვნით, თუმცა ყოველდღიურ დონეზე ქართულ-ოსური ურთიერთობა „საკუთრივ საქართველოს“ ტერიტორიაზე მჭიდრო და მეგობრული რჩებოდა, 2008 წლის ომის გავლენა მკაფიოდ იგრძნობა სიფრთხილის იმ ატმოსფეროში, რომელიც შეიმჩნევა ოსურ თემებში. ინტერვიუების უმრავლესობაში გამოიხატებოდა გაურკვევლობა მომავალთან დაკავშირებით. მოგონებები 1990-იანი წლების დასაწყისის ნეგატიურ გამოცდილებაზე აიძულებს ოსური მოსახლეობის გარკვეულ სეგმენტს მღელვარებით უყუროს მომავალს: ისინი ვერ იგრძნობენ თავს უსაფრთხოდ სამხედრო მოქმედების განახლების შემთხვევაში<sup>112</sup>.

თეორიულად შესაძლებელ სახალხო დიპლომატიას სირთულეს უქმნის ის, რომ „საკუთრივ საქართველოს“ ოსური მოსახლეობის მონაწილეობა სამოქალაქო საზოგა-დობის ფორმირებაში ნაკლებშესამჩნევია. ოსური არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იმუშავებდნენ ოსური ენის, კულტურული მემკვიდრეობის, ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე, ცოტაა (ან, იქნებ, ისინი ნაკლებად ჩანან?). სა-

<sup>110</sup> *Варвара Пахоменко . Обитаемый остров.* <http://www.polit.ru/analytics/2009/09/22/demo.html>

<sup>111</sup> G. Sordia, დას.ნაშრ.

<sup>112</sup> იქვე, 15.

ქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში არსებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამ მიმართულებით ბევრად მეტი კეთდებოდა, თანაც სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ. საკმარისია ითქვას, რომ ოსურ ენას სამხრეთ ოსეთსა და მთლიანად საქართველოში ბევრად უფრო ძლიერი პოზიცია ჰქონდა რსფრ-ის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთთან შედარებით. ოსური ეთნოსის შესანარჩუნებლად კავკასიონის ქედის სამხრეთით უკეთესი პირობები იყო.

### მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა და მისი შედეგები

წინამდებარე შრომის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება და მისი შედეგების ანალიზი. რესურსების შეზღუდულობამ არ მოგვცა შესაძლებლობა ჩაგვეტარებინა სრულმასშტაბიანი გამოკვლევა – გამოგვეკითხა ათასი და მეტი ადამიანი, რომლის დროსაც სტატისტიკური ცდომილება შედარებით ნაკლებია. ჩვენი გამოკვლევის შემთხვევაში, შედარებით მცირე შერჩევის (213 რესპონდენტი) გამო, შერჩევითი გამოკვლევის ცდომილებამ შეადგინა 5-7 პროცენტი. მაგრამ ასე მიღებული მონაცემებიც კი იძლევა ღირებულ შედეგებს, რომლებიც საკმარისია განზოგადებული სურათის წარმოსადგენად.

იმის დასადგენად, თუ რას ფიქრობენ „საკუთრივ საქართველოს“ ოსური ოჯახების წევრები ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღდგენის შესახებ, გამოიკითხა ოსური ეროვნების პირები 17 დასახლებულ პუნქტში: ესენი იყვნენ როგორც პირები, ვისაც ორივე მშობელი ოსი ჰყავს (ასეთები უმრავლესობა იყო), ისე პირები, ვისაც ერთი მშობელი ჰყავს ოსი. ინტერვიუებში იცავდნენ პირობას — არ გამოეკითხათ პირადი ინტერვიუს მეშვეობით ერთზე მეტი ადამიანი თითოეულ ოჯახში.

შედარებისათვის გამოკითხულ იქნა ოსების ზუსტად ტოლი რაოდენობის ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ იმავე დასახლებულ პუნქტში და რომელთაც აქვთ (ჰქონდათ) კონტაქტი ოსებთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ანუ უმეტესობა მათგანი არის ქვეყნის შიგნით [სამხრეთ ოსეთიდან] იძულებით გადაადგილებული პირი. სამეცნიერო ჰიპოთეზა ვარაუდობდა, რომ ეს პირები უკეთ უნდა ყოფილიყვნენ ჩახედული (ან, ყოველ შემთხვევაში, დაინტერესებულნი) იმ საკითხში, რომელიც ეხება ნდობის აღდგენას იმ ხალხთან, ვისთანაც ისინი თაობების განმავლობაში თანაცხოვრობდნენ, და მათ, ალბათ, შეეძლოთ ამისათვის გარკვეული გზები შემოეთავაზებინათ.

რამდენადაც „საკუთრივ საქართველოს“ ოსების უმეტესობა სოფელ ადგილას ცხოვრობს, რესპონდენტების 70 პროცენტი სოფლად გამოიკითხა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში სოფლებს მიეთვალა დაბა ბაკურიანი, რომელიც, არსებითად, დიდი სოფელია). თბილისში გამოკითხვა ჩატარდა გლდანი-ნაძალადევისა და ისანი-სამგორის რაიონებში, სადაც კონცენტრირებულია ოსური ოჯახების უმეტესობა. სქესობრივი სტრუქტურა თითქმის თანაბრად გადანაწილდა (52 პროცენტი — მამაკაცები, 48 პროცენტი — ქალები). გამოკითხულთა ასაკობრივი სტრუქტურა საკმაოდ თანაბრად განაწილდა (18-30 წლისა — 25 პროცენტი, 31-40 წლისა — 14 პროცენტი, 41-50 წლისა — 26 პროცენტი, 51-60 წლისა — 18 პროცენტი და 60 წელზე უხნესი — 17 პროცენტი).

სპეციფიკური რესპონდენტების შერჩევა შრომატევადი საქმე იყო. ეს პრობლემა დაძლიეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტებიდან შერჩეულმა ინტერვიუებმა. რამდენიმე მათგანი, რომელიც ოს რესპონდენტებთან მუშაობდა, თვითონ იყო ან ოსური წარმოშობისა, ან შერეული, ქართულ-ოსური ოჯახიდან: ასეთი ინტერვიუებების შერჩევა შეგნებულად მოხდა, რომ გამოგვერიცხა ეჭვი მათი ცალმხრივობის შესახებ და გაგვეადვილებინა მუშაობა სპეციფიკურად შერჩეულ რესპონდენტებთან.

---

---

გამოკითხვის ძირითადი შედეგები

1. როგორც გაირკვა, „საკუთრივ საქართველოს“ ოსური მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მშობლიურ ენად მიიჩნევს ქართულს ან მას სრულყოფილად ფლობს. იმას, რომ მათი ინტეგრაცია ქართველებთან ძლიერია, გვიჩვენებს პასუხი, რომ გამოკითხული ოსების ნახევრის მეგობრების წრეში უმრავლესობა ქართველებია. ამავე დროს ოსები არ კარგავენ ეთნიკურ იდენტობას, რასაც არაპირდაპირ ადასტურებს ის, რომ მათი ნახევარი მაინც თავისი მეგობრების წრეში ასახელებს ოსებს (იხ. ნახ. 1 და 2). შედარებისათვის: ქართველ რესპონდენტებს შორის თავისი მეგობრების წრეში უფრო მცირე ნაწილმა, 30 პროცენტზე ნაკლებმა, ახსენა ოსები (მათ შორის, „სხვა ეროვნების პირებშიც“). მაგრამ მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, გამოკითხულ ქართველთა თითქმის მესამედს თავის მეგობრებში ოსებიც ეგულება!

2. როგორც მოსალოდნელი იყო, შერჩევის სპეციფიკიდან გამომდინარე, 2008 წლის ომის შედეგად „საკუთრივ საქართველოს“ ტერიტორიაზე ბევრად უფრო მეტი დაზარალებული აღმოჩნდა ქართველებს შორის, ვიდრე ოსებს შორის (იხ. ნახ. 3). 81 პროცენტმა ქართველებს შორის დადებითად უპასუხა კითხვაზე „დაზარალდა თუ არა თქვენი ოჯახი 2008 წლის აგვისტოს ომში?“ ოსებს შორის დადებითი პასუხი იმავე კითხვას გასცა ორჯერ ნაკლებმა წილმა – 42 პროცენტმა, თანაც ასეთი პასუხის გამცემი ოსების უმეტესობა შერეული ოჯახის წევრია, იგპ-ია, ძირითადად – ქალები, რომელთა ქმრები და ნათესავები ქართველებია.

3. ბუნებრივია, რომ გამოკითხულთა 40 პროცენტს ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის გაუარესებულად მიაჩნია იმ სიტუაციასთან შედარებით, რომელიც ომამდე იყო. ამასთან, ასეთ აზრს იზიარებს პრაქტიკულად ერთნაირი ნაწილი როგორც ქართველებში (39,3 პროცენტი), ისე ოსებში (40,6 პროცენტი). ერთაშორისი ურთიერთობა უცვლელად მიიჩნია თითქმის ასეთივე ნაწილმა (42 პროცენტმა) ყველა გამოკითხულიდან (იხ. ნახ. 4 და 5). მაგრამ, ამ შემთხვევაში, განსხვავება ეთნიკურ დონეზე საკმაოდ დიდია: ასეთ, „შედარებით ოპტიმისტურ“ შეფასებას იზიარებს ბევრად მეტი გამოკითხული ოსი (48 პროცენტი), ვიდრე ქართველი (36 პროცენტი). ამ უკანასკნელთა შორის საგრძნობია იმათი წილი, ვისაც უჭირს თავისი თვალსაზრისის ჩამოყალიბება (22 პროცენტი) მაშინ, როცა ოსებს შორის ასეთი 9 პროცენტი. იმ 2 პროცენტის აზრი, რომელმაც რატომღაც მიიჩნია, რომ ომის შემდეგ „ურთიერთობა გაუმჯობესდა“, შეგვიძლია უგულებელვყოთ!

4. ქართველებისა და ოსების აზრი ძირითადად დაემთხვა მომდევნო (ლია) კითხვის შემთხვევაში — „ვის ინტერესებშია ქართულ-ოსურ ურთიერთობებში არსებული მდგომარეობის შენარჩუნება?“ კონკრეტული პასუხები, რომლებიც მიღებულ იქნა გამოკითხულთა 72 პროცენტისაგან, კოდირებულია და განაწილდა ექვს აზრობრივ ჯგუფში (იხ. ნახ. 6 და 7 და ცხრილი 1):

- დაახლოებით თანაბარი ნაწილი ქართველებსა და ოსებში (შესაბამისად, 43 და 45 პროცენტი) მიუთითებს რუსეთზე (ან მის ხელმძღვანელობაზე);
- 9 პროცენტი (8 – ქართველებში და 10 – ოსებში) მიუთითებს რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის (ან მათი ხელმძღვანელობების) საერთო დაინტერესებაზე;
- საქართველოს (ან მის ხელმძღვანელობას) არსებული მდგომარეობის დაკონსერვებაში დაინტერესებულად მიიჩნევს 8 პროცენტი (6 – ქართველებში და 10 – ოსებში);
- 7 პროცენტმა გამოკითხულთა შორის მიიჩნია, რომ ეს არის სხვა ქვეყნების, ან სხვა პირების, ან კონფლიქტის უკლებლივ ყველა მონაწილის ინტერესებში (ანუ დაკონკრეტება ვერ მოახერხა);
- მხოლოდ 2 პროცენტი მიუთითებს მხოლოდ სამხრეთ ოსეთზე;
- 1 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს არავის ინტერესებში არ შედის;

• დიდი აღმოჩნდა იმათი წილი, ვისაც საერთოდ გაუჭირდა (ან არ ისურვა) პასუხის გაცემა ამ კითხვაზე – ყველა გამოკითხულის 28 პროცენტი (32 პროცენტი ქართველებში, 24 პროცენტი – ოსებში; ყველა მამაკაცს შორის 23 პროცენტი, ყველა ქალს შორის – 32; ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, უფროსი ასაკის ხალხს, 51 და მეტი წლისას, გაცილებით ნაკლებს – 22-23 პროცენტს – გაუჭირდა პასუხის გაცემა, ვიდრე შედარებით ახალგაზრდა თაობებს, სადაც ასეთი 34-35 პროცენტი იყო).

ამრიგად, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (როგორც ოსებს, ისე ქართველებს შორის) მიიჩნევს, რომ არსებული მდგომარეობის (და, შესაბამისად, ქართველებსა და ოსებს შორის გაუცხოების) შენარჩუნებაში ძირითადი დაინტერესებული მხარეა რუსეთი.

პასუხი, მთლიანობაში, მოსალოდნელი იყო: ომი, ძირითადად, მიმდინარეობდა რუსეთსა და საქართველოს შორის და ადამიანები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა, ბუნებრივია, იხრებიან იქით, რომ ბრალი სხვა მხარეს დაინახონ.

5. ორი მომდევნო კითხვა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ ერთი სიტყვით, მაგრამ მოგვცა სრულებით განსხვავებული შედეგი. რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ კითხვებზე: „*არსებობს თუ არა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის აუცილებლობა?*“ და „*არსებობს თუ არა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის შესაძლებლობა?*“

დიაგრამებზე (იხ. ნახ. 8 და 9), სადაც პარალელურად არის მოყვანილი პასუხები ორივე კითხვაზე (და დამატებით პასუხები კითხვაზე: „*შეგიტანიათ თუ არა პირადი წვლილი ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის საქმეში?*“, რაც ოდნავ ქვევით არის გაანალიზებული), მკაფიოდ ჩანს, რომ აბსოლუტური უმრავლესობა – ქართველების 92 პროცენტი და ოსების 90 პროცენტი – ხედავს ასეთ აუცილებლობას (მას ვერ ხედავს მხოლოდ 2 პროცენტი).

მაგრამ ხალხებს შორის ნდობის აღდგენის აუცილებლობის შესახებ ასეთი, თითქმის სრული, კონსენსუსის არსებობის მიუხედავად, მხოლოდ 62 პროცენტი ხედავს მის შესაძლებლობას. ამასთან სხვაობა პასუხებში ეთნიკური კუთვნილების, ასაკისა და სქესის მიხედვით საკმაოდ არსებითია და იმავდროულად — ლოგიკური. ოსებს შორის ნდობის აღდგენის შესაძლებლობისა სჯერა 70 პროცენტს, ქართველებში კი — მხოლოდ 55 პროცენტს; ყველა მამაკაცს შორის ამისი სჯერა 70 პროცენტს, ქალებს შორის — კი 55-ს; ყველაზე ნაკლებად სჯერათ ასეთი შესაძლებლობისა 31-40 წლების ასაკის ადამიანებს (45 პროცენტს) მაშინ, როცა 41-50 და 51-60 წლის ასაკობრივ ჯგუფებში – 72-73 პროცენტს.

გამოდის, რომ ქალებს, ქართველებს, შედარებით ახალგაზრდა ასაკის ადამიანებს შორის სკეფსისი უფრო მეტად მჟღავნდება მაშინ, როცა ოსებს, ორივე ეროვნების მამაკაცებსა და უფროსი თაობის ადამიანებს უნდათ სჯეროდეთ ასეთი შესაძლებლობისა. უფროსი თაობას, რასაკვირველია, ახსოვს თანაცხოვრების კარგი დღეები, საერთო ნადიმები!

ამასთან ერთად, ყველა გამოკითხულის 30 პროცენტს გაუჭირდა პასუხი გაცემა ნდობის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ. ასე მიუთითა ქართველების 38 პროცენტმა და ოსების 22 პროცენტმა, ქალების 33 პროცენტმა (ძირითადად ესაა მათი „შედარებითი სკეფსისის“ ახსნა) და 31-40 წლის ასაკის ადამიანების 42 პროცენტმა.

6. ზემოხსენებულ კითხვებთან იყო დაკავშირებული მომდევნო კითხვა: „*შეგიტანიათ თუ არა პირადი წვლილი ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის საქმეში?*“ (იხ. ცხრილი 4 და ნახ. 8 და 9). იმ შემთხვევაში, თუ ამ კითხვაზე პასუხი იყო „*დიახ*“, მაშინ ვუსვამდით კითხვას „*პირადად რა გააკეთეთ ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად?*“

აღმოჩნდა, რომ პირადი წვლილი ამ საქმეში შეჰქონდა, მათივე პასუხებიდან გამომდინარე, გამოკითხულთა მხოლოდ 19 პროცენტს (28 პროცენტს — ოსებს შორის, 9 პროცენტს – ქართველებს შორის; 22 პროცენტს – ყველა მამაკაცს შორის, 16

პროცენტს – ყველა ქალს შორის; ასაკობრივ ჯგუფებში ყველაზე მეტად – 24 პროცენტს – 31-40 წლის ასაკში).

როდესაც საქმე მიდგა ამ მიმართულებით საკუთარი ძალისხმევის კონკრეტულ რეტიზაციაზე, მიღებული პასუხების დაჯგუფება მოხერხდა მხოლოდ ორ მცირე ჯგუფად: ყველა გამოკითხულთა დაახლოებით 10 პროცენტი „ცდილობს შეინარჩუნოს ურთიერთობა ორივე ერის წარმომადგენლებთან“ და ხუთიოდე პროცენტი – „ცდილობს ხელი შეუწყოს დიალოგს ორივე ერის წარმომადგენლებთან“.

ბევრი არაა! მაგრამ, მეორე მხრივ, ძნელია ველოდოთ, რომ უბრალო ადამიანები, რომელთა საგრძნობი ნაწილი ეკონომიკურად და მორალურად დაზარალდა ომის დროს და მის შემდეგ, შეძლებდა რაიმე უფრო არსებითის გაკეთებას.

7. ქვემოთ მოყვანილია პასუხები ჩატარებული გამოკვლევის მთავარ კითხვებზე: „რა შეიძლება გაკეთდეს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად?“ და „რა უშლის ხელს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენას?“ ორივე კითხვა იყო ღია და ინტერვიუებმა შეკრიბეს მრავალი პასუხი, რომლებიც დაჯგუფდა (დანართში მოტანილ ცხრილებში 5 და 6 მოცემულია პასუხების პროცენტული განაწილება, მათ შორის, კროსტაბულაციების სახითაც).

8. კითხვაზე: „რა შეიძლება გაკეთდეს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად?“ — პასუხები კლებადი სიხშირით შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ნახ. 10 და 11: პასუხები იქ შემოკლებულად, სქემატურადაა მოცემული):

- არ იცის, უჭირს პასუხის გაცემა (ყველა გამოკითხულის 40 პროცენტი; ქართველებს შორის – 49 პროცენტი, ოსებს შორის – 32 პროცენტი);
- აღდგეს ეკონომიკური კავშირები, პირადი კონტაქტები ადამიანებს შორის; გამოყენებულ იქნეს სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობები (ყველა გამოკითხულის 38 პროცენტი; ქართველებს შორის – 25 პროცენტი, ოსებს შორის – 50 პროცენტი);
- გამოყვანილ იქნეს რუსეთის ჯარები სამხრეთ ოსეთიდან, გაუქმდეს მისი „დამოუკიდებლობის ცნობა“ [რუსეთის მხრიდან] (ყველა გამოკითხულის 9 პროცენტი; ქართველებს შორის – 16 პროცენტი, ოსებს შორის – 2 პროცენტი);
- მოწესრიგდეს ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის (ყველა გამოკითხულის 5 პროცენტი; ქართველებს შორის – 5 პროცენტი, ოსებს შორის – 6 პროცენტი);
- შეიცვალოს სამხრეთ ოსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა (ყველა გამოკითხულის 4 პროცენტი; ქართველებს შორის – 2 პროცენტი, ოსებს შორის – 6 პროცენტი);
- სხვა პასუხი მოგვცა გამოკითხულთა ორმა პროცენტმა.

აღნიშნულ კითხვაზე მიღებულ პასუხებში განსხვავება ქართველებისა და ოსების აზრში საკმაოდ კონტრასტულია. *გამოკითხულ ოსებს შორის ნახევარი (50 პროცენტი) ხალხებს შორის ნდობის აღდგენაში გზას ხედავს სახალხო დიპლომატიის საშუალებათა გამოყენებაში, ეკონომიკური კონტაქტების საშუალების შექმნაში, პირად კონტაქტებში, დიალოგში. ქართველებს შორის კი იმავეს იმედი მხოლოდ მეოთხედს აქვს;* მათ შორის თითქმის ნახევარმა (49 პროცენტმა) არ იცის რა გააკეთოს.

პასუხების ასეთი განაწილება მიუთითებს სერიოზულ იმედგაცრუებაზე, ფრუსტრაციაზე, სულიერი განადგურების გრძნობაზე გამოკითხულ ქართველთა შორის. მათი 16 პროცენტი გამოსავალს ხედავს მხოლოდ რადიკალურ გზაში – რუსული ჯარის გამოყვანაში სამხრეთ ოსეთიდან და ა.შ.; ოსებს შორის ასეთივე აზრი მხოლოდ 2-მა პროცენტმა გამოთქვა. საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დარეგულირებაზე, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლაზე სამხრეთ ოსეთის მიმართ ორივე ეროვნების გამოკითხულთა უმნიშვნელო რაოდენობამ მიუთითა. იქნებ მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი ნაბიჯებისათვის დრო ჯერ არ მომწიფებულა?



9. კითხვაზე — „რა უშლის ხელს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენას?“ — პასუხები კლებადი სიხშირით ასე განაწილდა (იხ. ნახ. 12 და 13: პასუხები იქ შემოკლებულად, სქემატურაა მოცემული):

- რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა, მისი ჯარების ყოფნა სამხრეთ ოსეთში (ყველა გამოკითხულის 36 პროცენტი; ქართველებს შორის – 47 პროცენტი, ოსებს შორის – 26 პროცენტი);

- არ იცის, უჭირს პასუხის გაცემა (ყველა გამოკითხულის 17 პროცენტი; ქართველებს შორის – 26 პროცენტი, ოსებს შორის – 9 პროცენტი);

- საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა (ყველა გამოკითხულის 11 პროცენტი; ქართველებს შორის – 6 პროცენტი, ოსებს შორის – 17 პროცენტი);

- პირადი ურთიერთობის, ეკონომიკური კავშირების არარსებობა ქართველებსა და ოსებს შორის (ყველა გამოკითხულის 9 პროცენტი; ქართველებს შორის – 3 პროცენტი, ოსებს შორის – 15 პროცენტი);

- კონფლიქტის ყველა მონაწილის კეთილი ნების არარსებობა (ყველა გამოკითხულის 9 პროცენტი; ქართველებს შორის – 6 პროცენტი, ოსებს შორის – 12 პროცენტი);

- ძველი კონფლიქტები („ბევრი სისხლია დაღვრილი“), მტრის ხატის პროპაგანდა (ყველა გამოკითხულის 7 პროცენტი; ქართველებს შორის – 5 პროცენტი, ოსებს შორის – 9 პროცენტი);

- სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების პოლიტიკა, სეპარატიზმი (ყველა გამოკითხულის 6 პროცენტი; ქართველებს შორის – 7 პროცენტი, ოსებს შორის – 5 პროცენტი);

- საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებათა გაუცხოება, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობა (ყველა გამოკითხულის 5 პროცენტი; ქართველებს შორის – 2 პროცენტი, ოსებს შორის – 8 პროცენტი);

რუსეთის პოლიტიკას, მისი საოკუპაციო ჯარების ყოფნას სამხრეთ ოსეთში ხალხებს შორის ნდობის აღდგენის მთავარ წინააღმდეგობად მიიჩნევენ გამოკითხულ ოსთა ყველაზე დიდი ნაწილი – 26 პროცენტი. ეს თითქმის ორჯერ ნაკლებია გამოკითხულ ქართველთა შორის მიღებულ ანალოგიურ პასუხზე: ასე ფიქრობს მათი 47 პროცენტი. მეორე მხრივ, იმავე გზაზე მთავარ წინააღმდეგობად საქართველოს პოლიტიკას მიიჩნევენ დაახლოებით სამჯერ მეტი ოსი, ვიდრე ქართველი (შესაბამისად, 17 და 6 პროცენტი), თუმცა ამ აზრის მომხრე ოსების წილი მნიშვნელოვნად ნაკლებია იმათზე, ვისაც მთავარ წინააღმდეგობად რუსეთის პოლიტიკა მიაჩნია. ეს საგულისხმო სხვაობაა.

აქაც დასტურდება დასკვნა, რომელიც გაკეთდა წინა კითხვაზე მიღებული პასუხების ანალიზისას, რომ ქართველებს შორის, ოსებთან შედარებით, მეტია უნდობლობა იმ შესაძლებლობის მიმართ, რომ რამე შეიცვლება: ოსების 15 პროცენტი მიიჩნევენ, რომ წინააღმდეგობა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის გზაზე არის ურთიერთობის, დიალოგის, ეკონომიკური კონტაქტების არარსებობა, ქართველებს შორის კი იგივე ფაქტორი სულ 3-მა პროცენტმა ახსენა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც შედარებით მცირე შერჩევისას სანდოობის საზღვრები მცირე რიცხვებისათვის ძალიან ფართოა (სხვანაირად, პასუხების 3 პროცენტი ამ შერჩევაში არაა საკმარისად სანდო სიდიდე), სხვაობა 3 და 15 პროცენტს შორის მაინც საკმაოდ თვალსაჩინოა.

## დასკვნა

არსებობს გარკვეული კონსენსუსი ოსებსა და ქართველებს შორის, თუ ვის ინტერესებშია ამ ხალხების ურთიერთობაში არსებული ვითარების შენარჩუნება: მათი თითქმის ერთნაირი პროცენტი (43-45) მიუთითებს რუსეთის ხელისუფლებაზე. ანალოგიური კონსენსუსია (90-92 პროცენტი) პასუხებში კითხვაზე, არსებობს თუ არა ამ ხალხებს შორის ნდობის აღდგენის აუცილებლობა. მაგრამ ამის შესაძლებლობისა სჯერა ოსების 70 პროცენტს, ხოლო ქართველების — 55 პროცენტს. მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ გამოკითხულ ქართველებს შეუძლიათ

---

---

შემოგვთავაზონ რეალური გზები ოს ხალხთან ნდობის აღსადგენად. ქართველებისათვის (ისინი ძირითადად იგპ-ებია, რომელთაც დაკარგეს ქონება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – ახლობლებიც) დამახასიათებელია სერიოზული იმედგაცრუება, სულიერი განადგურების გრძნობა, უნდობლობა ყველას მიმართ. მათმა უმეტესობამ არ იცის, რა შეიძლება გაკეთდეს შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

ქართველებისა და ოსების აზრში დადგენილი სხვაობები მოსალოდნელი იყო: „საკუთრივ საქართველოს“ ოსები უშუალოდ არ დაზარალებულან 2008 წლის ომში და უფრო განწყობილი არიან, რომ გამოიყენონ სახალხო დიპლომატიის ელემენტები ხალხებს შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად. მათი ნახევარი ამისათვის საჭიროდ მიიჩნევს ეკონომიკური კავშირების, პირადი კონტაქტების გააქტიურებას (ქართველებს შორის ასეთ აზრს სულ მეოთხედი უჭერს მხარს).

მთლიანობაში დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ „საკუთრივ საქართველოს“ ოსები საკმარისად მზად არიან სახალხო დიპლომატიისათვის. მათ შეეძლებოდათ ამ საქმისათვის სამსახურის განწევა.

მართალია, ამისათვის საჭიროა ყველა მხარის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნება.

თუკი ნდობის აღდგენა გადაიქცევა საერთო სურვილად და გამყოფი ხაზის ორივე მხარის სამოქალაქო საზოგადოების საერთო პროექტად, ოკუპანტ სახელწიფოსაც კი, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის დაინტერესებული, რომ კონფლიქტი დარეგულირდეს, რაღაც მომენტში მოუხდება ყურის დაგდება ასეთი მოთხოვნისათვის.

ოპტიმიზმი ამ საკითხში შეიძლება არსებობდეს, თუმცაღა ძალიან ფრთხილი.

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში ვახსენეთ სახალხო დიპლომატიის გარკვეული თვალსაზრისით იმედისმომცემი ის შედეგები, რომლებიც გამოვლინდა 1999 წელს თურქეთსა და საბერძნეთში მომხდარი მინისძვრების სამაშველო სამუშაოებისას ურთიერთდახმარების დროს.

გვჭირდება თუ არა ჩვენ აუცილებლად ავიღოთ მაგალითი იმ ადამიანებისაგან, რომლებიც „დაჭკვიანდნენ“ მას შემდეგ, რაც სტიქიის დარტყმა განიცადეს?

ვფიქრობთ, რომ ჩვენ – ქართველებსა და ოსებს – შეგვეძლებოდა მეტის მიღწევა და უფრო მოკლე ვადებში სტიქიური უბედურებების „დახმარებისა“ და ახლომდებარე ქვეყნების სხვადასხვა „მეგობრის“ გარეშე!

## დანართები

ცხრილი 1

ვის ინტერესებშია არსებული მდგომარეობის შენარჩუნება?

	სულ 213	ეროვნება		ასაკობრივი ჯგუფები					სქესი	
		ქართველი	ოსი	18-30	31-40	41-50	51-60	60+	კაცი	ქალი
პასუხი %	213 100	107 50.2	106 49.8	54 25.4	29 13.6	55 25.8	39 18.3	36 16.9	111 52.1	102 47.9
არავის ინტერესებში არაა	2 0.9 100	1 0.9 50.0	1 0.9 50.0	0 0.0 0.0	1 3.4 50.0	0 0.0 0.0	0 0.0 0.0	1 2.8 50.0	0 0.0 0.0	2 2.0 100
რუსეთის ხელისუფლების ინტერესებშია	94 44.1 100	46 43.0 48.9	48 45.3 51.1	26 48.1 27.7	9 31.0 9.6	22 40.0 23.4	22 56.4 23.4	15 41.7 16.0	52 46.8 55.3	42 41.2 44.7
საქართველოს ხელისუფლების ინტერესებშია	18 8.5 100	7 6.5 38.9	11 10.4 61.1	3 5.6 60.0	4 13.8 22.2	6 10.9 33.3	1 2.6 5.6	4 11.1 22.2	11 9.9 61.1	7 6.9 38.9
სამხ.ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ინტერესებშია	5 2.3 100	2 1.9 40.0	3 2.8 60.0	3 5.6 60.0	1 3.4 20.0	1 1.8 20.0	0 0.0 0.0	0 0.0 0.0	3 2.7 60.0	2 2.0 40.0
რუსეთის და ს/ოსეთის საერთო ინტერესებშია	20 9.4 100	9 8.4 45.0	11 10.4 55.0	8 14.8 40.0	2 6.9 10.0	2 3.6 10.0	3 7.7 15.0	5 13.9 25.0	8 7.2 40.0	12 11.8 60.0
„სხვა“ ქვეყნის ან პირთა ინტერესებშია	15 7.0 100	8 7.5 53.3	7 6.6 46.7	1 1.9 6.7	2 6.9 13.3	5 9.1 33.3	4 10.3 26.7	3 8.3 20.0	11 9.9 73.3	4 3.9 26.7
არ იცის, უჭირს პასუხი	59 27.7 100	34 31.8 57.6	25 23.6 42.4	13 24.1 22.0	10 34.5 16.9	19 34.5 32.2	9 23.1 15.3	8 22.2 13.6	26 23.4 44.1	33 32.4 55.9

ცხრილი 2

არსებობს თუ არა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის აუცილებლობა?

	სულ 213	ეროვნება		ასაკობრივი ჯგუფები					სქესი	
		ქართველი	ოსი	18-30	31-40	41-50	51-60	60+	კაცი	ქალი
პასუხი %	213 100	107 50.2	106 49.8	54 25.4	29 13.6	55 25.8	39 18.3	36 16.9	111 52.1	102 47.9
დიახ	194 91.1 100	99 92.5 51.0	95 89.6 49.0	53 98.1 27.3	23 79.3 11.9	51 92.7 26.3	37 94.9 19.1	30 83.3 15.5	106 95.5 54.6	88 86.3 45.4
არა	5 2.3 100	1 0.9 20.0	4 3.8 80.0	0 0.0 0.0	2 6.9 40.0	1 1.8 20.0	1 2.6 20.0	1 2.8 20.0	0 0.0 0.0	5 4.9 100
არ იცის, უჭირს პასუხი	14 6.6 100	7 6.5 50.0	7 6.6 50.0	1 1.9 7.1	4 13.8 28.6	3 5.5 21.4	1 2.6 7.1	5 13.9 35.7	5 4.5 35.7	9 8.8 64.3

ცხრილი 3

არსებობს თუ არა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის შესაძლებლობა?

	სულ 213	ეროვნება		ასაკობრივი ჯგუფები					სქესი	
		ქართველი	ოსი	18-30	31-40	41-50	51-60	60+	კაცი	ქალი
პასუხი %	213 100	107 50.2	106 49.8	54 25.4	29 13.6	55 25.8	39 18.3	36 16.9	111 52.1	102 47.9
დიახ	133 62.4 100	59 55.1 44.4	74 69.8 55.6	33 61.1 24.8	13 44.8 9.8	40 72.7 30.1	28 71.8 21.1	19 52.8 14.3	77 69.4 57.9	56 54.9 42.1
არა	16 7.5 100	7 6.5 43.8	9 8.5 56.3	1 1.9 6.3	4 13.8 25.0	5 9.1 31.3	3 7.7 18.8	3 8.3 18.8	4 3.6 25.0	12 11.8 75.0
არ იცის, უჭირს პასუხი	64 30.0 100	41 38.3 64.1	23 31.7 35.9	20 37.0 31.3	12 41.4 18.8	10 18.2 15.6	8 20.5 12.5	14 38.9 21.9	30 27.0 46.9	34 33.3 53.1

ცხრილი 4

შეუტანია თუ არა პირადი ნვლილი ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის საქმეში?

	სულ 213	ეროვნება		ასაკობრივი ჯგუფები					სქესი	
		ქართველი	ოსი	18-30	31-40	41-50	51-60	60+	კაცი	ქალი
პასუხი %	213 100	107 50.2	106 49.8	54 25.4	29 13.6	55 25.8	39 18.3	36 16.9	111 52.1	102 47.9
დიახ	40 18.8 100	10 9.3 25.0	30 28.3 75.0	10 18.5 25.0	7 24.1 17.5	11 20.0 27.5	8 20.5 20.0	4 11.1 10.0	24 21.6 60.0	16 15.7 40.0
არა	157 73.7 100	88 82.2 56.1	69 65.1 43.9	41 75.9 26.1	20 69.0 12.7	41 74.5 26.1	27 69.2 17.2	28 77.8 17.8	77 69.4 49.0	80 78.4 51.0
არ იცის, უჭირს პასუხი	16 7.5 100	9 8.4 56.3	7 6.6 43.8	3 5.6 18.8	2 6.9 12.5	3 5.5 18.8	4 10.3 25.0	4 11.1 25.0	10 9.0 62.5	6 5.9 37.5


რა შეიძლება გაკეთდეს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად?

	სულ 213	ეროვნება		ასაკობრივი ჯგუფები					სქესი	
		ქართველი	ოსი	18-30	31-40	41-50	51-60	60+	კაცი	ქალი
პასუხი %	213 100	107 50.2	106 49.8	54 25.4	29 13.6	55 25.8	39 18.3	36 16.9	111 52.1	102 47.9
საქართველოს პოლიტიკის შეცვლა ს/ოსეთისადმი	8 3.8 100	2 1.9 25.0	6 5.7 75.0	1 1.9 12.5	1 3.4 12.5	5 9.1 62.5	0 0.0 0.0	1 2.8 12.5	6 5.4 75.0	2 2.0 25.0
რუსეთის ჯარის გაყვანა დამოუკიდებლობის ცნობის გაუქმება	19 8.9 100	17 15.9 89.5	2 1.9 10.5	6 11.1 31.6	1 3.4 5.3	3 5.5 15.8	6 15.4 31.6	3 8.3 15.8	10 9.0 52.6	9 8.8 47.4
მოლაპარაკების დანწყება რუსეთთან და ს/ოსეთთან	4 1.9 100	1 0.9 25.0	3 2.8 75.0	0 0.0 0.0	1 3.4 25.0	1 1.8 25.0	1 2.6 25.0	1 2.8 25.0	4 3.6 100	0 0.0 0.0
ეკონომიკური კავშირის აღდგენა, სახალხო დიპლომატია	80 37.6 100	27 25.2 33.8	53 50.0 66.3	14 25.9 17.5	8 27.6 10.0	29 52.7 36.3	20 51.3 25.0	9 25.0 11.3	44 39.6 55.0	36 35.3 45.0
რუსეთ-საქართველ. ურთიერთობების დარეგულირება	11 5.2 100	5 4.7 45.5	6 5.7 54.5	4 7.4 36.4	1 3.4 9.1	1 1.8 9.1	1 2.6 9.1	4 11.1 36.4	9 8.1 81.8	2 2.0 18.2
სხვა პასუხი	5 2.3 100	3 2.8 60.0	2 1.9 40.0	3 5.6 60.0	0 0.0 0.0	1 1.8 20.0	1 2.6 20.0	0 0.0 0.0	3 2.7 60.0	2 2.0 40.0
არ იცის, უჭირს პასუხი	86 40.4 100	52 48.6 60.5	34 32.1 39.5	26 48.1 30.2	17 58.6 19.8	15 27.3 17.4	10 25.6 11.6	18 50.0 20.9	35 31.5 40.7	51 50.0 59.3


რა უშლის ხელს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენას?

	სულ 213	ეროვნება		ასაკობრივი ჯგუფები					სქესი	
		ქართველი	ოსი	18-30	31-40	41-50	51-60	60+	კაცი	ქალი
პასუხი %	213 100	107 50.2	106 49.8	54 25.4	29 13.6	55 25.8	39 18.3	36 16.9	111 52.1	102 47.9
რუსეთის პოლიტიკა, მისი ჯარები ს/ოსეთში	77 36.2 100	50 46.7 64.9	27 25.5 35.1	23 42.6 29.9	6 20.7 7.8	21 38.2 27.3	13 33.3 16.9	14 38.9 18.2	41 36.9 53.2	36 35.3 46.8
საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა	24 11.3 100	6 5.6 25.0	18 17.0 75.0	1 1.9 4.2	3 10.3 12.5	7 12.7 29.2	5 12.8 20.8	8 22.2 33.3	16 14.4 66.7	8 7.8 33.3
სამხ.ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების პოლიტიკა	12 5.6 100	7 6.5 58.3	5 4.7 41.7	4 7.4 33.3	2 6.9 16.7	0 0.0 0.0	2 5.1 16.7	4 11.1 33.3	7 6.3 58.3	5 .9 41.7
კეთილი ნების უქონლობა ყველას მხრიდან	19 8.9 100	6 5.6 31.6	13 12.3 68.4	3 5.6 15.8	2 6.9 10.5	6 10.9 31.6	7 17.9 36.8	1 2.8 5.3	10 9.0 52.6	9 8.8 47.4
პირადი ურთიერთობის, ეკონომიკური კავშირის უქონლობა	19 8.9 100	3 2.8 15.8	16 15.1 84.2	5 9.3 26.3	3 10.3 15.8	6 10.9 31.6	4 10.3 21.1	1 2.8 5.3	9 8.1 47.4	10 9.8 52.6
რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობა	10 4.7 100	2 1.9 20.0	8 7.5 80.0	4 7.4 40.0	2 3.6 20.0	2 3.6 20.0	1 2.6 10.0	1 2.8 10.0	7 6.3 70.0	3 2.9 30.0
ძველი კონფლიქტები, მტრის ხატის პროპაგანდა	15 7.0 100	5 4.7 33.3	10 9.4 66.7	5 9.3 33.3	4 7.3 26.7	4 7.3 26.7	0 0.0 0.0	1 2.8 6.7	8 7.2 53.3	7 6.9 46.7
არ იცის, უჭირს პასუხი	37 17.4 100	28 26.2 75.7	9 8.5 24.3	9 16.7 24.3	9 16.4 24.3	9 16.4 24.3	7 17.9 18.9	6 16.7 16.2	13 11.7 35.1	24 23.5 64.9

## მეგობრების წრეში უმრავლესობაა (ეროვნებათა კრილში)




ნახ. 1



ნახ. 2

ოჯახი ან უახლოესი ნათესავები დაზარალებდნენ 2008 წლის ომის დროს (ეროვნებათა კრილში)




ნახ. 3




ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის ბოლო ორი წლის განმავლობაში, ომამდელთან შედარებით, შეიცვალა (ეროვნებათა ჭრილში)

ოსების თვალსაზრისით



ნახ. 4


ქართველების თვალსაზრისით



ნახ. 5


# ვის ინტერესებშია ქართულ-ოსურ ურთიერთობებში არსებული ვითარების შენარჩუნება (ეროვნებათა კრილში)

ოსების თვალსაზრისით



ნახ. 6

ქართველების თვალსაზრისით




ნახ. 7

# არსებობს თუ არა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის


ა) აუცილებლობა; ბ) შესაძლებლობა და  
 გ) თუ შეუტანია რესპონდენტს ამაში პირადი წვლილი  
 (ეროვნებათა ჭრილში)

## ოსები



ნახ. 8


## ქართველები




ნახ. 9

# რა შეიძლება გაკეთდეს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად (ეროვნებათა კრილში)

- რუსეთის ჯარების გაყვანა, ს/ოსეთის აღიარების გაუქმება
- რუსეთთან და ს/ოსეთთან საქართველოს მოლაპარაკების დაწყება
- ურთიერთობებისა და ეკონომიკური კავშირების აღდგენა, სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობა
- რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების დარეგულირება
- ს/ოსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკის შეცვლა
- სხვა
- უჭირს პასუხის გაცემა




ნახ. 10




ნახ. 11

# რა უშლის ხელს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენას (ეროვნებათა ჭრილში)

- რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა (სამხედრო ბაზები და სხვა)
- საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა
- ს/ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პოლიტიკა
- კონფლიქტის ყველა მონაწილის მხრიდან კეთილი ნების ნაკლებობა
- მხარეთა შორის ურთიერთობების, ეკონომიკური კავშირების ნაკლებობა
- საქართველოსა და რუსეთის მთავრობათა გაუცხოება
- ძველი კონფლიქტები, მტრის ხატის პროპაგანდა
- უჭირს პასუხის გაცემა



ნახ. 12



ნახ. 13